პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 65, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—55
) ღამის მორიგეს 15—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი:
სავაჭრო ფირმებისა— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ.; [illegible] განცხადებების ფასი იმატებს 10% საქალაქო გადასახადს. [illegible] ტექსტის შუაგულში [illegible] მიღება 9—3½ ს., 3½ ს. [illegible] ფასი ლირება 20%-ით მეტი. [illegible] განცხადებები—15 და 20 მ.

შეგნებით და ერთსულოვნებით დაი[illegible] თბილ[illegible] კენ სოფლის გაწვეული მოსახლეობა [illegible] ობის შესასრულებლად.

ორშაბათი, 27 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 198 (2241)

საცდელი მობილიზაცია

შეგნებით და ერთსულოვნებით ატარებენ თბილისის მაზრის მუშები და გლეხები საცდელ მობილიზაციას

გამოცდის მეორე დღე

საცდელი მობილიზაციის მეორე დღეც ისეთივე საქმიან და მასთან ერთად საზეიმო ხასიათს ატარებს, როგორც პირველი. ამავე დროს მან ბევრი ახალი და საყურადღებო ფაქტი მოგვცა.

საცდელი მობილიზაციის მეორე დღე დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ მან სავსებით ცხადჰყო თუ რამდენად აქტიურად გამოეხმაურა ხელისუფლების მოწოდებას თბილისის მაზრის მშრომელი გლეხობა. ამ დღეს არა თუ ისე, მასიურად გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტებზე გაწვეულები, როგორც საცდელი მობილიზაციის პირველ დღეს, არამედ ბევრ რაიონებში 24 საათის განმავლობაში კიდევაც მოასწრეს თბილისისაკენ გამომგზავრება და დანიშნულებისამებრ ჩამოსვლა.

ეს კი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ქალაქისა და სოფლის კავშირი ურყევია, რომ მშრომელი გლეხკაცობა პროლეტარიატს დალხინებაშიაც და გაჭირვებაშიც განუყრელად გვერდით უდგას და ედგომება. თბილისისა და მისი მაზრის მაგალითზე ჩვენი მტრები და ორგულნი დარწმუნდებიან, რომ ვერავითარი ხრიკები და პროვოკაცია ვერ გასთიშავს ოქტომბრის დროშის ქვეშ დარაზმულ მუშებისა და გლეხების კავშირს.

მობილიზაციის მეორე დღეს კოოპერატივმაც გამოასწორა წინა დღით აქა-იქ შემჩნეული თავისი დეფექტები. მოძრავი სავაჭრო ფარდულები სავსე იყო საუკეთესო ხარისხის პირველმოთხოვნილების პროდუქტებით, რომელიც ხელმისაწვდომ ფასებში ეძლეოდა გაწვეულებს.

ბაზარზე მდგომარეობა იმდენად მტკიცეა, რომ იჭვი იმის შესახებ, თითქოს საცდელი მობილიზაცია რამე დაბრკოლებებს შექმნიდა, უსაფუძვლო გამოდგა. და ეს მოხდა ერთი მხრივ იმიტომ, რომ მშრომელი მოსახლეობა სრულიად შეგნებულად შეხვდა საცდელ მობილიზაციას. ადგილი არ ქონია რაიმე პანიკას. ცრუ და პროვოკაციულ ხმებს, მოსახლეობის მოწინავე ელემენტების აქტიური აგიტაცია-პროპაგანდის გამო, თავიდანვე ნიადაგი გამოეცალა.

მეორე მხრივ ბაზრის სიმტკიცეს საცდელ მობილიზაციის დღეებში ხელი შეუწყო ჩვენი კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების ჩვეულებრივზე უფრო ენერგიულ მუშაობამ. ამნაირად, სამხედრო ნაწილებთან ერთად ზურგმაც, სამოქალაქო მოსახლეობამაც წარმატებით დაიჭირა მეტად საპასუხისმგებლო გამოცდა, რომელსაც წარმოადგენს საცდელი მობილიზაცია.

აღსანიშნავია, რომ საცდელი მობილიზაცია, როგორც ამას თავიდანვე მოველოდით, საუკეთესო გაკვეთილად გადაიქცა არა მარტო იმისათვის, თუ რამდენად მზად არის მთელი ჩვენი პარტიულ - სახელმწიფოებრივი აპარატი და საზოგადოებრივობა ისეთი საფრთხის შესახვედრათ, როგორიცაა ომი, არამედ საცდელ მობილიზაციამ უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა მეორე მხრივაც. მან ბევრგან გამოააშკარავა ის დეფექტები, რომელიც ჩვენ გვაქვს ნორმალურ საქმიანობაში და რომელნიც მნიშვნელოვნად აფერხებენ არა მარტო თავდაცვის სასარგებლოდ მიმართულ მუშაობას. საცდელი მობილიზაცია დიდ სამსახურს გაგვიწევს მშვიდობიანი აღმშენებლობის რაც შეიძლება უნაკლოთ წარმართვის მხრივ.

ამისათვის კი საჭიროა, რომ სამოქალაქო დაწესებულება - წარმოებებში მთლიანად და სისწორით გამოიყენონ თავიანთ ყოველდღიურ მუშაობის გამოსასწორებლად, ის დიდი გაკვეთილი, რომელსაც უთუოდ მისცემს მათ საცდელი მობილიზაცია.

საცდელი მობილიზაციის მეორე დღე იგივე ჩვენი სამხედრო მომზადების, მშრომელთა ძლევამოსილების დემონსტრაციის მეორე დღე იყო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მობილიზაცია მთლიანად ისეთივე წარმატებით დასრულდება, როგორც ის მიმდინარეობდა პირველ ორ დღეს მისი გამოცხადებიდან.

საცდელი მობილიზაციის მსვლელობა მაზრაში

საცდელი მობილიზაციის ჩატარება მაზრაში აგვისტოს თვეში, როდესაც გლეხობა სამუშაოებშია გართული უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს, ვინემ სხვა დროს, მაგრამ მეორე მხრით მობილიზაციის ჩატარება სწორედ ასეთ დროს გაცილებით მეტ გამოცდილებას იძლევა და მეტად ააშკარავებს იმ შესაძლებლობებს, რომლის იმედი ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მობილიზაციის ჩატარების უძნელეს პირობებში.

თემებიდან მიღებული ცნობები და ადგილობრივ ნახული სავსებით ამართლებს ჩვენს იმედებს მშრომელი გლეხობის მიმართ, რომელიც შეგნებულად შეხვდა საცდელ მობილიზაციის გამოცხადებას და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ჩვენს მტრებს, რომ ის მუდამ მზად არის პირველ გამოძახილზევე იარაღით ხელში გამოვიდეს საბჭოების დასაცავად.

მობილიზაციის გამოცხადების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ მაზრას, მოგვდის დეპეშები მობილიზაციის გამოცხადების ცნობის მიღების შესახებ. იწყება ძირითად პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კომკავშირულ ორგანიზაციების ამოძრავება. რომელთაგან თვითეულმა იცის თუ რა უნდა აკეთოს. პირველი ამოცანაა გლეხობისათვის თავის დროზე ამბის შეტყობინება. იწვევენ სოფლის კრებებს, სადაც გლეხობა ტყობილობს საცდელ მობილიზაციის გამოცხადებას და მის ამოცანებს. არსად უკმაყოფილება და წარბის შეხრა, არამედ მშრომელი გლეხობის საუკეთესო სულიერი განწყობილება.

„მთავრობას ვერ დავიწუნებთ და გინდ საცდელი იყოს და გინდ ნამდვილი ჩვენ ყოველთვის მზად ვართ", დინჯად ამბობს ხევსურელი, რომელიც თავზე უფრო საყვარელ ცხენით გამოცხადდა შესაკრებ პუნქტზე. ასევე ფიქრობს მთელი მაზრის მშრომელი გლეხობა და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა თემებში შესაკრებ პუნქტებზე გაწვეულების 100 პროც. გამოცხადდა.

მოდიან თემებიდან რაიონებში და რაიონებიდან თბილისში სამაზრო შესაკრებ პუნქტზე. განსაზღვრულია საათები, თუ რომელი თემი რომელ საათზე გამოდის. ეწყობა შეხვედრა და გაცილება გაწვეულების. აი ცნობათა მაგიდები უხსნიან მოსახლეობას, თუ ვის იწვევენ, რისთვის იწვევენ და სხვ.

თემებიდან და რაიონებიდან უკვე დაიძრენ გაწვეულთა პარტიები თბილისისაკენ. თბილისის ქუჩებზე სიმღერით და ზურნით უკვე ჩაიარეს ახლობელ თემების გაწვეულთა პარტიები. სამაზრო შესაკრები პუნქტი მზად არის მათ მისაღებად.

შორეულ თემებიდან მომავალნი ჯერ კიდევ გზაში არიან. კიდევ რამოდენიმე დღე და მთელი მაზრის გაწვეულები და მობილიზაციაქმნილ ცხენების პარტიები ყველა თავის-თავის რიგით გატარდება სამაზრო შესაკრებ პუნქტში. კიდევ რამდენიმე დღე და თბილისის მაზრის მშრომელი გლეხობა მობილიზაციის გამოცდას, ვიმედოვნებთ, ბრწყინვალეთ ჩააბარებს თავის ხელისუფლებას. ვერავითარი პროვოკაცია გამოძახილს ვერ იპოვის გლეხობაში. მობილიზაციის მსვლელობა როგორც პოლიტიკურ, ისე ორგანიზაციულ პირობების მხრით, უზრუნველყოფილად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ამის თავდებია მობილიზაციის გამოცხადების პირველი დღე. ამის თავდებია ის ცნობები, რომელიც ამ საღამოს მივიღეთ თემებიდან.

გ. ბელელაძე.

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

კომკავშირი საბჭოთა ქვეყნის სადარაჯოზე

(საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი)

პროფსაბჭოს დიდი დარბაზი საზეიმოთაა მორთული. აქ შეკრებილა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის საუკეთესო ნაწილი— აქტივი და თბილისის კომიტეტის პლენუმი.

დღეს, 26 აგვისტოს, არის პლენუმის საზეიმო სხდომა საცდელ მობილიზაციასთან დაკავშირებით.

სხდომას ამხ. აზარაშვილი ხსნის. მოკლე შესავალი სიტყვით ის ეხება კომკავშირის ნაკლოვანებებს სამხედრო მუშაობის საქმეში.

შემდეგი სიტყვა ეძლევა საქ. კომპარტიის ცეკას მდივანს ამხ. ლ. ლოლობერიძეს, რომლის ტრიბუნაზე გამოსვლასაც აუდიტორია ხანგრძლივი ოვაციებით შეეგება.

ამხ. ლ. ლოლობერიძის სიტყვა

წელს ჩვენში პირველად ტარდება საცდელი მობილიზაცია — დაიწყო ამხ. ლოლობერიძემ, — მეფის მთავრობა ამგვარი მობილიზაციის ჩატარებას ვერასოდეს გაბედავდა ისეთ „განაპირა" ქვეყნებში, როგორც საქართველო და ამიერ - კავკასიაა. და თუ საბჭოთა მთავრობამ მშრომელ მასების სამხედრო გამოცდის მოწყობა შესძლო, ეს მხოლოდ იმას უნდა მივაწეროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილი მშრომელთა ხელისუფლებაა.

ცხადია ჩვენი მტრები საცდელ მობილიზაციის გამო ათასგვარ ხმებს გაავრცელებენ წითელი იმპერიალიზმის შესახებ, მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ დღევანდელი მობილიზაცია ჩვენი მომზადების გამოცდაა და მეტი არაფერი.

საბჭოთა კავშირს ომი დღეს ან ხვალ არ მოელის. მაგრამ, რომ ომი იქნება, რომ ბურჟუაზიული მსოფლიო ცდილობს საბჭოთა კავშირის მოსპობას — ეს ყველასათვის ნათელი უნდა იყოს.

მომავალი ომი არ დაემსგავსება წარსულ ომებს. წინასწარი გაფრთხილება ომის შესახებ იმპერიალისტების მორალის წიგნიდან დიდი ხანია ამოიშალა. ომი, თუ დაიწყო ის, დაიწყება უეცრად და ჩვენთვის საჭირო იქნება სულ რამდენიმე წუთში მოვახდინოთ საკუთარი ძალების მობილიზაცია.

მაგრამ უნდა გამოვტყდე, ჩვენ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი დეფექტი გვაქვს. სასწრაფო მობილიზაცია არც ისე ადვილი მოსახდენია, ამისათვის წინასწარი გამოცდილებაა საჭირო. ამაში ორი მაზრის მაგალითმა დაგვარწმუნა.

ამას წინად საქართველოს ორ დიდ მაზრაში, სადაც კომუნარების რაზმებია მოწყობილი, პარტიულმა კომიტეტმა საცდელი განგაში მოახდინა. განგაშზე მხოლოდ 1 საათისა და 45 წუთის შემდეგ 7 კომუნარი მოვიდა, დანარჩენები კი კარგა ხნის შემდეგ გამოცხადდნენ.

ასეთი მოვლენა ალბათ სხვა მაზრებშიაც განმეორდებოდა. ეხლა, ამ პირველი გაკვეთილის შემდეგ, აღნიშნულმა მაზრებმა გააცხოველეს თავისი მუშაობა სამხედრო დარგში და უფრო ფხიზლად ეპყრობიან ამ საქმეს.

საცდელი მობილიზაცია, რომელიც ამჟამად თბილისში ტარდება ჩვენშიდაც მრავალ ჭორს ბადებს. ჩვენც გვყავს თითო-ოროლა შინაური მტერი. ეს მტერი ცდილობს მობილიზაცია ჭორების გავრცელების საგნად გამოიყენოს. თვითეული კომკავშირელი უნდა იბრძოლოს ასეთ პროვოკაციულ ხმებს და მასშივე ჩაახშოს იგი.

საბედნიეროდ კომკავშირელებმა ამ საქმეში საუკეთესო გამოცდა დაიჭირეს. მოვიყვან ერთ მაგალითს. როდესაც პირველად მობილიზაცია გამოაცხადეს, ერთ - ერთ სამილიციო რაიონში სამობილიზაციო განცხადებაში შეკრების რიცხვის აღნიშვნა დავიწყებოდათ. სამიოდე უსაქმო ინტელიგენტმა ეს შენიშნა. ერთმა მათგანმა, აიღო ფანქარი და თავისუფალ ადგილზე განცხადებას მოაწერა— უნდა გამოცხადდნენ „32 აგვისტოს"-ო. ამგვარად ამ ვაჟბატონმა მასხარად აიგდო საბჭოთა მთავრობის განკარგულება და თავისი უხეში მოქმედებით ცდილობდა გაუგებრობის შექმნას.

მაგრამ ეს შეუმჩნეველი არ დარჩა. ერთმა მარჯვე კომკავშირელმა სამივე „ხუმარა" დააპატიმრებია მილიციას. რიცხვის დამწერი აღმოჩნდა „საქართველოს ჩაის" ინჟენერი.

მალე მოეწყობა მათი გასამართლება და სხვა ამგვარი ტიპებიც ისწავლიან, თუ როგორ უნდა მოეპყრან საბჭოთა ხელისუფლების კანონებს.

მობილიზაციის დროს საუკეთესო მუშა ძალა სცილდება ფაბრიკა - ქარხნებს. კომკავშირის მოვალეობაა მიიღოს ზომები წარმოებების დასაცავად და მათი საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა კომკავშირის უჯრედებმა და კომიტეტებმა თავის მუშაობის გეგმაში მეტი ადგილი დაუთმონ სამობილიზაციო საკითხებს. წინასწარვე დასახონ ცალკე ამხანაგები და ჯგუფები, რომლებსაც ომის შემთხვევაში ესა თუ ის საქმე დაევალებათ.

კიდევ მეტი მოვალეობა აწევს კომკავშირს სოფლად. კომკავშირი ერთად ერთი ორგანიზაციაა, რომლის უჯრედებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყნის ყველა კუნჭული. მხოლოდ კომკავშირელებს შეუძლიანთ ომის დროს ხელი შეუწყონ სასოფლო მეურნეობას, დაეხმარონ გაწვეულთა ოჯახებს და განამტკიცონ წითელი ფრონტის ზურგი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა კომკავშირელი ასე როდი ფიქრობს. ზოგიერთი ამბობს: „თუ ომი იქნება, ხელში თოფით გამოვალ და საბჭოთა ქვეყანას თავს შევსწირავო". ეს აზრი თავისთავად ლამაზი და კარგია, მაგრამ მარტო თავის დადება ფრონტზე, ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი მუშაობა სამხედრო დარგში, მეტი მზადება, აუცილებელია საკუთარი ძალების სრული აღრიცხვა და განაწილება.

ჩვენ ომი არ გვინდა, ვაცხადებთ ქვეყნის გასაგონად, მაგრამ მაინც ემზადებიან ჩვენს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. ამ შემთხვევაში ერთად ერთი გზაღა დაგვრჩენია— მოვემზადოთ თავდაცვისათვის.

სწორედ ამიტომ პირველ რიგში უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის სიძლიერე, მოუაროთ მას, შევაიარაღოთ, შევავსოთ გათვითცნობიერებულ და ჯანსაღი ახალგაზრდობით. კომკავშირის ორგანიზაციებმა ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ, კომკავშირელი — წითელი არმიისა და წითელი ფლოტის საუკეთესო მეგობარია.

8 წლის წინად, როდესაც საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბოლშევიკები მოსახლეობის ერთი ნაწილის თვალში ნდობით ვერ სარგებლობდნენ. მენშევიკებს კი ჩვენს ქვეყანაში 80 ათასამდე პარტიის წევრი ჰყავდათ. გავიდა ხანი; ძლიერი სამეურნეო მშენებლობით საბჭოთა ხელისუფლებამ მოიხვეჭა მშრომელი მასების ნდობა და სიყვარული და ეხლა მენშევიკებს საქართველოს ტერიტორიაზე ერთი მუშური უჯრედიც კი არ მოეპოვებათ. ეს გარემოება მოწმობს, რომ ჩვენი საშინაო მდგომარეობა მტკიცეა, რომ მასები ჩვენთან არის.

კომკავშირმა პარტიის ხელმძღვანელობით უნდა განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, ის უნდა შეკავშირდეს თვითონ და საჭირო შემთხვევაში შესძლოს მშრომელთა, განსაკუთრებით დაქსაქსული გლეხობის შემოკრება და დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

თუ ამას შევსძლებთ, ჩვენ თავდასხმის აღარ უნდა გვეშინოდეს.

ამხ. ლოლობერიძეს შემდეგ გამოდის რამდენიმე ორატორი.

ამხ. ნემერზელის სიტყვა

საცდელი მობილიზაცია,—ამბობს ორატორი,—კარგად მიმდინარეობს, მაგრამ აშკარაა, რომ ეს მობილიზაცია ამჟღავნებს ჩვენს ნაკლულოვანებებსაც.. უნდა ვეცადოთ მომავალში აღმოვფხრათ ეს ნაკლულოვანებები, ვეცადოთ, რომ საცდელმა მობილიზაციამ დროებითი კამპანიის სახე არ მიიღოს, პირიქით, ეს მობილიზაცია ჩვენ სერიოზული სამხედრო მუშაობის დასაწყისად უნდა გადავაქციოთ.

ახალგაზრდობამ, რომელიც მომავალ ომებში ალბათ უდიდეს როლს ითამაშებს, იარაღის ხმარებასთან ერთად უნდა ისწავლოს მასების საომრად დარაზმვა, შეკავშირება. კერძოდ თბილისის კომკავშირმა უფრო მჭიდრო ურთიერთობა უნდა დაიკავშოს მაზრის კომკავშირთან და საერთოდ გლეხურ ახალგაზრდობასთან.

ამხ. ბ. მაჩაიძის სიტყვა

საცდელ მობილიზაციაში მეტი მონაწილეობა ახალგაზრდა მუშებმა და გლეხებმა უნდა მიიღონ, რადგან ამ უკანასკნელთ შეუძლიათ მეტი გატაცებითა და ენტუზიაზმით მოეპყრან საქმეს.

მობილიზაციას აშკარაა არ ვატარებთ ომის მიზნით. საცდელი მობილიზაციის დანიშნულებაა ჩვენი საომარი და საწარმოო ძალების შემოწმება. კომკავშირმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ შემოწმებაში და დაანახვოს იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, რომ საბჭოთა კავშირთან ომი არ არის ადვილი.

ამხ. მარტიროსიანის სიტყვა

ომის საშიშროების ზრდა გვავალებს მეტი ყურადღებით მოვეკიდეთ სამხედრო მუშაობას კომკავშირში. ჩვენ, მართალია ვაწარმოებთ სამხედრო მუშაობას, სამხედრო პროპაგანდას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ვერ ვართ სათანადოთ მომზადებული.

კომკავშირის ორგანიზაციამ მეტი მონაწილეობა უნდა მიიღოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობაში. მარტო ენტუზიაზმი ჩვენთვის ცოტაა—უნდა ვისწავლოთ „ვინტოვკისა" და გაზის საწინააღმდეგო ნიღაბის ხმარება.

ილაპარაკეს აგრეთვე ამხ. გუჯიაშვილმა (დეპო), მესხიძემ (მთ. სახელოსნოები), გურგენიძემ (არსენალი), სტეპანოვამ (ტრამვაი), გამსახურდიამ და ბაგიროვამ (ქალაქის რაიონი). უკანასკნელად მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ე. ასრიბეკოვმა.

პლენუმმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესს, კავკ. წით. დროშ. არმიის რევ. სამხ. საბჭოს და პარტიის თბილისის კომიტეტს.

დასასრულ პლენუმმა მიიღო შემდეგი

რეზოლიუცია

რომელშიც ნათქვამია: პლენუმი მთლიანად და სავსებით იწონებს საცდელი მობილიზაციის გამოცხადებას, რომლის მიზანია იმის გამორკვევა, თუ რამდენად არის მზად სოციალისტურ სამშობლოს დაცვისათვის მუშურ გლეხური მოსახლეობა და მთელი სახელმწიფო აპარატი.

საბჭოთა მთავრობის სისტემატიური სამშვიდობო პოლიტიკის საპასუხოდ კაპიტალისტური ქვეყნები გააფთრებულ სამხედრო სამზადისს აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მიმდინარე მომენტი—საბჭოთა კავშირის წინაშე აღმართული ომის საფრთხე—ყოველი მუშისა და მუშა-ქალის, გლეხისა და გლეხ-ქალის, ახალგაზრდა მუშისა და კომკავშირელის წინაშე აყენებს თავისი სამხედრო მომზადების შემოწმების, გასამხედროებისა და მომავალი ომისათვის მომზადების ამოცანას.

საცდელ მობილიზაციას, რომელიც თბილისში ტარდება, მიმდინარე პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

საცდელმა მობილიზაციამ ცხადყო, რომ თბილისისა და მისი მაზრის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ლენინური კომკავშირის ხელმძღვანელობით მზად არის პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პირველი დაძახებისთანავე დადგეს სოციალისტურ სამშობლოს სადარაჯოზე. უსაზღვრო ერთგულება, ჯანსაღი სულიერი განწყობილება, მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის შესანიშნავი დარაზმულობა წარმოადგენს საცდელი მობილიზაციის შემდგომი წარმატების გარანტიას საქართველოს ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი დარწმუნებულია, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ისე, როგორც პირველ დღეებში, გამოიჩენს მეგობრულ მთლიანობას და შეკავშირებას საცდელი მობილიზაციის წარმატებით დასასრულებლად.

საცდელი მობილიზაციის უშუალო დასრულებას უნდა წარმოადგენდეს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის სამხედრო გაწვრთნის ფართოდ მოწყობა. კომკავშირის თითეულმა უჯრედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მუშაობის ამ დარგს. საქ. ლენინურ კომკავშირის თითეული წევრის ნამდვილად პრაქტიკული გასამხედროება უნდა გადაიქცეს თბილისის მთელი კომკავშირის ცენტრალურ ამოცანად.

საქ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმი 18.000 კომკავშირელის სახელით აცხადებს, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულ პასუხს გასცემს საბჭოთა კავშირის მტრების ცდებს, მიმართულს იქითკენ, რომ ხელი შეუშალონ სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას.

ომი ჩვენ არ გვსურს, მაგრამ მთელი ქვეყნის პროლეტარების სამშობლოს სადარაჯოზე დასადგომად მუდამ მზად ვართ!"

როგორ ტარდება საცდელი მობილიზაცია

თბილისში

თავდაცვა-ავიაქიმი აბარებს გამოცდას

უკვე მესამე დღეა ლენინის უბანში არაჩვეულებრივი განწყობილებაა.

საცდელ მობილიზაციის გამოცხადებამ ეს რევოლიუციის აკვანი ფეხზე დააყენა. მცხოვრებლების უმრავლესობა ჩაბმულია სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვის საქმეში.

24 და 25 აგვისტოს ლენინის უბანში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით ჯგუფ-ჯგუფად მოლაპარაკე ხალხს. ყველა მათგანი ერთი სურვილითა და მიზნით არის გამსჭვალული. ეს არის მტრის შესახვედრი გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

დღეს კვირაა. მთავარ სახელოსნოში არ ისმის გრდემლისა და უროს ხმა. არც თბილისის დეპოშია რაიმე ხმაური. სამუშაო დაზგებთან დღეს არ ტრიალებს რკინიგზელობის ქანგით გამურული მუშა. იგი დღეს თითქოს უნდა ისვენებდეს.

მაგრამ რა გააჩერებს სახლში? თბილისის პროლეტარიატი ფეხზე დგას. იგი აბარებს საბჭ. კავშირის თავდაცვის გამოცდებს. რომელი მუშა მოითმენს სახლში.

და აი, დეპოსა და მთავარ სახელოსნოს მუშებიც გამოფენილან ლენინის უბნის ქუჩებში და ელოდებიან რაღაც ახალ განგაშს. ზოგ მათგანს ჩანთა აქვს ჩამოკიდებული. ზოგიც მხრჩოლავი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბით ხელში მიეშურება სადღაც.

— საით მიეშურები გიგა ასე აჩქარებული? შეეკითხა ლენინის რაიკომის შენობის წინ მდგომარე მუშა, მთავარ სახელოსნოს ერთ ახალგაზრდა მუშას, რომელიც სწრაფი ნაბიჯით დაეშვა პლეხანოვის თეატრის გვერდით ქუჩაზე—თავარ სახელოსნოსაკენ.

—- ვერ გეტყვი ძმაო სადაც მივდივარ, სამხედრო საიდუმლოებაა. ცოტა ხანს მოიცა და იქნებ შენც გამორბოდე აქეთ.

დილის თერთმეტის ნახევარი საათია. ლენინის უბნის მუშები იდგენ ჯგუფ-ჯგუფად და საუბრობდენ საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობის შესახებ.

პლეხანოვის სახელობის თეატრის წინ თავი მოუყრია რამოდენიმე მუშას და გულდასმით უგდებენ ყურს მარცხენა ხელზე წითელ ლენტიან ერთ შედარებით ახალგაზრდა მუშას, რომელიც კერძო საუბრის სახით უხსნიდა მათ საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობას და მუშების ყოველ შეკითხვაზე აძლევდა საჭირო ახსნა-განმარტებას.

მოულოდნელად გაისმა მთავარ სახელოსნოს საყვირის ხმა. მას აყვნენ დეპოში მდგომი ორთქლმავლებიც.

— რა არის?

— რაშია საქმე?

— რად აუშვეს საყვირი?—ეკითხებიან ერთი-მეორეს მუშები.

მართლაც და რაშია საქმე, საყვირებმა რად ასტეხეს ასე მოულოდნელი განგაში. დღეს ხომ არსად მიტინგი არ არის დანიშნული?

ალბად ხანძარია სადმე. ასე იქნება უეჭველად, თორემ აბა რა აწუხებს დეპოს ხანძართა რაზმს,—რისთვის გაუძლიერებია თავისი საგუშაგოები.

არ არის ასე. არსად არც ხანძარია და არც წესრიგია დარღვეული. ყველაფერი თავის რიგზეა.

ეს არის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების საცდელი განგაში. მათაც ხომ ეხებათ საცდელი მობილიზაცია. მაშ რატომ მათაც არ უნდა ჩააბარონ გამოცდები.

მცირე ხნის განმავლობაში მთავარ სახელოსნოს კარებს მოაწყდა ზღვა ხალხი. ბევრი მათგანი შეიარაღებულია გაზის საწინააღმდეგო ნიღაბებით და პირველი დახმარების ხელსაწყო იარაღებით.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების შესაკრები ადგილი მეთორმეტე სამილიციო უბანია.

თერთმეტ საათზე თავდაცვა-ავიაქიმის რაზმი უკვე მზად იყო.

შესაკრებ ადგილიდან რაზმი გაემგზავრა სადგურის ქუჩაზე საცდელ მობილიზაციაში გაწვეულთა შესაკრებ ადგილზე, სადაც მან ბრწყინვალედ ჩააბარა თავდაცვისათვის ბრძოლის გამოცდა.

ვ. ნ—ლი.

შესაკრებ პუნქტზე

შესაკრებ პუნქტზე გუშინ დილიდანვე ზღვა ხალხი მოაწყდა. აღარ იყო ტევა არც ქუჩაში, არც კიბეებზე და არც ეზოში.

— ამხანაგებო! წყნარად, ნუ აჩქარდებით, —იძახის დერეფნიდან შესაკრებ პუნქტის თანამშრომელი.

— მალე გაგვატარე აღრიცხვაზე და გაგვიშვით დანიშნულ ადგილისაკენ,—ისმის გაწვეულთა ხმა.

— მოიცა ამხანაგო, რიგრიგობით შემოდით —გაისმის ხმა დერეფნიდან.

ამ ლაპარაკის დროს შევდივარ პუნქტის შენობაში.

მისაღები ოთახი საავადმყოფოს უფრო გავს, ვიდრე შესაკრებ პუნქტს. შევდივარ დანარჩენ ოთახებში. იქაც ასეთი სურათი. სუფთა იატაკი, მაგიდები და სკამები

— არ გახსოვს, ვანო, როგორი სიბინძურე იყო ძველ დროს შესაკრებ პუნქტებზე? ეკითხება ერთი გაწვეულთაგანი თავის ამხანაგს.

— როგორ არ ვიცი, კაცო, მაშინ შესაკრები პუნქტები საქათმეს უფრო გავდა, ვინემ პუნქტის შენობას.

— სწორედ ამაზე მომაგონდა. წინად ზოგიერთი სამობილიზაციო პირები განზრახ ისნეულებდნენ თავს, რომ თავიდან აეცდინათ ჯარში გაწვევა, ეხლა ხედავ, როგორ უსიტყვოთ მიეშურებიან შესაკრებ პუნქტისაკენ,—ჩაერია ლაპარაკში მესამე.

შესაკრებ პუნქტის ცნობათა მაგიდასთან გაცხარებული საუბარი სწარმოებს.

— ამხანაგო, თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სახლში, რადგან მობილიზაცია არ გეხებათ,— ეუბნება ცნობის ბიუროს ინსტრუქტორი კარებთან ატუზულ კაცს.

— ეს არაფერს ნიშნავს, გამგზავნეთ სადმე სამუშაოთ.

— ამხანაგო, შენ გადარიცხული ხარ ჯარის გარეშე სამსახურისათვის და საცდელი მობილიზაცია არ გეხება.

— „დავბრაკეს" არა, ვანოჯან—გაეხუმრა მას ამხანაგი.

— შენ ხუმრობ და მე კი მწყინს, რომ არ მივყავართ ჯარში.

— ომი ხომ არ არის კაცო, რათ იწუხებ თავს ტყუილა უბრალოდ, ჩაერევა ლაპარაკში მესამე ამხანაგი.

— ვიცი არ არის, მაგრამ მეც მინდა გამოვცადო ჩემი თავი.

დილის 10 საათზე სახე გაფითრებული მოდის ერთი ახალგაზრდა და სწუხს.

— დამაგვიანდა, არ ვიცი როგორ მოვიქცე, მასწავლეთ რამე, რომ დეზერტირათ არ ჩამთვალონ.

— დაიგვიანეთ ყმაწვილო? სად იყავით ამდენ ხანს?—ეკითხება მას პუნქტის თანამშრომელი.

— მართალია დავაგვიანე, მაგრამ მოწმობები მაქვს, რომ შვებულებაში ვიყავი სოფლად. როცა გაზეთში წავიკითხე ცნობა საცდელ მობილიზაციის გამოცხადების შესახებ, იმ წამსვე გამოვეშურე თბილისაკენ.

შესაკრებ პუნქტის შუა ეზოში არის კოოპერატიული დუქნები. სჩანს კოოპერაციას ამ მხრით დიდი მუშაობა ჩაუტარებია.

იქვეა მოწყობილი მაგიდები და სკამები. სადაც გაწვეულები ისვენებენ და საუზმობენ.

შესაკრებ პუნქტზე განუწყვეტელი მოძრაობა, მხიარულობა და ჟრიამულია. აქ ყოვნა კაცს არასოდეს არ მოსწყინდება.

თ. ქ.

საცდელი მობილიზაციით გაწვეულნი რეგისტრაციის მოლოდინში ჟურნალ გაზეთებს კითხულობენ აგიტ-პუნქტის სამკითხველოში

საექიმო დახმარება საცდელი მობილიზაციის დროს

საქ. წითელი ჯვარი უკვე 24 აგვისტოდან შეუდგა თავისი პირველ საექიმო დახმარების რაზმების თავმოყრას.

პირველი საექიმო დახმარების რაზმები მიმაგრებულია თავდაცვა-ავიაქიმის რაზმებზე ქალაქის 6 რაიონში.

რაზმები უზრუნველყოფილია საკაცეებით, გაზის საწინააღმდეგო ნიღბებით და სხვადასხვა მედიკამენტებით.

წითელი ჯვრის საექიმო დახმარების რაზმები თავდაცვა-ავიაქიმის რაზმებთან ერთად საცდელი მობილიზაციის რეზერვს წარმოადგენენ და საჭიროების დროს უვლიან დაჭრილებს და მოსახლეობას აცნობენ თავდაცვის საშუალებათა მიზანშეწონილათ გამოყენებას.

გუშინ ქალაქის რამდენიმე რაიონში მოეწყო ომის ინსცენიროვკა, თავდაცვა-ავიაქიმის და წითელი ჯვრის რაზმების მონაწილეობით.

ინსცენიროვკამ მიიზიდა დიდძალი ხალხი, რომელიც არაჩვეულებრივი ინტერესით ადევნებდა თვალს რაზმების მოხდენილ მუშაობას.

თავდაცვა-ავიაქიმის რაზმებს ხელმძღვანელობს ამხ. ლ. აბაშიძე და წითელი ჯვრის რაზმებს ამხ. იაკობაშვილი.

იმ რაიონებში, სადაც მიმაგრებულია წითელი ჯვრის რაზმები, მოეწყობა ლექციები და საუბრები სანიტარული მუშაობის შესახებ თავდაცვის დროს.

რაც შეეხება საექიმო დახმარების საქმეს თბილისის მაზრაში, ადგილობრივი წითელი ჯვრის ორგანიზაციები უკვე შეუდგენ პირველ საექიმო დახმარების საქმის მოწყობას.

„მტერი" შესაკრებ პუნქტზე

თბილისის სამხედრო კომისარიატის ცენტრალურ შესაკრებ პუნქტზე 6 საათიდანვე ფუსფუსია. აგიტპროპი, საცნობარო მაგიდა, მიმღები და საექიმო კომისიები წვეულთა შესახვედრად ემზადებიან.

პუნქტის შენობის კედლები სამხედრო პლაკატებით არის მორთული. ეზოში მაგიდებზე დალაგებულია ლიტერატურა, აწყვია [illegible] ქადრაკი, ნარდი და სხვა სათამაშოები.

რვა საათიდან უკვე იწყება წვეულთა გამოცხადება. მოდის თითო-ოროლა კაცი, უმეტესად ისინი, რომლებსაც საადრიცხვო ბარათი დაკარგვიათ, ან და ვინც თბილისში მხოლოდ სტუმრად იმყოფება. ასეთებს აძლევენ ახსნა-განმარტებას, რეგისტრაციაში კი არ ატარებენ.

10 საათზე მოდის გაწვეულთა პირველი პარტია—თბილისის პირველი რაიონის მცხოვრებნი. იწყებენ მუშაობას მიმღები კომისიები, საექიმო კომისიები...

შესაკრები პუნქტის ეზოში დიდი ჟრიამულია. რიგის მომლოდინე წვეულნი ათვალიერებენ სამხედრო პლაკატებს, სადაც ქიმიური საშუალებებით ბრძოლაა გამოხატული. ისინი ინტერესით ისმენენ პროპაგანდისტთა ახსნა-განმარტებას საწამლავი გაზებიდან თავდაცვის შესახებ.

უეცრად გაისმის ხმა:

— ამხანაგებო, მიიწიეთ ფარდულისაკენ, წარმოიდგინოთ, რომ ჩვენ პუნქტს მტერი საწამლავი გაზებით თავს დაესხა, ეზო „მოშხამულია".

ეზო თავისუფლდება. ხალხი [illegible] მიეფარა, მხოლოდ შუა ადგილას რამოდენიმე „მოწამლული" კაცის „გვამია" დარჩენილი.

ჩნდება თავდაცვა-ავიაქიმის რაზმი.

ნიღაბ აფარებული რაზმელები ასხურებენ გაზის საწინააღმდეგო სითხეს,—დაჭრილები კრებენ „მოშხამულ" და „დაჭრილ" ხალხს, ჰყავთ „სამშვიდობო" ადგილისაკენ და იქ „პირველ დახმარებას" უწევენ.

სახლის თავზე ბოლი გამოჩნდა. თურმე „მტრის ყუმბარებმა" სახურავს „ხანძარი" გაუჩინეს და მთელ შენობას განადგურება მოელის. მაგრამ ქიმიურ რაზმებზე არა ნაკლებ გამბედაობას იჩენს მეხანძრეთა რაზმი. გრძელ და ფართო განაკვეთიან მილებს ანკარა შადრევნებით ხელოვნური წვიმა მოჰყავს და „ცეცხლი" ორი წუთის განმავლობაში ქრება..

„გაზებთან" ბრძოლა დასრულდა, ავიაქიმის რაზმები მწყობრი ნაბიჯით გადიან შესაკრებ პუნქტიდან.

წვეულთა ჯგუფები ისევ უბრუნდებიან ჩვეულებრივ მდგომარეობას. ზოგი ჭადრაკის თამაშს აგრძელებს ზოგიც გაზეთებს და ჟურნალებს ეტანება. აღსანიშნავია ერთი გარემოება: გაზეთების და სხვა ლიტერატურის შეკვრები პუნქტზე დილით მოიტანეს, მაგრამ, ვისი დაუდევრობით იყო არ ვიცი, თორმეტ საათამდე არ გაუხსნიათ.

მთელი პუნქტი გამოაცოცხლა წვეულთა პარტიის მოსვლამ მაზრიდან. მზის სხივებით გაშავებული, ძარღვიანი გლეხები მუსიკით მოდიან სამხედრო გამოცდის ჩასაბარებლად.

დოლმა ლეკური დაუკრა... ორმა გაწვეულმა ერთი მოხდენილად ჩამოუარა და შემდეგ მთელი პარტია ტაშისა და ვაშას გუგუნში წვეულთა დანარჩენ მასას შეუერთდა.

კანდიდ.

იქ, სადაც მოჰყავდათ ცხენები

(მეორე დღე)

ცხენების და გადასაზიდ საშუალებების საცდელი მობილიზაცია დიდუბის სადოღო მოედანზე გუშინ ისეთივე წარმატებით ჩატარდა, როგორც პირველ დღეს. არავითარ ყოყმანს, ცხენების ან გადასაზიდ საშუალებების გადამალვას ადგილი არ ჰქონია.

დილიდანვე სადოღო მოედანის მახლობელი ქუჩები გაჭედილია ცხენებით და პავოზკებით. გზაში მტვერის კორიანტელი სდგას.

მოედანზე თავი მოუყრიათ თბილისის მაზრის მცხოვრებთ თავიანთი ცხენებით, ურმებით და პავოზკებით.

დროგებით და ცხენებით გაჭედილ ქუჩაში ჩვეულებრივ ვეღარ მიიზლაზნებიან ტრამვაის ვაგონები.

აგიტატორები სათანადო ახსნა - განმარტებას აძლევენ ჩამოსულ პირებს საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობის შესახებ.

განცხადებების დაფასთან თავი მოუყრია რამდენიმე პირს. აგიტატორი კითხულობს განცხადებას. გლეხები კი დიდი ყურადღებით უგდებენ ყურს.

გაისმის ბრძანება: „ნაბიჯით წინ შემკრებ პუნქტისაკენ" და ჩამწკრივებული გლეხები თავიანთი ცხენებით და პავოზკებით მიეშურებიან დანიშნულ ადგილისაკენ.

ბეითალი - ექიმები ჩვეულებრივ ყურადღებით სინჯავენ სამობილიზაციო ცხენებს.

რამდენიმე საათის შემდეგ ყველანი ისვენებენ.

მაზრიდან ჩამოსული პირები მიდიან მუშკოოპის დუქნებში და სადილობენ.

პუნქტი მოფენილია კოოპერატივის სავაჭროებით, სადაც ბლომად მოიპოვება მასიური მოთხოვნილების საგნები.

დასვენებისას სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსული გლეხები ესაუბრებიან ერთმანეთს.

— როცა გაიგეს, რომ საცდელი მობილიზაცია არის გამოცხადებული, მთელი ჩვენი სოფლის გლეხობა ფეხზე დადგა, როგორც ერთი კაცი და ძლიერ მოიწონა მთავრობის ეს ნაბიჯი, — ამბობს ჭაღარა გლეხი.

ყურს უგდებ რას ამბობენ გარე - კახეთიდან ჩამოსული გლეხები.

— თემებში ჩატარდა ვრცელი ახსნა - განმარტება საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მშრომელი გლეხობა ყველგან სრული შეგნებით შეხვდა მობილიზაციას და მასში აქტიურ მონაწილეობას იღებს. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არავითარ ჭორებსა და მითქმა - მოთქმას არ აქვს ადგილი, —ლაპარაკობენ ისინი.

აღსანიშნავია, რომ გუშინაც არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა სჩივრის შეტანისა მიმღებ კომისიის უკანონო მოქმედების შესახებ.

დღისით ცხენთა და გადასაზიდ საშუალებების შესაკრებ პუნქტი დაათვალიერეს კავკასიის წითელ დროშიან არმიის სარდალმა ამხ. ლევანდოვსკიმ, ქართული დივიზიის მეთაურმა ამხ. გორგაძემ, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. ხელაშვილმა და სხვ.

სრულ 10 საათზე მიმღებმა კომისიამ დაასრულა მუშაობა, რის შემდეგ ცხენები და გადასაზიდი საშუალებები დაუბრუნდა მათ მეპატრონეებს.

ნელა და მძიმედ გადიან ქუჩაში ცხენოსანი რაზმები და ბრუნდებიან თავიანთ სახლებისაკენ.

თ—ი.

მუშათა კრებებზე

პირველ დაძახილზე მზად ვართ

25 აგვისტოს ტყავ-ტრესტის ქარხნებში ჩვეულებრივი მუშაობა მიმდინარეობდა. ზოგ მუშას წინადღით, საღამოთ უკვე გაგებული ჰქონდა საცდელი მობილიზაცია. ერთი განცხადება საცდელი მობილიზაციის შესახებ ქარხნის შესავალ კარებთან იყო გაკრული.

დილით, მუშაობის დაწყებამდე, მუშები საფუძვლიანად გაეცვნენ განცხადების შინაარსს და საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობას და დამშვიდებით შეუდგნენ ჩვეულებრივ მუშაობას.

საცდელ მობილიზაციაში მოყოლილი მუშები დილიდანვე განთავისუფლეს სამუშაოდან. ყველა მათგანი სიხარულით მიეშურება შესაკრებ პუნქტისაკენ.

12 საათს 10 წუთი აკლია. გაისმის საყვირის ხმა. მუშები თავს ანებებენ სამუშაოს და გროვდებიან ქარხნის ეზოში.

მალე მიტინგიც გაიხსნა. მომხსენებლები ადგილობრივი მუშები არიან. მათ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გააცნეს მუშებს საერთაშორისო მდგომარეობა და მისცეს ყოველი ახსნა-განმარტება საცდელ მობილიზაციის შესახებ.

მოხსენების შემდეგ გამოვიდნენ ადგილობრივი მუშები, რომლებმაც განაცხადეს: „მართალია ეს საცდელი მობილიზაციაა, მაგრამ დე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩვენ ყოველ წუთს მზად ვართ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. პირველ დაძახებისთანავე, ნამდვილ მობილიზაციის დროს, როგორც ერთი ავიღებთ ხელში იარაღს და დავიცავთ მშვიდობიან შრომას საბჭოთა კავშირში".

მიტინგი გათავდა. ტყავ-ტრესტის მუშები მწყობრად გაემართენ დემონსტრაციაზე.

მუშა.

მტერს სათანადოთ უპასუხებთ

26 კომუნარის სახელობის მექანიკური ქარხნის ეზო დღის 12 საათზე გაჭედილი იყო მუშებით. მათ ეს არის გაუნებებიათ თავი მუშაობისათვის და გამოსულან ეზოში მფრინავ მიტინგზე დასასწრებლად.

გაიხსნა მიტინგი. ამხ. ასრიბეკოვი მოკლეთ აცნობს მუშებს საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობას.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკა ძველმა მუშამ—ამხ. იმედაშვილმა, რომელმაც განაცხადა: „მე იაპონიისა და გერმანია-რუსეთის ომში მიომია. მაშინ მე ძალად მაღვრევინებდნენ მოძმეთა სისხლს იმპერიალისტურ სახელმწიფოს დასაცავად. დღეს ჩვენი ვალია დავიცვათ ჩვენივე ხელისუფლება—მსოფლიოში პირველი სოციალისტური რესპუბლიკა. მიიღეთ [illegible]. ყოველ წუთს თქვენთან ერთად მზად ვიქნები მტერთან შესახვედრათ.

ამხ. იმედაშვილის უკანასკნელი სიტყვა დაჰფარა მქუხარე ტაშმა.

მიტინგის შემდეგ მუშები შეუერთდენ რკინის გზის მუშებს დემონსტრაციაზე წასასვლელად.

ქარხნელი.

დიასახლისთა კრებები

ტრამვაის მუშათა სახლში

ტრამვაის მუშათა სახლების დიასახლისთა კრებაზე, საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მშველიძემ. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო დიასახლისებს საცდელ მობილიზაციის როლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში და მოუწოდა ყველას ხელი შეუწყონ მობილიზაციის წარმატებით ჩატარებას.

— საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა ყოველ ზომებს უნდა მიმართოს მოსალოდნელ ომის თავიდან ასაცილებლად — ამბობს მომხსენებელი, მაგრამ ამავე დროს იგი მზად უნდა იყოს ომისათვის, რათა სათანადო პასუხი გასცეს პროლეტარულ სახელმწიფოს მტრებს.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიც კრება იწონებს საცდელ მობილიზაციის გამოცხადებას და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას მოსალოდნელ ომისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

დამსწრე.

კრება პლეხანოვის სახ. კლუბში

პლეხანოვის სახელობის კლუბის წითელ კუთხეში თავი მოუყრიათ ლენრაიონის დიასახლისებს. ყველა მათგანს აინტერესებს გაიგოს და გაეცნოს რა მნიშვნელობა აქვს საცდელ მობილიზაციას.

კრების გახსნამდე დიასახლისებს მეტად საინტერესო საუბარი ქონდათ. თითქმის ყველა მოსაუბრე აღნიშნავდა საბჭოთა კავშირის მიღწევებს და მოსალოდნელ ომისათვის სამზადისის აუცილებლობას.

საცდელი მობილიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არეშინი და კუჩავა. მომხსენებლები აცნობენ კრებას მობილიზაციის მიზნები და მოუწოდეს ყველას ჩაებან საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება აღნიშნავს, რომ მშრომელი ქალები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თავიანთ ქმრებს, ძმებს და შვილებს, რომ მათ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი ვალი სოციალისტურ სამშობლოს წინაშე.

ს—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაზრაში

(ტელეფონით, ტელეგრაფით და ფოსტით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

გარე-კახეთის სოფლებში

(წერილი ნორიოდან)

24 აგვისტოს შემთხვევით მომხდა სოფელ ნორიოში გამგზავრება. სოფელში იმ დროს ჩავედი, როცა ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცოდა საცდელი მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. სოფელი ჩვეულებრივ მუშაობაში იყო გართული. ზოგი პურს ლეწავდა, ზოგი თივასა და ბზეს ეზიდებოდა, ზოგს გუთნეული შეება და საშემოდგომო თესვისათვის ემზადებოდა. ამხანაგების გადმოცემით საშემოდგომო თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

საღამოს 6 საათია. თემალმასკომის შენობას წინ შეგროვილა გლეხობა და ერთმანეთში მსჯელობენ. ტელეფონის მილი წკრიალებს, ამხანაგები ფუსფუსებენ, ზოგი სადღაც მიიჩქარის. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და ვეკითხები ერთ-ერთ ამხანაგს თუ რაშია საქმე, ახალი ამბავი ხომ არაფერია.

— არაფერი, დეპეშა!..

— რისი?

— საცდელი მობილიზაციის შესახებ.

ეს სიტყვები ისე ჩუმათ მითხრა, თითქოს ეშინია, რომ სხვამ არ გაიგონოსო.

სასწრაფოდ შეგროვდნენ პარტიისა და კომკავშირის წევრები. უკვე დაღამდა, ხალხი თანდათანობით მრავლდება. წინასწარი თათბირის შემდეგ ყველანი სახლებში გაისტუმრეს. დარჩნენ მხოლოდ პასუხისმგებელი ამხანაგები, ისინი ახალ განკარგულებას უცდიან, რასაც ელოდებიან.

ღამის 12 საათზე სართიჭალიდან მოაქვთ განცხადებები და პლაკატები საცდელი მობილიზაციის შესახებ. შეუდგენ მუშაობას: ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ განცხადებები გაიკრა ყველა თვალსაჩინო ადგილას. დაიგზავნა სოფლადაც. დაიგზავნა ამხანაგები უბნებში გლეხებისათვის შესატყობინებლად და მობილიზაციის მნიშვნელობის განსამარტავად.

ელვის სისწრაფით მოედო სოფელს ეს ამბავი. ყველანი დამშვიდებითა და სრული შეგნებით შეხვდა ხელისუფლების ასეთ ნაბიჯს.

— თუ გამოცდაა ნეტავი მეც გამომცადიდნენ, განა რითი ვარ სხვაზე ნაკლები?

— ეგრეა, ეგრე, ჩვენ ჩვენი მოვალეობა ყველამ უნდა მოვიხადოთ;

— ყველანი მზად უნდა ვიყოთ, ვინიცობაა ომი დაიწყოს, მტერს მომზადებული შევხვდეთ;

— დღეს ჩვენი ხელისუფლებაა და ჩვენვე უნდა დავიცვათ;

— ეს მობილიზაცია საუკეთესო გამოცდაა ჩვენთვის;

— მე წითელი არმიის პირველ რიგებში უნდა ვიყო, ვინაიდან იქ ვისწავლე წერა-კითხვა.

ასეთი საუბარი გაისმოდა გლეხობაში.

მეორე დილით გლეხობა თავიანთი ცხენებით და გადასაზიდ საშუალებებით ერთსულოვნად შეგროვდა თემალმასკომთან. დღის 12 საათზე უკვე მთელი თემი მზად იყო. დაეწყვენ მწყობრი რიგებით, წითელი დროშებითა და კახური სიმღერით დაიძრნენ სართიჭალისაკენ.

საერთო მხიარულება და ერიამული ფარავდა იქაურობას. არავითარ შიშს, ჭორებს და ცრუ ხმების გავრცელებას ადგილი არ ქონია. გლეხ-ქალებს მოჰქონდათ სურსათ-სანოვაგე და აღტაცებით აცილებდნენ თავიანთ ქმრებს, ძმებს და შვილებს.

პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აწარმოებდნენ მუშაობას.

ასეთი ერთსულოვნებით შეხვდა ჩვენი სოფელი საცდელ მობილიზაციას.

ვ. ფე—ლი.

სართიჭალის რაიონში

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ცნობა საცდელი მობილიზაციის შესახებ სასწრაფოდ გავრცელდა სართიჭალის რაიონში. გლეხობა მობილიზაციის გამოცხადებას სრული სიმშვიდით და შეგნებულად შეხვდა. მოეწყო მობილიზაციის ხელის შემწყობი კომისიები, რომელნიც დაუყოვნებლივ შეუდგნენ სათადარიგო მუშაობას. თვითეულ სოფელში გაიხსნა ცნობის მომცემი ბიუროები. ისინი დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას სამობილიზაციო საკითხის გაშუქებაში. 25 აგვისტოს სოფლებში ჩატარდა საერთო კრებები. მომხსენებლებმა განუმარტეს გლეხობას საცდელი მობილიზაციის მნიშვნელობა. კრებებზე გლეხობას ერთხმად გამოჰქონდა დადგენილებები რომლებშიაც აღნიშნული იყო—საჭიროების დროს ყველანი იბრძოლებენ საბჭოთა წყობილების დასაცავად.

შესაკრებ პუნქტზე გამოცხადნენ გაცილებით იმაზე მეტი რაოდენობით, რამდენიც წინასწარ იყო გათვალისწინებული.

გლეხობა აღნიშნავდა, რომ ასეთი ერთსულოვნება არასოდეს არ ახსოვს გარე-კახეთის რაიონსო.

25 აგვისტოს განკარგულების თანახმად გაწვეულები უნდა შეკრებილიყვნენ საღამოს 7 საათზე, მიუხედავად ამისა, ისინი წითელი დროშებით, სიმღერით და მწყობრ რიგებად შეიკრიბნენ დღის სამ საათზე. თემალმასკომის ეზოში მოაწყვეს ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა გასართობები.

26 აგვისტოს საღამოთი სართიჭალაში ადგილობრივი დასის მიერ დაიდგა წარმოდგენა „აღთქმულ ქვეყნისაკენ", მობილიზაციაში გაწვეულთათვის. შემდეგ კი გაიმართა დიდი მიტინგი.

დღეს (27 აგვისტოს) დილით გაწვეულები გაემგზავრებიან თბილისში შესაკრებ პუნქტზე გამოსაცხადებლად.

დ. ა—მია.

საგარეჯო

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცდელი მობილიზაცია გამოცხადდა 24 აგვისტოს ღამის 12 საათზე. [illegible] საათისათვის ყველა მოსახლეს, ვისაც კი ეხებოდა გაწვევა, ინდივიდუალურათ ეცნობა ამის შესახებ.

სოფლებში ეწყობა მიტინგები. მიტინგებზე გამოირკვა, რომ გლეხობა მობილიზაციას შეგნებულად ხედავს.

ბედიაშვილი.

საგარეჯო

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საგარეჯოს თემალმასკომმა 24 აგვისტოს ღამის 12 საათზე მიიღო ცნობა საცდელ მობილიზაციის გამოცხადების შესახებ. მაშინვე შეიკრიბნენ თემის პასუხისმგებელი ამხანაგები. შემუშავდა სამოქმედო გეგმა, ყველანი შეუდგა მუშაობას. ღამის 2 საათზე თემის მილიცია და კომკავშირის წევრები მზად იყვნენ ყოველგვარი განკარგულების შესასრულებლად. სასწრაფოდ გამოაკრეს განცხადებები თვალსაჩინო პუნქტებში. თემის ყველა სოფლებში დაიგზავნა ამხანაგები საჭირო ახსნა-განმარტების მისაცემად.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, როცა დანიშნულ ადგილებში დიდძალმა გლეხობამ მოიყარა თავი. აქვე შეგროვდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები და ბავშვებიც. გაიმართა სახალხო მიტინგები. სპეციალურად გამოყოფილი მომხსენებლები აცნობდნენ დამსწრეთ საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობას.

იმავე დღეს თემის ყველა სოფლებიდან დაიძრა გლეხობა თავიანთი ცხენებით, ფურგუნებით, ეტლებით და სხვა გადასაზიდ საშუალებებით დანიშნულ პუნქტებისაკენ.

განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინა კომკავშირის ორგანიზაციამ, რომელიც აქ 170 კაცისაგან შესდგება. ყველა ისინი დაკისრებულ სამუშაოს მკვირცხლად ასრულებდნენ. ასეთივე მხურვალე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ქალთა ორგანიზაციაც.

მშრომელი გლეხობა სრული ერთსულოვნობით შეხვდა ხელისუფლების ნაბიჯს და არავითარ გაუგებრობას და ცრუ ხმების გავრცელებას ადგილი არ ქონია.

შავსოფლელი.

პრიუტის თემში

(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცდელი მობილიზაციის გამოცხადების ცნობის მიღებისთანავე დატრიალდა პრიუტის თემის საბჭო და პარტიული ორგანიზაცია. სოფლებში დაგზავნილ იქნა ხალხი, რომლებსაც შეატყობინა გლეხობას საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება საცდელი მობილიზაციის ჩატარების შესახებ. სოფლებში დარიგებულ იქნა პლაკატები და ლოზუნგები.

გუშინ, ჩატარებული იქნა ცხენებისა და გადასაზიდ საშუალებათა მობილიზაცია, რომელიც წარმატებით დამთავრდა.

დღეს, 27 აგვისტოს, დილიდან დაიწყება გაწვეულთა გამოცხადება შესაკრებ პუნქტზე. დღის ორ საათზე მახლობელ თემების გაწვეულებთან ერთად გამოვემგზავრებით თბილისის შესაკრებ პუნქტისაკენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გლეხობა შეგნებულათ შეხვდა მთავრობის მოწოდებას და ხალისით ასრულებს მის ბრძანებას. ჭორებსა და მითქმა-მოთქმას ადგილი არ ჰქონია, რადგან საგიტაციო მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე იყო დაყენებული.

საღამოს თემის ცენტრში შეკრებილ გლეხებს აჩვენეს კინო სურათი.

სილოვან დოლიძე.

მანგლისში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცდელი მობილიზაციის გამოცხადებას მანგლისის რაიონიც შეგნებულად შეხვდა. ამ ცნობის მიღებისთანავე მანგლისის პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მზადებას. რაიონში შემავალ ყველა სოფელში დაიგზავნა მომხსენებლები მიტინგების მოსაწყობად და საუბრების ჩასატარებლად. 25 აგვისტოს საღამოთი თითქმის ყველამ იცოდა საცდელი მობილიზაციის ჩატარების მნიშვნელობა. საღამო ხანს მანგლისის ფართო მოედანზე თავი მოიყარა ხალხმა და მსჯელობდნენ მობილიზაციაზე.

ბაზარი ცოცხალი იყო. ყველგან სიწყნარეა. მხოლოდ შესაკრები პუნქტი სავსე იყო სოფლებიდან გლეხების მიერ ჩამოყვანილ ცხენებით და „პოვოზკებით", რომლებიც აღრიცხვაზე აყავდა მიმღებ კომისიას.

— ამაღამ აქ უნდა დარჩეთ? ვეკითხები ერთ მოხუც გლეხს, რომელიც ჯოხს დაყრდნობოდა.

— არ ვიცი, შენი ჭირიმე, ჩვენი ცხენები ჯერ აღრიცხვაზე არ გაუტარებიათ, ვინ იცის ხვალ დილამდე არ მოგვიწიოს „ოჩერედმა".

— ხომ იცით, რისთვისაც ხართ შეკრებილნი?

— როგორ არ ვიცით, დღეს დილით ადრე გამოგვიცხადეს სოფელში, რომ თქვენი ცხენებით უნდა გამოცხადდეთ მანგლისში, საცდელი მობილიზაციაა—იყო პასუხი.

— საგზალი ხომ წამოღებული გაქვთ?

— ყველას წამოღებული გვაქვს სამ-სამი დღის სამყოფი, მზად ვართ საცდელ მობილიზაციისათვის. მეც აქა ვარ და ჩემი ცხენებიც, სადაც უნდა წაგვიყვანონ—წამოიძახა ერთმა ახალგაზრდა გლეხმა.

მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ცხენებისა და გადასაზიდ საშუალებათა აღრიცხვა.

სულიერი განწყობილება გლეხებში საუცხოვო იყო.

26 აგვისტოს დილით შესაკრები პუნქტი ცხენებით და გადასაზიდ საშუალებებითაა დაფარული. გლეხები ელოდებიან ბრძანებას თბილისისაკენ გამგზავრებისათვის. ყველგან სიმშვიდეა, ვაჭრობა კოოპერატივებში, ისე კერძო დუქნებშიც, ნორმალურად მიმდინარეობს.

— გაზეთები მოაქვთ ჩვენთვის, გაზეთები—წამოიძახა ერთმა გლეხმა, რომლის გაგონებაზედაც გლეხები წამოიშალნენ. ორ მილიციელს, მართლაც მოჰქონდა ბლომად გაზეთები. ცოტა ხნის შემდეგ ყველას გაზეთები ეჭირა ხელში: „კომუნისტი", „მუშა", „ზარია ვოსტოკა", „რაბოჩაია პრავდა" და „პროლეტარი"—დაურიგდა გლეხებს.

— არტო! მომეცი ერთი გაზეთი—მიაძახა ერთ-ერთ ვაჭარმა მილიციელს, რომელსაც რამდენიმე ეკზემპლიარი დარჩენოდა ხელში.

— ჩვენ ვაჭრებს არაფერს ვაძლევთ—იყო მილიციელის პასუხი.

დღის 11 საათზე გლეხები ცხენებით და გადასაზიდი საშუალებებით გაემგზავრნენ თბილისისაკენ.

27 აგვისტოს, დილით შეიკრიბებიან გამოწვეულნი შესაკრებ პუნქტზე. მანგლისელები შეუერთდებიან სოფ. პრიუტის გამოწვეულებს და ერთად გაემართებიან თბილისისაკენ.

ალმასკომი, პარტკომი, მილიცია ყველანი ხელს უწყობენ საცდელ მობილიზაციის ბრწყინვალედ ჩატარებას. გლეხობა ხალისით ცხადდება შესაკრებ პუნქტზე.

ვ. მთვრალაშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 26 აგვისტო. 25 აგვისტოს კრემლში გაიხსნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი.

პლენუმის დღიურ წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) თვითკრიტიკის გატარების პირველი შედეგები (მომხსენებელი—ამხ. ლებედი) 2) სამეურნეო ორგანოების მუშაობის შემოწმების შედეგები მრეწველობის რაციონალიზაციის დარგში (მომხსენებელი—ამხ. კაგანოვიჩი, თანამომხსენებელი—ამხ. კუიბიშევი), 3) ურალის მუშათა და გლეხთა ინსპექციის საოლქო საკონტროლო კომისიის მუშაობა (მომხსენებლები ამხ. ლარიჩევი და ამხ. ოსმოვი).

დილით პლენუმმა მოისმინა ამხ. ლებედის მოხსენება დღიური წესრიგის პირველი საკითხის შესახებ. დილის სხდომის ბოლო და მთელი საღამოს სხდომა მოუნდა კამათს.

ამხ. ლებედის მოხსენება

თვითკრიტიკის გატარების პირველი შედეგების შესახებ

„ც. კ.-მა თავის მიმართვაში პარტიის ყველა წევრისადმი,—სთქვა ამხ. ლებედმა,—ძირითად ამოცანად დასახა მუშათა მასების აქტივობის გაძლიერება როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკურ დეფექტებთან ბრძოლაში. ჩვენი ორგანიზაციებისაგან, პირველ ყოვლისა კი პარტიული ორგანიზაციებისაგან, მოსალოდნელი იყო დაუყოვნებელი აქტივობა. მაგრამ, როგორც ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ მოხდენილ შემოწმების მასალებიდან სჩანს, მრავალი ორგანიზაცია დროზე არ გამოეხმაურა ც. კ. მიმართვას და სათანადო ყურადღებით არ მოეპყრო მას. ზოგმა თვითკრიტიკის გატარება მორიგ კამპანიად მიიჩნია. ეს იმას მოწმობს, რომ მრავალმა ამხანაგმა და ორგანიზაციამ სათანადო ანგარიში ვერ გაუწია შახტის საქმეს და იმ ნაკლებად მნიშვნელოვან იარებს, რომელნიც მრავალ სხვა ორგანიზაციაში გამოაშკარავდნენ. ამ ამხანაგებმა ვერ შეიგნეს, რომ ჩვენი ორგანიზაციის ცალკე უჯრედების გადაგვარებასთან ბრძოლა და მავნე ელემენტების ამოფხვრა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაძლიერებული იქნება მასების აქტივობა და თუ თვითკრიტიკა მთელი სიგრძე-სიგანით გადაიშლება.

როგორც თვითკრიტიკის პირველი შედეგების შემოწმებამ გამოარკვია, თვითკრიტიკის განვითარების მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის, რომ ზოგიერთი ამხანაგები შეცადნენ თვითკრიტიკა შეეზღუდათ რაღაც ჩარჩოებით: ამის გაკრიტიკება შეიძლება, ამისა კი არა, ამის შესახებ შეიძლება ლაპარაკი, ამის შესახებ კი არაო, ამბობდნენ ისინი. ზოგიერთი უჯრედისა და პროფესიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელებს ეშინოდათ ეკარგათ თვითკრიტიკის ხელმძღვანელობა. ამის შედეგი იყო ის, რომ ცალკე უჯრედებმა ხელიდან გაუშვეს ხელმძღვანელობის სადავე და უპარტიო მუშაკებს მისჩანჩალებდნენ.

თვითკრიტიკის გატარების ძირითად ნაკლს წარმოადგენს შემოქმედებითი შინაარსის გამოცლა თვითკრიტიკისათვის. თვითკრიტიკა, უწინარეს ყოვლისა იმისათვის არის საჭირო, რომ მუშების წინადადებებისა და შენიშვნების საშუალებით თავიდან ავიცილოთ დეფექტები. სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ ვხედავთ.

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა ც. კ. მიმართვის განხილვა.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ რომელმაც თვითკრიტიკის გატარების ორი შემოწმება მოახდინა, აღმოაჩინა, რომ ბევრგან უდიდეს წარმოებებში, ორი თვის განმავლობაში მიმართვის გამოქვეყნების დღიდან, მიმართვა არ განუხილავთ არა თუ უპარტიოებს, არამედ პარტიულ კრებებსაც. აღმოჩნდა ზოგიერთი დეფექტი თვითკრიტიკის პრაქტიკული ჩატარების საქმეშიც. ყველა ორგანიზაციამ არ შეასრულა ცეკას წინადადება შინაპარტიულ კრიტიკის თავისუფლების უზრუნველყოფის შესახებ, როდესაც, მაგალითად, ლენინგრადში, პუტილოვის ქარხანაში, ერთმა პარტიულმა აღნიშნა, რომ მაისის დღესასწაულის დროს ადგილი ჰქონდა ლოთობას, რაიონის კომიტეტის მდივანმა, რომელიც კრებას დაესწრო, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და განაცხადა: „ამის შესახებ უნდა ილაპარაკოთ იქ, სადაც საჭიროა და არა აქ"-ო. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაიონის კომიტეტის მდივნის წინადადებით, გადასწყვიტეს—თვითკრიტიკის საკითხს შეეხონ მხოლოდ თეორეტიულად. ხარკოვში [illegible] უჯრედში ერთმა პარტიულმა განაცხადა: მე ვერ გამოვალ კრიტიკით, რადგან სამუშაოზე მიღების დროს გამაფრთხილეს: თუ მუშაობა გინდა ჩუმად იყავიო. არის შემთხვევები, როცა ზოგი ანტი-საბჭოთა ელემენტი ცდილობს თვითკრიტიკა ჩვენდა საზიანოდ გამოიყენოს. ამის გამო ზოგიერთ ამხანაგს ეჭვი შეაქვს თვითკრიტიკის მიზანშეწონილებაში: აი, ხომ ხედავთ, ეს ხელსაყრელია ჩვენი მტრებისათვის,—ამბობენ ისინი.

ასეთი მოსაზრება მოკლებულია ყოველსავე საფუძველს, რადგან ყოველ კრებაზე შეიძლება ანტისაბჭოთა ელემენტების მხილება. მუშები ყოველთვის გაერკვევიან—სად არის საღი თვითკრიტიკა და სად მავნებელი.

პარტიული ორგანიზაციის ზოგი ხელმძღვანელი ძალიან „მშვიდად" ეგებება თვითკრიტიკას. მაგალითად, კუზნეცის ოლქში (ციმბირში), სადაც აღმოაჩინეს ხელმძღვანელ ორგანოთა მოწყვეტილობა მასებისაგან და სხვა დეფექტები, როდესაც უჯრედებმა მოითხოვეს სასტიკი ზომების მიღება, საოლქო კომიტეტის მდივანმა მოათავსა გაზეთში წერილი შემდეგი სათაურით: „მშვიდად, ნუ აჩქარდებით". საჭიროა სასტიკად მოვექცეთ ყველა იმას, ვინც აფუჩეჩებს თვითკრიტიკის საქმეს, ყველა იმ სამეურნეო მუშაკს, რომელიც არ ანხორციელებს მუშათა წინადადებებს, ყურს არ უგდებს საწარმოო თათბირებს და პრაქტიკულ შინაარს აცლის მუშათა კრიტიკას. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, რომ შესაძლებელია მუშების ყველა წინადადების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს სულ არა აქვს წინადადებების გატარების სურვილი.

მუშების წინადადებებისადმი ისეთი უყურადღებობისათვის მუშაკებმა პერსონალურად უნდა აგონ პასუხი.

თვითკრიტიკის გატარების ერთ-ერთ დაბრკოლებას წარმოადგენს მუშკორების დევნა. დღესაც ხშირია მუშკორებთან ანგარიშის გასწორების შემთხვევები, ამა თუ იმ მამხილებელი წერილისათვის, ზოგიერთ შემთხვევაში იმასაც კი ცდილობენ, რომ ასეთ წერილებს წინასწარი კონტროლი დაუნიშნონ.

შემდეგ ამხ. ლებედი შეჩერდა თვითკრიტიკის დადებით შედეგებზე და აღნიშნა, რომ მრავალ ორგანიზაციაში სწარმოებს მასიური მუშაობა. გაიზარდა გამოსვლების რიცხვი მუშათა კრებებზე, გაიზარდა გაზეთებში წერილებისა და წინადადებების რაოდენობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ უპარტიო მუშების ძირითადმა მასამ სწორად გაიგო ცეკას მიმართვა.

რემედასის აღმასკომის პროტესტი

მოსკოვი, 26 აგვისტო. რემედასის აღმასკომმა გამოუშვა მოწოდება-პროტესტი ლანცუცკის ხელახლა დაპატიმრების შესახებ.

„პოლონეთიდან,—ნათქვამია მოწოდებაში,—უკვე მოგვდის პირველი ცნობები იმ დიდი აღშფოთების შესახებ, რომლითაც შეხვდნენ ლანცუცკის დაპატიმრებას. პირველად გამოვიდნენ საბრძოლველად ვარშავის საპყრობილეების პოლიტპატიმარნი, რომელთაც გამოაცხადეს შიმშილობა-პროტესტი თავიანთი ჯალათების წინააღმდეგ და რომელნიც რესპუბლიკის პრეზიდენტის [illegible] ბრძანებით გადაყვანილ იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეების მდგომარეობაზე. ისინი ეხლა მარტოდ-მარტონი ტრაგიკულ ბრძოლას აწარმოებენ თავიანთ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. ყოველი მშრომელის გული უნდა აღივსოს ღრმა ზიზღით. პოლონეთის ფაშიზმის აშკარა თვითნებობისადმი. მსოფლიოს უნდა მოედოს აღშფოთების ერთსულოვანი ხმა: ძირს ფაშისტური თეთრი ტერორი პოლონეთში! თავისუფლება ლანცუცკის! დაუყოვნებლივი საერთო ამნისტია პოლონეთის პოლიტპატიმართ!" (ადს).

გადაფრენა ბერლინიდან ვლადივოსტოკში

მოსკოვი, 26 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის ინსპექციამ მიიღო ცნობა, რომ მახლობელ დღეებში ბერლინიდან ვლადივოსტოკში გადმოფრინდება თვითმფრინავი „იუნკერსი 33". თვითმფრინავზე იქნებიან ცნობილი მფრინავები რისტი და ციმერმანი. რომელთაც ამას წინეთ დაამყარეს ფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი. დაფრენის მიზანია ფრენის ხანგრძლივობის ახალი რეკორდის დამყარება.

მუშკოოპი საცდელი მობილიზაციის დღეებში

— როგორ შეხვდა მუშკოოპი საცდელ მობილიზაციას?—ვეკითხები ერთ ჩემ ნაცნობ თბილისელ კოოპერატორს, რომელიც მუშკოოპის გამგეობაში მუშაობს.

მისაღებ პუნქტებზე სასწრაფოდ გადატანილ იქნა მექანიკური ფარდულები, რომელიც გაკეთებულია მუშკოოპის მოსამსახურე—დაწინაურებულ მუშის ამხ. გოცირიძის პროექტის მიხედვით. მუშა გოცირიძეს, როგორც ასეთ საქმეებში გამოცდილ ხელოსანს, მიეცა შეკვეთა, რომ გაეკეთებინა ფარდული, რომლის აწყობა და დადგმა რამდენიმე წუთზე მეტს არ ისაჭიროებდა. გოცირიძემ ბრწყინვალედ გადასჭრა მიცემული ამოცანა: მობილიზაციის გამოცხადებამდე ორი დღით ადრე მუშკოოპის გამგეობას ჩააბარა მექანიზაციაქმნილი ფარდულები, რომლის აწყობასა და დადგმას 10 წუთზე მეტი არ სჭირდება.

ყველა შესაკრებ პუნქტებზე უკვე იდგა ფარდულები, რომელთა ყაფაზებზე უკვე ეწყო სურსათ-სანოვაგე: თამბაქო, ხილი, სასმელი წყალი და სხვა პირველი საჭიროების საგნები. ამავე ღამეს შესაკრებ პუნქტებზე დაიგზავნა ორი მოძრავი სამზარეულო, რომელთაგან პირველი ორი საათის განმავლობაში ამზადებს თბილ საჭმელს ათასი კაცისათვის, ხოლო მეორე ხუთასი კაცისათვის. დილიდანვე, როგორც კი გამოწვეულებმა იწყეს შეკრება, სამზარეულომ შეუდგა თბილი საჭმელების დამზადებას. გააჩაღეს მუშაობა აგრეთვე ახლად მოწყობილმა ფარდულებმაც. ნოქრები მუშაობენ სწრაფად, როგორც ამას სამხედრო საქმე მოითხოვს.

იმ მიზნით, რომ მუშკოოპის მუშაობა არ შეფერხებულიყო, გადაწყდა მობილიზაციით გაწვეულთა მოვალეობა დაკისრებოდა დარჩენილ თანამშრომლებით. ამასთანავე მიღებული იქნა ზომები, მუშკოოპის ზოგიერთი დუქნების მოსამარაგებლად ზედმეტი საქონლით იმ მიზნით, რომ ადგილი არა ჰქონოდა პირველი საჭიროების საქონლის ნაკლებობას. გამგეობამ საჭიროდ სცნო აგრეთვე გაედიდებია ქალაქში პურის ცხობა ხუთი ათას-ორას ფუთიდან ექვსი ათას ფუთამდე (ამ ორ დღეში გამოირკვა, რომ დაწესებულ ნორმაზე, ე. ი. ხუთი ათას ორას ფუთზე მეტი გამოცხობა საჭირო არ არის).

ნორმალური მუშაობა არ შეფერხებულა, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე მომხმარებელ მასების სრული სიმშვიდე და მათ მიერ მობილიზაციის ამოცანების სრული შეგნება. არავითარ

ამხ. გოცირიძე

დაწინაურებული მუშა, რომელმაც დაამზადა ფარდულები, რომელთა აწყობასა და დაშლას 10 წუთი უნდა.

კუდებს სხვადასხვა საქონლის მისაღებად, ადგილი არ ჰქონია და არა აქვს.

მუშკოოპის ენერგიული მოქმედების წყალობით ამ მობილიზაციაზე ხელი ვერ მოითბეს კერძო ვაჭრებმა. შესაკრებ პუნქტებზე ვერ ნახავთ კერძო ხილის მოვაჭრეებსაც კი. მობილიზაციით გაწვეულთა მოთხოვნილებებს სავსებით აკმაყოფილებს მუშკოოპის ფარდულები.

დალი.

გერმანია ინგლის-საფრანგეთის ბლოკის წინააღმდეგ

მონღოლეთის მთავრობის დეკლარაცია ბარგის ამბების შესახებ

მღელვარება საფრანგეთის სათადარიგო ჯარისკაცთა შორის

მონღოლეთის მთავრობის დეკლარაცია

ბარგში მომხდარ ამბების შესახებ

ხარბინი, 25 აგვისტო. გაზეთები „მოლვა", „ნოვოსტი" და „გუნ-ბაო" აქვეყნებენ მონღოლეთის რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაციას ბარგში მომხდარ ამბების შესახებ. დეკლარაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელთა ადგილობრივ წრეებზე.

„მოლვა" მოწინავე წერილში სწერს: „ეს დოკუმენტი ააშკარავებს ბარგში მომხდარ ამბების ნამდვილ აზრს. მონღოლეთის რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური განცხადება ასეთი გამოსვლების სულის ჩამდგმელთ უკარგავს უკანასკნელ იმედს—მოამზადონ რაიმე ნიადაგი თუნდაც სიცრუის გზით. ეს განცხადება თავზარს სცემს სახიფათო პოლიტიკური ავანტიურების უიღბლო ინსპირატორებს".

ოფიციალური ჩინური ორგანო „გუნ-ბაო" აქვეყნებს დეკლარაციის ტექსტს და ათავსებს წერილს ასეთი სათაურით: „იაპონური სპილო ბარგის ბუზიდან". წერილში ჩამოთვლილია იაპონიის პროვოკაციული ჭორები ბარგის ამბებში „საბჭოთა კავშირის აგენტების" მონაწილეობის შესახებ. „თუ გავიხსენებთ,—ნათქვამია წერილში,—იმას, რომ ბარგის მოძრაობაში სულ 60 კაცი ღებულობდა მონაწილეობას, ცხადი გახდება, რა უიმედო საქმეს ასრულებდნენ იაპონიის კორესპონდენტები, როცა ასეთ აბდა-უბდას ჩმახავდნენ".

გაზეთი სასტიკად დასცინის „რუსკოე სლოვო"-ს ეგრედ წოდებულ „საკუთარ კორესპონდენტებს", რომლებიც ნამდვილად იაპონიის მისიის თანამშრომლები არიან. „ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ,—სწერს გაზეთი,—რომ საკუთარი კორესპონდენტების ცნობებში ბევრი სისულელეა, განსაკუთრებით სისულელეა, როცა მონღოლებს ცარცვა-გლეჯას სწამებენ". გაზეთი ფიქრობს, რომ მონღოლების გამოსვლა დამთავრდა. „მონღოლებმა ის მოიმოქმედეს, რაც სურდათ,—სწერს გაზეთი,—და ეხლა, დარწმუნებულნი არიან რა, რომ ზოგიერთ უფლებებს ისინი მაინც მიიღებენ, უცდიან, თუ როგორ მოიქცევა ჩინეთი". გაზეთი უარჰყოფს იაპონელების მტკიცებას, თითქოს „მდგომარეობის ბატონები კომუნისტები იყვნენ". და რომ ხოლხა თითქოს, არც მეტი და არც ნაკლები საბჭოთა კავშირის ნაწილი იყოს.

შემდეგ გაზეთი სწერს: „აჯანყებულთა მიზანს ჩინეთთან ომი როდი შეადგენდა, კიდევ უფრო საეჭვოა, რომ მათ მიზანს ბარგის საბჭოთა კავშირთან შეერთება ან იქ კომუნისტური ხელისუფლების დამყარება შეადგენდა". (ადს).

ნანკინი ფულს ეძებს

ტოკიო, 25 აგვისტო. როგორც იტყობინებიან ნანკინის ფინანსთა მინისტრი, რომელსაც ინგლისთან სესხის შესახებ უშედეგო მოლაპარაკება ჰქონდა, მოლაპარაკებას აწარმოებდა ჩრდ.—ამერიკის შეერთებულ შტატებთან. (ადს).

ეშინიათ კომუნისტური პლაკატების

პეკინი, 25 აგვისტო. ხელისუფლებამ აკრძალა ქალაქში პლაკატების გაკვრა უნებართვოდ. ამ აკრძალვას იმით ხსნიან, რომ ბოლო დროს ქუჩებში აუარებელი კომუნისტური პლაკატია გაკრული. (ადს).

იაპონია და მანჯურია

პეკინი, 25 აგვისტო. „ინ-ბაო" აქვეყნებს წერილს, რომელიც იაპონიისა და მანჯურიის ურთიერთობას შეეხება. გაზეთი ამტკიცებს, რომ თავის დროზე ჩან-ძოლინმა არაოფიციალურად (უგარანტიო) მიიღო სესხად 10 მილ. დოლარი, რომელიც არ ყოფილა უზრუნველყოფილი. სამაგიეროდ, ჩან-ძოლინი დასთანხმდა გაეგრძელებია პორტ-არტურის იჯარის ვადა 90 წლით, მიეღო იაპონიის 21 მოთხოვნა, მიეცა იაპონიისათვის მოქმედების თავისუფლება მანჯურიასა და შიდა მონღოლეთში, ხელი შეეწყო იაპონიისათვის ბოლშევიზმთან ბრძოლაში და, ბოლოს, უარი ეთქვა უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების მოთხოვნაზე.

გაზეთის ცნობით, იაპონია მოითხოვს ჩან-სიუე-ლიანისაგან მისი მამის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას, მაგრამ ჩან-სიუე-ლიანი უარს ამბობს. (ადს).

მღელვარება სათადარიგო ჯარისკაცებს შორის საფრანგეთში

პარიზი, 25 აგვისტო. „ჰუმანიტე"-ში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ის პუნქტები, სადაც ადგილი ჰქონდა სათადარიგო ჯარისკაცთა მღელვარებას. ერთ-ერთ პუნქტში ხელისუფლებამ პოლიცია შიგ ბანაკში შეიყვანა.

გაზეთების ცნობით, სენ-ჟერმენში დააპატიმრეს რამდენიმე კომუნისტი, როცა ისინი ჯარისკაცებს პროკლამაციებს ურიგებდნენ.

ტრუაში ტრიბუნალმა 4 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა გაზეთ „დეპეშ"-ის რედაქტორს ზემბერლინს და მეორე გაზეთის რედაქტორს რუსელეს, რომელნიც, როგორც ბრალდება გადმოგვცემს მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს—არ დამორჩილებოდნენ უფროსებს. სასამართლოს შენობის წინ შეკრებილმა ხალხმა მიტინგი გამართა. სოციალისტურმა მუნიციპალიტეტმა აკრძალა მიტინგი, მაგრამ ხალხმა გამართა მეორე მიტინგი, რომელიც პოლიციამ გაჰფანტა.

უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია

ლონდონი, 25 აგვისტო. შერდიჩში გაიხსნა ინგლისის პროფკავშირების უმცირესობის მოძრაობის მეხუთე ყოველწლიური კონფერენცია. კონფერენციის თავმჯდომარედ არჩეულია ტამ მანი. კონფერენციას ესწრება 440 ორგანიზაციის 900 წარმომადგენელი.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო 4 რეზოლუცია: პროფკავშირების დემოკრატიისა და პროფკავშირების რეორგანიზაციის შესახებ. ომის საფრთხისა, მრეწველობის რაციონალიზაციისა და გაფიცვის სტრატეგიის შესახებ. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოში

ბერლინი, 25 აგვისტო. პოლიტიკურ წრეებში არჩევენ საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ დაიკავებს ერთა ლიგის საბჭოში ჩინეთის, კოლუმბიისა და ჰოლანდიის ადგილს, რომლებიც ეხლა გადიან საბჭოს შემადგენლობიდან. ჰოლანდიის ნაცვლად ესპანეთის არჩევა და კოლუმბიის ნაცვლად—ვენეცუელას ან სამხრეთ-ამერიკის სხვა რომელიმე სახელმწიფოსი, საბოლოოდ გადაწყვეტილად ითვლება. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული აზიის რომელი სახელმწიფო დაიკავებს ჩინეთის ადგილს საბჭოში. ფიქრობენ, რომ ჩინეთი განაცხადებს სურვილს—ხელმეორედ აირჩიონ იგი, და ამ სურვილს დააკმაყოფილებენ. თუ ჩინეთის სურვილი არ იქნა დაკმაყოფილებული, მაშინ ყველაზე მეტი შანსი სპარსეთის კანდიდატურას აქვს. (ადს).

ბაქოს ნავთი სპარსეთში

თეირანი, 25 აგვისტო. „შეფაგი" სათაურით „ბაქოს ნავთი სპარსეთში", ათავსებს შემდეგ შენიშვნას: „1928 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთის სამმართველომ, რომელიც ნავთის სინდიკატის განყოფილებას წარმოადგენს, სპარსეთში გაიტანა 8.560 ტონა ბენზინი და 26.850 ტონა ნავთი. გაზაფხულზე ბენზინის გატანა გაიზრდება. სამხრეთ სპარსეთში დაიწყო რუსეთის ნავთის გაყიდვა ბიდონით. ბიდონებით ნავთი გაცილებით უფრო ადვილად იყიდება" (ადს).

წყალქვეშა ნავი „ლ-55"

მოლაპარაკება გრძელდება

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გრძელდება მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან დაღუპულ მეზღვაურთა ნეშტების ინგლისში გადატანის შესახებ, განზრახულია, რომ ინგლისის სავაჭრო გემს, რომელიც საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლისაგან მიიღებს დაღუპულთა ნეშტებს, ბალტიის ზღვაში შეხვდეს მსუბუქი კრეისერი „ჩემპიონი", რომელზედაც მეზღვაურთა ნეშტები იქნება.

ინგლისელ მეზღვაურთა ნეშტების გადაცემის ცერემონიალი

ლენინგრადი, 26 აგვისტო. კრონშტადტიდან გვაცნობებენ, რა წესით მოხდება წყალქვეშა ნავზე „ლ-55"-ზე აღმოჩენილი ინგლისელ მეზღვაურთა ნეშტების გადაცემა.

ნეშტების გადაცემა მოხდება კრონშტადტის გარე რეიდზე, სადაც გაჩერდება ნეშტების მისაღებად მოსული გემი. კუბოებს მეზღვაურთა ნეშტებით უცხოეთის გემამდე მიიტანენ განსაკუთრებული ბარჟით. დაღუპულ მეზღვაურთა კუბოებთან დაყენებული იქნება ბალტიის წითელი ფლოტის საპატიო დარაჯი. კუბოებთან ერთად უცხოეთის ხომალდს გადასცემენ დაღუპულ მეზღვაურთა ნივთებს. როდესაც ბარჟა კრონშტადტის ნავსადგურიდან წავა, ბალტიის ფლოტის გემები დროშებს დაუშვებენ. ნეშტების გადაცემას მოახდენს ბალტიის ზღვის მთავარი სამხედრო-საზღვაო ნავსადგურის უფროსი. მომზადებულია გადაცემის აქტი ორ ცალად, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ადს).

კამპანია ჯავშნოსნის აგების წინააღმდეგ

ბერლინი, 25 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკა აცხადებს, რომ რეიხსტაგის კომუნისტური ფრაქცია ოთხშაბათს შეიტანს კანონპროექტს იმის შესახებ, რომ ჯავშნოსანის აგების საკითხის გამო მოხდეს საყოველთაო კენჭის ყრა. თავის განცხადებაში ცეკა სიხარულით ეგებება იმას, რომ მრავალრიცხოვან წარმოებებზე მუშების ინიციატივით დაარსდა საგანგებო კომიტეტები ჯავშნოსანის აგებისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. ცეკა მოუწოდებს მუშებს—დაარსონ ყველგან ასეთი კომიტეტები და ეცადონ საყოველთაო პლებისციტი გადააქციონ მძლავრ მასიურ გამოსვლად იმპერიალისტური ომის საფრთხის და მშრომელთა ჩაგვრის წინააღმდეგ.

საკითხი საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ განხილული იქნა აგრეთვე ადამიანის უფლების გერმანული ლიგის კრებაზე. რეზოლუცია საყოველთაო კენჭის ყრისთვის მხარის დაჭერის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად კრების მონაწილეების მიერ, მათ შორის კრებაზე დამსწრე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების მიერ. საყოველთაო კენჭის ყრის მოთხოვნას განუწყვეტლად უერთდებიან ახალი ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, სხვადასხვა წარმოების მუშები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

პლაუენის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს სოციალ-დემოკრატ მინისტრების გამორიცხვას პარტიიდან.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტიურინგის საოლქო კომიტეტმა და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანამდებობის პირთა კრებამ დიუსელდორფში მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს სოციალ-დემოკრატ მინისტრების გასვლას მთავრობიდან. ამას გარდა, ტიურინგიის საოლქო კომიტეტი მოითხოვს პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევას.

ტიურინგიის ლანდტაგმა, 27 ხმის უმრავლესობით 26-ის წინააღმდეგ, უარჰყო კომფრაქციის წინადადება ლანდტაგის დათხოვნის შესახებ. კომუნისტების წინადადებას, თვით კომუნისტების გარდა, მხარი დაუჭირეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატებმა.

რეინის ოლქის ევაკუაციის გარშემო

ბერლინი, 24 აგვისტო. შტრეზემანთან ახლო მდგომი „ნაციონალ ლიბერალე კორესპონდენც", კომენტარიებს უკეთებს „დეილი ტელეგრაფი"-ს ცნობას იმის შესახებ, ვითომც საფრანგეთი და ბელგია რეინის მესამე საოკუპაციო ზონის ევაკუაციის პირობად მოითხოვენ შემდეგს: ამ ოლქში უნდა დაწესდეს მუდმივი საერთაშორისო კონტროლი, „აღმოსავლეთ ლოკარნოს" ხელშეკრულება უნდა დაიდოს გერმანიასა და პოლონეთს შორის, გერმანიამ ხელმეორედ უნდა განაცხადოს უარი ავსტრიის შეერთებაზე, გერმანიის მთავრობამ უნდა გამოისყიდოს ბელგიის ოკუპაციის დროს გამოშვებული ქაღალდის ფული და უნდა შეასრულოს დაუესის გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი.

გაზეთი ამის გამო შენიშნავს: „ჩვენ ამ ცნობას სავსებით არა სარწმუნოდ ვთვლით, ვინაიდან ბელგიის და საფრანგეთის ხელმძღვანელ წრეებში მშვენივრად იციან, რომ გერმანიის ის მთავრობა, რომელიც დასთანხმდება ასეთ საფუძველზე აწარმოოს მოლაპარაკება, ხუთ წუთსაც ვერ დარჩება თავის პოსტზე". (ადს).

დე-ვალერას განცხადება

ბერლინი, 25 აგვისტო. ირლანდიის ნაციონალისტების ბელადმა დე-ვალერომ, რომელიც ამჟამად ბერლინში იმყოფება საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციის დელეგატად, პრესის წარმომადგენლებს მისცა ინტერვიუ ირლანდიისა და ინგლისის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. დე-ვალერომ ხაზი გაუსვა, რომ შეთანხმება, რომელიც 1921 წელში დაიდო ინგლისსა და ირლანდიას შორის, ძალით მოახვიეს თავზე ირლანდიას. მისი აზრით, რომ შესაძლო იყოს ნამდვილი საყოველთაო სახალხო კენჭის ყრის ჩატარება ირლანდიაში, უდიდესი უმრავლესობა უეჭველად მიემხრობა ინგლისიდან გამოყოფას. დე-ვალერომ მკაცრად გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, ვითომ ირლანდიამ 1921 წლის ხელშეკრულების შედეგად მიიღო დამოუკიდებლობა, ნამდვილად კი ინგლისი ამჟამად სრული ბატონ-პატრონია ირლანდიაში. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოთმინებასაც და სასრული აქვს

მოსკოვი, 26 აგვისტო. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი იტყობინება, რომ კელოგის პაქტის ხელის მოწერის დღის მოახლოების გამო გერმანიის პრესა გაცხოველებულ კამპანიას აწარმოებს ინგლის-საფრანგეთის ანტანტის წინააღმდეგ. განსაკუთრებით უკმაყოფილოა გერმანიის გაზეთები რეინის ოლქის დაცლის საკითხის დაუსრულებელი გაჭიანურებით. თითქმის ყველა გაზეთების წერილების დედა-აზრი ასეთია: ინგლის-საფრანგეთის ბლოკის წინააღმდეგ ამერიკა-გერმანიის ბლოკი. ამრიგად საფრანგეთ-გერმანიის ისედაც მოჩვენებითი დაახლოება დღეს დიდ განსაცდელშია.

„ბერზენ ცაიტუნგი", მაგალითად, აშკარად სწერს, რომ დადგა დრო, როცა „გერმანიამ სათანადო დასკვნა უნდა გააკეთოს შექმნილ მდგომარეობიდან და გამოსძებნოს ახალი ორიენტაციის გზა". ახალ ორიენტაციის" სახით გაზეთი გულისხმობს ორიენტაციას ამერიკაზე, ვინაიდან იქვე დასძენს, რომ პარიზში შტრეზემანი, კელოგთან შეხვედრის დროს, იქონიებს საუბარს ინგლის-საფრანგეთის ბლოკის საწინააღმდეგო ძალის შექმნის შესახებო.

უკმაყოფილოა ბერლინის პოლიტიკური წრეები ერთა ლიგითაც. ეს, სხვათა შორის, იქედანაც სჩანს, რომ მომავალ სესიაზე ჟენევაში გერმანია გზავნის ჩვეულებრივზე მეტად მცირერიცხოვან დელეგაციას.

დღეს უკვე აღარავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ჩემბერლენის ავად გახდომის ნამდვილი მიზეზი. ჩემბერლენი გაურბის ჟენევაში და პარიზში ჩასვლას. ერთი მხრივ მას არ სურს შეხვედრა კელოგთან, რომელთანაც ბუნებრივად შეუხვდება საუბარი ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის შესახებ და მეორე მხრივ—აიცდენს გერმანიის დელეგაციის საყვედურს ჟენევაში იმის შესახებ, რომ ინგლისმა შეიცვალა თავისი პოზიცია რეინის დაცვის საკითხში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა კომინტერნის კონგრესზე

რატომ არ არის საბჭოთა კავშირში კოლონიალური საკითხი

მოსკოვი, 26 აგვისტო. კომინტერნის მეექვსე კონგრესის სხდომაზე კოლონიალურ საკითხის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მიხა ცხაკაიამ.

რატომ არ არის საბჭოთა კავშირში კოლონიალური საკითხი? განაცხადა ორატორმა და უპასუხა: იმ ტერიტორიაზე, სადაც ეხლა ჩაქუჩ-ნამგლიანი დროშა ფრიალებს, მეფის ბურჟუაზია ნამდვილ კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებდა განაპირა და მცირე ეროვნებებით დასახლებულ რაიონებში.

ამიერ-კავკასია ძველი რუსეთის სხვა ეროვნულ რაიონებთან ერთად კოლონიალურ ექსპლოატაციის ნამდვილ ობიექტს წარმოადგენდა.

ოქტომბერმა ბოლო მოუღო ამას. იქ, სადაც წინად ეროვნული ჩაგვრა და ექსპლოატატორული რეჟიმი იყო, დღეს აღმოცენებულია დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებშიაც იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, მტკიცედ ტარდება ინდუსტრიალიზაცია, სწარმოებს სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ამნაირად საფუძველი ეყრება იმ დამოუკიდებლობას, რომელიც ოქტომბერმა მიანიჭა მცირე დაჩაგრულ ერებს.

ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საბჭოთა კავშირი, არ შეიძლება ადგილი ექნეს კოლონიალურ საკითხს. სხვა ქვეყნებში, კოლონიალური საკითხის გადაწყვეტის დროს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას საბჭოთა კავშირის დიდი გამოცდილება ამ საქმეში.

ამიერ-კავკასიის დელეგაცია საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 26 აგვისტო. საკავშირო სპარტაკიადაში სულ მონაწილეობა მიიღო 41 სხვადასხვა ეროვნებამ. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო რუსები 3.033 კაცი. ქართველები 76 და სომხები 50 კაცი.

მისალმებებზე, რომლითაც მიმართეს საკავშირო სპარტაკიადას საზეიმო სხდომაზე დიდი ოპერის თეატრში, საპასუხო სიტყვით სპარტაკიადის სახელით გამოვიდა ამიერ-კავკასიელი ტესტელეცი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

დღეს გაიხსნება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმი. დღის წესრიგში სდგას ორი საკითხი, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიისა და სოციალისტური განვითარებისათვის საბჭოთა სახელმწიფოში. ეს საკითხებია: თვითკრიტიკის პირველი შედეგები და რაციონალიზაციის შედეგები (მთავრობისა და პარტიის იმ დირექტივების შესრულების შემოწმება, რომლებიც მრეწველობის რაციონალიზაციას შეეხებიან).

შეიძლება სთქვან, რომ ჯერ ძალიან ადრეა თვითკრიტიკის გატარების პირველი შედეგების საკითხის დასმა, ძალიან ცოტა დრომ გაიარა, რომ შესაძლო იყოს პირველი შედეგების გამორკვევა, ჯერ კიდევ ძალიან მცირეოდენად ამოძრავდნენ მასები, რომ დავინახოთ თვითკრიტიკის საკმაოდ საგრძნობი შედეგები. მაგრამ რამდენიმე თვემ, რაც თვითკრიტიკა სწარმოებს, უკვე მოგვცა საკმაოდ მდიდარი მასალა, რომ ამ გამოცდილების ნიადაგზე გამოვასწოროთ ზოგიერთი დეფექტები და შეცდომები. ასეთ დეფექტებს და შეცდომებს უეჭველად აქვს ადგილი ამ დიდ მუშაობაში, რომელშიაც უფრო და უფრო მეტად ებმებიან მშრომელთა მასები. გადაიქცა თუ არა პარტიის დირექტივა თვითკრიტიკის შესახებ დღევანდელი დღის ერთ-ერთ ცენტრალურ ლოზუნგად, როგორც გვეუბნება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მოწოდება, გადაიქცა თუ არა თვითკრიტიკა „ბრძოლის ბერკეტად მთელი აპარატის გამოსწორებისათვის, ბიუროკრატიზმთან ნამდვილი და არა ქაღალდის საშუალებით ბრძოლისათვის, ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ მასიური გალაშქრებისათვის"? საკმაოდ დროულად გააფართოვეს თუ არა პარტიულმა ორგანიზაციებმა თვითკრიტიკა, საკმაოდ ჩააბეს თუ არა ამ საქმეში არა მარტო პარტიული, არამედ უპარტიო მუშათა მასები, საკმაოდ მიაქციეს თუ არა ყურადღება პროფკავშირებმა ჩვენი მუშაობის დეფექტების გამოსწორების ამ მეთოდს? სისწორით სწარმოებს თუ არა „მამხილებელი მუშაობა პრესაში ჩვენი სახელმწიფო აპარატის ავადმყოფურ მოვლენათა გამოაშკარავებისა და მათი სწრაფი განკურნებისათვის?".

ეს საკითხები პარტიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით სდგანან. ამ დროის განმავლობაში დაგროვდა უდიდესი მასალა, რომლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ—კარგად ვასრულებთ თუ არა პარტიის ერთ-ერთ ძირითად ლოზუნგს. ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის წინ კავშირის მთელ რიგ უდიდეს წარმოებებში—მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში ჩატარებულ იქნა სპეციალური შემოწმება იმისა, თუ რამდენად ფართოდ, რამდენად სისწორით ტარდება პარტიის დირექტივა თვითკრიტიკის შესახებ, და ეხლა უკვე შეგვიძლია აღვნიშნოთ ზოგი შეცდომა და დეფექტი, რომლებიც სწრაფად უნდა გამოსწორდეს. ეს შეცდომები და დეფექტები შემდეგია: ცეკას მიმართვის მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებენ, არის ცდები — თვითკრიტიკა მოაქციონ თვითნებურ ფარგლებში; ზოგან ადგილი აქვს „შიში მასების წინაშე"; თვითკრიტიკა ზოგიერთ ადგილას სწარმოებს ხელმძღვანელობის გარეშე, „ალალ ბედზე" „ინერციულად". დეფექტებს და შეცდომებს, რომლებსაც მუშები აღნიშნავენ კრებებზე, კედლის გაზეთებში და მუშკორების შენიშვნებში, ან სრულებით არ ასწორებენ, ან ძალიან ზანტად ასწორებენ, ან დეფექტების გამოსწორებისათვის მიღებული ზომების შესახებ არ აცნობებენ მუშებს, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ჯერ კიდევ აქვს ადგილი თვითკრიტიკისათვის დევნის ცალკე ფაქტებს; კრიტიკა, რომელიც შეეხება დეფექტებს წარმოების ორგანიზაციისა და წარმოების მმართველობის დარგში, ხშირად უხვევს გვერდს წარმოების მმართველობის დეფექტებს; ეს კრიტიკა გვერდს უვლის აგრეთვე შრომის დისციპლინის დარღვევას, შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეს, სამუშაოს გაცდენას, დაუდევარ და დაუშვებელ მოპყრობას მანქანებისა და იარაღებისადმი, და ყოველივე იმას, რაც ჯერ კიდევ უშლის ხელს შრომის ნაყოფიერების დონის აწევას საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ წარმოებაში.

უეჭველია, რომ ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმმა ჩვენი პრესის ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ ასრულებს იგი პარტიის დირექტივას თვითკრიტიკის შესახებ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ დარგში ჩვენ მნიშვნელოვანი დამსახურება გვაქვს პარტიული, კომკავშირთა, პროფკავშირთა და საბჭოთა პრესის მხრივ. პრესის მრავალი ორგანო, „პრავდა"-ს მაგალითის მიხედვით, სცემს დამატებით „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფურცელს", რომელიც მიზნად ისახავს მასების კონტროლს დაუმორჩილოს პარტიული, პროფესიონალური და საბჭოთა აპარატის ნაკლთა კრიტიკა და ამ აპარატის დეფექტების გამოსწორების საქმეში ჩააბას მშრომელთა ფართო მასები.

გადაიქცნენ თუ არა ეს ფურცლები, გადაიქცა თუ არა მთელი ჩვენი პრესა დეფექტების გამოსწორების ნამდვილ იარაღად? სამართლიანია თუ არა ჩივილი, რომ პრესა ხშირად აჭარბებს და ძალიან შავი ფერადებით ხატავს ჩვენ სინამდვილეს? მართალია თუ არა ბრალდება, რომ პრესა საკმაოდ არ ააშკარავებს მიღწევებს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში? მართალია თუ არა, რომ პრესა ყოველთვის არ ასწორებს მის მიერ დაშვებულ შეცდომებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ, ცალკე ამხანაგების და მთელი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობას? ყველა ამ საკითხს, რომლებიც შეეხება თვითკრიტიკის სწორ ნიადაგზე დაყენებას პრესაში, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა პარტიამ. ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს შეცდომები, თუ ასეთებს აქვს ადგილი ამ დარგში. მეორე მხრით უნდა დატუქსოს ისინი, ვინც ცდილობს შეასუსტოს პრესის როლი თვითკრიტიკის განვითარებაში და მოითხოვს პრესაში მოსათავსებელ მამხილებელ მასალის, კრიტიკის წინასწარ კონტროლს და სხვა.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე იმას, თუ რა შედეგები იქნა მიღებული ფართო მასების ჩაბმით იმ დეფექტების შესწორების შემოწმების საქმეში, რომლებიც საწარმოო კომისიებისა და საკონტროლო კომისიების საშუალებით იქნა აღმოჩენილი წარმოებებში, და გაამართლა თუ არა თავისი დანიშნულება „მსუბუქმა კავალერიამ" მუშა ახალგაზრდობიდან? ვიყენებთ თუ არა სისწორით ჩვენ მიერ გამოცოცხლებულ ძალებს და როგორ სწარმოებს იმ ძალთა დარაზმვა, რომლებიც ქვევიდან მოდიან ჩვენს დასახმარებლად?

აი ის საკითხები, რომლებზედაც პასუხი უნდა გასცეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმმა. ჩვენ ამ პლენუმისაგან არ ველით რაიმე ახალ გადაწყვეტილებას ამ დარგში. მისი ამოცანა შესრულებული იქნება, თუ იგი ასეთ დიდ და სერიოზულ საქმეში შესძლებს სასწრაფოდ გამოასწოროს ჩვენ მიერ დაშვებული შეცდომები, განამტკიცოს თვითკრიტიკის საქმე და ეს თვითკრიტიკა მიმართოს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის საჭირო მიმართულებით.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად იქნა შესრულებული პარტიისა და მთავრობის დირექტივა წარმოების რაციონალიზაციის შესახებ. „პრავდა"-ს მოწინავე წერილში—„ბრძოლა აპარატის რაციონალიზაციისათვის"—ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რა მიღწევები გვაქვს სამმართველო, სამეურნეო და საბჭოთა აპარატის რაციონალიზაციის დარგში და როგორი კონკრეტული ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე. ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ სდგას აპარატის გამარტივების, აპარატის გამოუსადეგარი საფეხურების მოსპობის, აპარატის სტრუქტურის და ტეხნიკის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანა და აგრეთვე აპარატის გაიაფებისა და მასებთან დაახლოების ამოცანა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებით მრეწველობაში დღემდე ძალიან არა საკმაო ყურადღება ექცევა რაციონალიზაციის საქმეს, პარტიამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არა ერთხელ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს, ჩვენ აქ აღვნიშნავთ ტროცკისტული ოპოზიციის იაფფასიან მენშევიკურ დემაგოგიას, ვითომ რაციონალიზაციის საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ რაციონალიზაცია უნდა ჩატარდეს მუშათა ენერგიის ექსპლოატაციის ხარჯზე. საკმაოა აღვნიშნოთ ჩვენი ხარჯები ახალი ქარხნების კაპიტალურ მშენებლობაში, მრეწველობის ახალ ნიადაგზე მოწყობისა და ძველი ქარხნების გაუმჯობესების საქმეში,—და ნათელი გახდება ასეთი მტკიცების სიყალბე: ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციის დარგში გვაქვს განსაზღვრული მიღწევანი. ჩვენ შეგვეძლო დაგვესახელებინა რამდენიმე ათეული ქარხნები და ფაბრიკა, სადაც შრომის ნაყოფიერება გაიზარდა რაციონალიზაციის ხარჯზე და სადაც ამავე დროს შრომის პირობებიც, საერთოდ, გაუმჯობესდა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ამ პირველი მიღწევებით. ჩვენს მრეწველობაში რაციონალიზაციის საქმეს ჯერ კიდევ სავსებით საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, გზათა სახალხო კომისარიატი და ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც მრეწველობას ხელმძღვანელობენ.

სამეურნეო მუშაკები რაციონალიზაციას და რაციონალიზატორებს ჯერ კიდევ უყურებენ, როგორც რაღაც უცხოს, მომაბეზრებელს, ურომლისოთაც შეიძლება იოლად წასვლა. მუშათა და გლეხთა ინსპექცია რაციონალიზაციას ატარებს ისეთ პირობებში, როცა სამეურნეო აპარატი აშკარა წინააღმდეგობას უწევს მას. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგი ამხანაგი ჯერ კიდევ იმ აზრს ადგია, თითქმის შესაძლებელი იყოს კარგი შედეგების მიღწევა როგორმე, „ალალ-ბედზე", რომ ჩვენ აქ ამას უკეთ გავაკეთებთ, „ვიდრე ისინი იქ, საზღვარ-გარეთ", რომ ჩვენ „მაგათ კუდით ქვას ვასროლინებთ", რომ ის, რაც „რუსს ჯანს უძღება, გერმანელისათვის—სიკვდილია". ეს იდეოლოგია რევოლუციის წინადროინდელი იდეოლოგიაა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს სოციალისტური მეურნეობის რაციონალიზაციის საქმის სწორ დაყენებასთან, იმ სოციალისტური მეურნეობისა, რომლის გაზრდა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ უკეთესი ტეხნიკის, მეტი გეგმიანობის, აღრიცხვის უკეთესად დაყენების, ძალთა მეტი ეკონომიის, მთელი წარმოების უფრო მწყობრი ორგანიზაციის, ტეხნიკისა და მექანიზაციის ყველა ახალი მიღწევის გამოყენების და როგორც მოწყობილობისა და შრომის პროცესების, ისე მასალისა და იარაღის უფრო წესიერად განაწილების საფუძველზე.

სწარმოებს თუ არა ჩვენში სისტემატიური მუშაობა წარმოების რაციონალიზაციის დარგში? სწარმოებს თუ არა ჩვენში რაციონალიზაციის ცდების აღრიცხვა და ამ რაციონალიზაციის საუკეთესო ნიმუშების გავრცელება სხვა მსგავს წარმოებაში? შეკავშირებულია თუ არა ჩვენში რაციონალიზატორ-დაწესებულებათა მუშაობა მრავალ სამეცნიერო-საგამომკვლეო ინსტიტუტისა და სამეცნიერო-ტეხნიკური საბჭოების მუშაობასთან? შემოვიღეთ თუ არა ჩვენში ყოველივე ის, რასაც მიაღწია დასავლეთ-ევროპის და ამერიკის მრეწველობამ რაციონალიზაციის საქმეში? მოვამზადეთ თუ არა რაციონალიზაციისათვის ინსტრუქტორების საჭირო კადრი? როგორ ვუყურებთ გამოგონებათა საქმეს—საკმაოდ ვახალისებთ თუ არა მუშებს, ტეხნიკოსებს და ინჟინერებს, რომელნიც მზად არიან იმუშაონ ჩვენ საწარმოთა რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების საქმისათვის? საკმარისია დავსვათ მხოლოდ ეს კითხვები—და ეს ხომ მხოლოდ ნაწილია იმ საკითხების, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციასთან,—რომ დავინახოთ, თუ რა უზარმაზარი პრობლემები, რა ბუმბერაზი ამოცანები სდგანან ჩვენს წინაშე, აუცილებლად საჭიროა, რომ სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭომ და სხვა სამეურნეო ორგანოებმა მუშათა და გლეხთა ინსპექციასა და პროფკავშირებთან ერთად რაც შეიძლება მეტად წასწიონ წინ რაციონალიზაციის საქმე.

ავიღოთ მაგალითად, გამოგონებათა საქმე. იგი მეტად სუსტად იყო დაყენებული უკანასკნელ დრომდე. სახ. მეურნ. უმ. საბჭოს წარსული წლის ბიუჯეტში ამ საქმისათვის გადადებული იყო მხოლოდ რამდენიმე ათასი მანეთი. მართალია, დამატებით გაღებულ იქნა ერთი მეოთხედი მილიონი მანეთი, მაგრამ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მხოლოდ დღეს სვამს საკითხს დამატებითი ასიგნობების შესახებ გამოგონებების საქმისათვის და სვამს მას არა როგორც „წვრილმან" ამოცანას, არამედ, როგორც დიდ და გაბედულ ამოცანას, რომელიც ჩვენ მრეწველობას გამოაკეთებს და გააუმჯობესებს.

თავის თავად ცხადია, რომ რაციონალიზაციის საკითხი, როგორც მთელი ჩვენი საზოგადოებრივი და ეკონომიური ორგანიზმის დეფექტთა გამოსწორების საკითხი, არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს მუშათა მასების და პროფკავშირთა ფართო მონაწილეობის გარეშე. და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისიის ამ პლენუმზე სამეურნეო და პროფკავშირთა მუშაკები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებენ რაციონალიზაციის საქმეში შემჩნეულ დეფექტებს და ცენტრალურ საკონტროლო კომისიასთან ერთად შესძლებენ მიიღონ ისეთი დადგენილებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ საჭირო წარმატებას რაციონალიზაციის საქმეში. თავის თავად ცხადია, რომ პროფკავშირების მონაწილეობა მოგვცემს რაციონალიზაციის ისეთი საკითხების უფრო ფართოდ დაყენების საშუალებას, რომელნიც შეეხებიან შრომის პირობებს, მარცხის თავიდან აცილების ტეხნიკას, შრომის ჰიგიენას, იმ სადგომის მოწყობას, სადაც მუშები შრომობენ, მუშების შერჩევასა და მომზადებას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას, შრომისა და დასვენების შეფარდებას, შრომის ხელფასის სისტემის რაციონალიზაციას და სხვა. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის მოხსენებამ ამ საკითხის შესახებ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე უნდა მიიპყროს ყველა ჩვენი პარტიული, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციის ყურადღება. ეჭვი არ გვეპარება, რომ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილება იქნება ამავე დროს სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს და საკ. პროფსაბჭოს დადგენილებაც, და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აპარატების შეერთებული ძალებით რაციონალიზაციის პრობლემა გადაჭრილ იქნება ჩვენს სახელმწიფოში და ჩვენს მრეწველობაში.

ამ საკითხის გადაჭრა კი გულისხმობს ახალი გიგანტიური ნაბიჯის გადადგმას სოციალისტური მშენებლობის განვითარების საქმეში.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის ორივე უდიდესი საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. თვითკრიტიკის ფართო განვითარების გარეშე, იმის შეუმოწმებლად, თუ როგორ იქნებიან შესრულებული პარტიის გადაწყვეტილებანი რაციონალიზაციის საკითხში სამეურნეო და პროფკავშირთა ორგანიზაციების მიერ, არ გვექნება იმის გარანტია, რომ ჩვენი საუკეთესო გადაწყვეტილებანი იქნებიან ცხოვრებაში გატარებული.

ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი მოისმენს აგრეთვე ურალის საოლქო საკონტროლო კომისიის მოხსენებას ისევე, როგორც მოისმინა მან აპრილის პლენუმზე ჩრდილო-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მოხსენება. მოხსენებათა მოსმენის ასეთმა პრაქტიკამ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმებზე, სადაც თავის მუშაობის ანგარიშს აგებს მთელი საოლქო ორგანიზაცია, დაგვანახა, რომ ასეთი მოხსენებები, ცენტრალური საკონტროლო კომისიის ყველა წევრის თანდასწრებით, მეტად მიზანშეწონილნი არიან და საშუალებას გვაძლევენ ამხანაგური გზით სერიოზულად შევასწოროთ ცალკე ორგანიზაციების შეცდომები. ურალი თავისი მრეწველობით, თავისი გმირული პროლეტარიატით და გლეხობით, ღირსია იმის, რომ მას მიექცეს სათანადო ყურადღება.

„პრავდა", 25 აგვისტო.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

საკ. კ. პ. (ბ) შინაპარტიული მდგომარეობა

ამხ. დ. მანუილსკის მოხსენება კონგრესის 22 აგვისტოს საღამოს სხდომაზე*)

პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლისა და გლეხობასთან კავშირის ფორმების შესახებ

საერთაშორისო კაპიტალი და ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული კონტრ-რევოლუციონური ჯგუფები ამ საკითხების მიხედვით შეამოწმებენ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეს საბჭოთა კავშირში; ყველაზე მეტად ამ საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტაზე გავლენას მოახდენს კლასობრივი ძალების შეფასება, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო სარბიელზე; მათ გარშემო ჩვენს პარტიაში შეიქნება სხვადასხვა იდეური მიმდინარეობა,—მაგალითად, პურის დამზადების უკანასკნელი კამპანიის დროს ჩვენს ქვედა პარტიულ ორგანიზაციებში გლეხობასთან კავშირის ისეთი გაგების ტენდენციები არსებობდა, რომელიც კლასობრივ შინაარსს აცლიდა პროლეტარულ დიქტატურის სისტემას. სოფელთან დაკავშირებულ ჩვენს სახელმწიფო და პარტიულ აპარატებში აქა-იქ ისხდნენ კომუნისტები, რომლებიც „დაუკავშირდნენ" სოფლის კულაკურ მაღალ ფენას, დაემორჩილნენ მის სულიერ განწყობილებას და მასთან ერთად ჩუმ წინააღმდეგობას უწევდნენ იმ ჩვენს ღონისძიებებს, რომელთაც მიზნად ჰქონდათ პურის დამზადების გაძლიერება. ამ პირებმა დაჰკარგეს საკუთარი კლასის გრძნობა, გარემოცულა წრის ზეგავლენით დაადგნენ სხვა კლასის თვალსაზრისს, შებღალეს გლეხობასთან კავშირის იდეა და დაექანენ მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის მენშევიკურ გაგებისაკენ, რომლის წინააღმდეგაც გვაფრთხილებდა ლენინი მე-III მსოფლიო კონგრესზე. ამასთანავე ერთად ჩვენ დავინახეთ მეორე ხასიათის ტენდენციებიც ეგრეთ წოდებულ პარტიული ხაზის გამრუდების პრაქტიკაში ამ კამპანიის დროს; ეს ტენდენციები რომ ჩამოყალიბებულიყვნენ და განვითარებულიყვნენ, გარდაიქმნებოდნენ პროლეტარული დიქტატურის ისეთ გაგებად, რომელიც ახასიათებს ტროცკიზმს. მაგრამ ცხადზე-უცხადესია, რომ ტროცკისტული ოპოზიციის იდეური განადგურების შემდეგ და იმ მრავალი წლის მუშაობის შემდეგ, რომელიც ჩვენ შევასრულეთ ჩვენს პარტიაში ტროცკიზმთან ბრძოლის დროს, მას შემდეგ, რაც ჩვენს პარტიაში განვამტკიცეთ გლეხობასთან კავშირის აუცილებლობის შეგნება,—მეორე ხასიათის ტენდენციები უფრო ნაკლებად სახიფათოა, ჩვენი პარტიისათვის, ვიდრე ის ტენდენციები, რომლებიც იწვევენ პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესუსტებას გლეხობასთან კავშირის საქმეში.

ამგვარად, მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ პროლეტარული დიქტატურის საკითხს ვერ დავსვამთ გლეხობასთან კავშირის საკითხის გარეშე; მეორეს მხრით, გლეხობასთან კავშირის პრობლემის განხილვა არ შეიძლება ისე დავსვათ, რომ იგი არ დაუქვემდებაროთ პროლეტარული დიქტატურის პრობლემას. ამ დებულების ყოველგვარი დავიწყება უდრის ლენინიზმის დავიწყებას და უეჭველად გამოიწვევს გადახრას ან ტროცკიზმისაკენ ან აშკარა მენშევიზმისაკენ. კავშირი არაა არაკლასობრივი გაერთიანება კლასობრივი ინტერესების მოსპობით. იგი არის იმ კლასების კავშირი, რომელთაც აქვთ თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები. მაგრამ იმ აბსოლუტურად სწორ მარქსისტულ დებულებიდან, რომ მუშათა კლასს და გლეხობას აქვთ თავთავისი კლასობრივი ინტერესები,—ტროცკიზმს ყალბი დასკვნა გამოჰყავდა: ეს ინტერესები აუცილებლად მტრულად უნდა შეეჯახნენ ერთმანეთს. გლეხობასთან ასეთი კავშირის გაწყვეტის თეორიის წინააღმდეგ ჩვენი პარტია დაუღალავად იბრძოდა რამდენიმე წლის განმავლობაში; ჩვენ რომ ჩვენი პარტია ამ თეორიაზე აღგვეზარდა, აუცილებლად დავღუპავდით იმ უდიდეს ისტორიულ საქმეს, რომელიც მსოფლიო პროლეტარიატმა მოგვანდო.

მეორეს მხრით, ჩვენ თეორეტიულად წარმოდგენილი გვაქვს ტროცკიზმის საწინააღმდეგოდ დაპირდაპირებული შემდეგი ანტითეზისი: კავშირი გულისხმობს კლასობრივი ინტერესების სრულ მთლიანობას იმ საფუძველზე, რომ ერთი კლასი თავის ინტერესებს სწირავს და ერთი კლასი მუდმივ დათმობების გზას ადგია მეორე კლასის მიმართ. ასეთი გაგების დროს მუშათა კავშირს გლეხობასთან არასოდეს ჩრდილს არ მიაყენებდნენ დროებითი წინააღმდეგობანი და ეს იქნებოდა კავშირის ყველაზე უფრო მშვიდი ფორმა. მაგრამ ასეთი კავშირი ბუნებაში არ არსებობს. ისეთი კავშირი, რომელსაც ჩვენ ვანხორციელებთ გლეხობასთან რევოლუციის ათი წლის მანძილზე, გულისხმობდა ერთი-ერთმანეთისადმი დათმობას და გარდამავალ დროსთან დაკავშირებულ გაჭირვებათა და ნაკლებობათა ერთმანეთს შორის განაწილებას.

„ჩვენ წარმოვადგენთ სახელმწიფო ხელისუფლებას,— ამბობდა ლენინი მე-III მსოფლიო კონგრესზე,—და ჩვენ რამდენადმე შეგვიძლია გავანაწილოთ ნაკლებობა—გაჭირვებანი, დავაკისროთ ისინი რამდენსამე კლასს და, ამგვარად, შედარებით შევამსუბუქოთ მოსახლეობის ცალკე ფენების მდგომარეობა. რა პრინციპით უნდა ვიმოქმედოთ? სამართლიანობისა თუ უმრავლესობის პრინციპით? არა. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ პრაქტიკულად. ჩვენ განაწილება ისე უნდა მოვახერხოთ, რომ პროლეტარიატის ხელისუფლება შევინარჩუნოთ. ეს არის ჩვენი ერთად-ერთი პრინციპი". (ლენინი. მე-III კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 359).

ჩვენი კავშირი გლეხობასთან ყოველთვის იდილია არა ყოფილა. ჯერ ერთი, გლეხობა ზოგჯერ გვავახსენებდა ხოლმე, რომ „გაჭირვება-ნაკლებობათა განაწილების" სწორი პროპორცია, მისი აზრით, დარღვეულია. ის გვახსენებდა ამას თავისი განსაკუთრებული გლეხური საშუალებით. მაგალითად, სამხედრო კომუნიზმის ეპოქაში იგი ამცირებდა სათეს მიწებს. ჩვენი ბოლოინდელი სიძნელენიც პურის დამზადების საქმეში ასეთი გახსენების ერთი ეპიზოდი იყო. ზოგჯერ პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოც თავის მხრით იძულებული იყო გაეხსენებია გლეხობისათვის, როგორც მოკავშირისათვის მისი ვალდებულება. ჯერ ერთი, ჩვენ რომ ღარიბ გლეხობას ვეყრდნობოდით და საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის გეზი გვქონდა აღებული,—არასოდეს არ დავკავშირებივართ კულაკობას. სოფლის ამ სოციალურ ჯგუფთან ჩვენ ხშირად ძალიან გართულებული ურთიერთობა გვქონდა. საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც მახნოველთა მოძრაობა უკრაინაში. ამიტომ ტროცკისტული შემცდარი გეზის საწინააღმდეგოდ კავშირის საკითხის ვულგარიზაცია და საერთოდ პროლეტარული დიქტატურის პერიოდში სოფლის ცალკე ჯგუფებთან დროებითი, ნაწილობრივი ლოკალური კოლიზიების შესაძლებლობის უარყოფა ჩვენის მხრით აბსოლუტურად შემცდარი იქნებოდა. ლენინის პოლიტიკის სიბრძნე კავშირის საკითხში სწორედ იმით გამოიხატება, რომ „გაჭირვება-ნაკლებობანი" განაწილდეს კლასობრივი ძალების შეფარდების მიხედვით და დაცულ იქნას პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნების პრინციპი. ამიტომ რუსეთის რევოლუციის სხვადასხვა პერიოდში გლეხობასთან ჩვენი კავშირის ფორმებიც სხვადასხვანაირი იყო. იყო ჩვენში დრო, როდესაც ჩვენს კავშირს გლეხობასთან ჰქონდა სამხედრო კავშირის ფორმა საერთო შეიარაღებული ბრძოლის საწარმოებლად მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ კავშირის ფორმამ დრო მოჭამა სამოქალაქო ომის გათავებასთან ერთად. 1921 წელს, რამდენიმე ინციდენტის შემდეგ, ჩვენ შევიგნეთ, რომ კავშირის ეს ფორმა უნდა შეგვეცვალა სხვა ფორმით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა პროლეტარიატის ეკონომიურ კავშირზე გლეხობასთან.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, ამ ეკონომიურ კავშირს საფუძვლად დავუდეთ საბაზრო ურთიერთობა, მაგრამ ჩვენ ბაზრის კაპიტალისტური სტიქია როდი აღგვიდგენია—პროლეტარიატს დავუტოვეთ უმნიშვნელოვანესი მბრძანებელი მაღლობები, რომელთა საშუალებითაც ის აწესრიგებს ამ საბაზრო ურთიერთობას.

ჩვენ ვიცით, რომ კავშირის ეს სახე მეტად ხანგრძლივ იარსებებს. კავშირის ეს სახე იარსებებს მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, სანამ საზოგადოებრივი ურთიერთობების მთელი საფუძველი არ გარდაიქმნება. ჩვენი ოპოზიციის შეცდომები იმაში მდგომარეობდა, რომ მან ვერ გაიგო ამ პერიოდის ვერც ბუნება და ვერც ისტორიული ვადა. მას სურდა კავშირის ამ სახის ისე შეცვლა, რომ ეს კავშირი აუცილებლად ტროცკისტული გათიშვით დამთავრებულიყო. მაგრამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს, როცა განსაზოგადოებრივებული ინდუსტრიის პოზიციები მეტად სუსტი იყო, როცა ბაზრის სტიქია წალეკვას გვიქადდა, ყოველი მოაზროვნე კომუნისტისათვის სავსებით ცხადი იყო, რომ ჩვენ არ დავრჩებით მხოლოდ სხვადასხვა სამეურნეო ფორმების თავისუფალი შეჯიბრების ფარგლებში და ძალ-ღონის მოკრებისთანავე შევუტევთ ჩვენი მეურნეობის კერძო კაპიტალისტურ ელემენტებს. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ჩვენ არ ვუყურებთ ისე, როგორც მხოლოდ უკან დახევას ან როგორც ერთხელ და სამუდამოდ შექმნილ ძალთა განწყობილებას და წყალგამყოფს მეურნეობის სოციალისტურ და კერძო-კაპიტალ. სექტორებს შორის. ჩვენთვის სავსებით ცხადი იყო, რომ განსაზოგადოებრივებული ინდუსტრიის პოზიციების გაძლიერება და ჩვენი ეკონომიკის დგეგმვისა და მოწესრიგების ხვედრითი წონის გადიდება აუცილებლად შეზღუდავს სტიქიურ საბაზრო ურთიერთობას გლეხობასთან კავშირის განმტკიცების საქმეში.

სხვა რა აზრი უნდა ჰქონოდა მე-11 პარტიულ ყრილობაზე ლენინის მიერ გადმოსროლილ ლოზუნგს იმის შესახებ, რომ უკანდახევა გათავდა და ჩვენ მთელი ეკონომიური ფრონტით უნდა გადავიდეთ შეტევაზე? ლენინის კოოპერატიულმა გეგმამ უკვე მნიშვნელოვნად შესცვალა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების დროს დამყარებული კავშირის მთავარი ვარიანტი. ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებით, განვითარებით და განმტკიცებით ჩვენ, ლენინის სიტყვით, „მოვნახეთ კერძო ინტერესის, კერძო სავაჭრო ინტერესის, ამ ინტერესის სახელმწიფოს მიერ შემოწმებისა და კონტროლის ხარისხი და მისი საზოგადო ინტერესებისათვის დამორჩილების ხარისხი: ტროცკი ერთ-ერთ თავის დოკუმენტში, რომელიც მან კონგრესს გამოუგზავნა, ცდილობს შეასუსტოს ამ კოოპერატიული გეგმის მნიშვნელობა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის წინსვლის საქმეში იმაზე მითითებით, რომ ეს კოოპერატიული გეგმა შეეხება საზოგადოებრივ ორგანიზაციულ ან პოლიტიკურ მხარეს და იგი ოდნავადაც არ უწყობს ხელს სოციალისტური მშენებლობის მატერიალურ-საწარმოო მხარეს. საკითხის ასე დასმა შეუძლია მხოლოდ წყალწაღებულ ფილისტერს, რომელსაც საერთოდ არა სწამს სოციალიზმი, რომელიც ფიქრობს, რომ წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობაზე უფრო მაღლა მდგომი განსაზოგადოებრივებული მეურნეობის ტიპი ვერ შესცვლის სუსტ მატერიალურ საწარმოო ბაზისს, რომელიც რევოლუციის წინა პერიოდისაგან გვაქვს მიღებული მემკვიდრეობით. ცნობილია, რომ კაპიტალისტურ წყობილებაში მსხვილი მეურნეობა, თავისი უპირატესობით წვრილი მეურნეობის წინაშე, საწარმოო ძალების განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ რატომ ჰკარგავს ამ თვისებას განსაზოგადოებრივებული მსხვილი მეურნეობა პროლეტარიატის პოლიტიკურ დიქტატურის დროს? შემდეგ, რატომ ფიქრობს ტროცკი, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი არავითარ როლს არ თამაშობს იმ მეურნეობის მატერიალურ-საწარმოო ბაზისის გაფართოების დროს, რომელსაც პროლეტარიატი აშენებს?

როგორც ვიცით, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც პოლიტიკური ხელისუფლება ბურჟუაზიას დაუთმო და რომელმაც ფეოდალიზმის „საზოგადოებრივ-ორგანიზაციული" ფორმები დაანგრია, დიდათ გააფართოვა საფრანგეთის მე-18 საუკუნის მიწურულის ეკონომიკის მატერიალურ-საწარმოო საფუძველი და საფრანგეთი ხელოსნებისა და კორპორაციების ქვეყნიდან კაპიტალისტური გრიუნდერების ქვეყანად აქცია. დაუშვათ, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია თავისი დროისათვის ფეოდალური ურთიერთობის საერთო ფონზე მოწინავე ბურჟუაზია იყო, ხოლო ჩვენი ქვეყანა, სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, ჩამორჩენილი, მაგრამ მაშინ ტროცკი სდგება იმ წმინდა მენშევიკურ თვალსაზრისზე რომ ჩვენი ქვეყანა მოუმწიფებელია სოციალიზმისათვის. იმის უარყოფა, რომ „საზოგადოებრივ - ორგანიზაციული" ფორმები გავლენას ახდენენ მატერიალურ-საწარმოო ბაზისის დონეზე, ნიშნავს მარქსიზმის უარყოფას. კაპიტალიზმის მთელი ისტორია, კაპიტალიზმამდე არსებული სამეურნეო ტიპების ისტორია გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ფორმები არა მარტო მატერიალურ-საწარმოო სტრუქტურის შედეგი იყო, არამედ თავისი მხრით დამოკიდებულებაში განვითარების იმ საფეხურამდე მივაღწიეთ, როცა უფრო მაღალი „საზოგადოებრივ-ორგანიზაციული" ფორმებით პროლეტარიატი ცდილობს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერებისა და სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდებას.

ტროცკი, რომელიც ფიქრობს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტიური ფორმები ვერ აამაღლებენ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-საწარმოო ბაზისს, სდგება კულაკური მეურნეობის იმ თვალსაზრისზე, რომლის გამომხატველიც პროფესორი კონდრატიევია. კოლექტივებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწყობის უკანასკნელი გეგმა, რომელიც მე-15 პარტიულმა ყრილობამ წამოაყენა, არ არის რაღაც პრინციპიალურად ახალი, ეს არ არის ახალი ხაზი ჩვენს დამოკიდებულებაში მრავალი მილიონი გლეხურ მეურნეობასთან. პარტიას კარგად აქვს შეგნებული, რომ ინდივიდუალური მეურნეობა მრავალი წლის განმავლობაში ითამაშებს მეტად მნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. კოლექტივიზაციის გეგმა, რომელიც პროლეტარული დიქტატურის მე-11 წელშია წამოყენებული, ლენინის კოოპერატიული გეგმის შემდგომი გაგრძელება და გაღრმავებაა. ჩვენ ამჟამად ვცდილობთ განსაზოგადოების ისეთივე დასაყრდენი პუნქტები შევქმნათ სოფლად, როგორიც დღემდე მბრძანებელი მაღლობების სახით გვქონდა ქალაქებში. ეს ამოცანა რთული და მძიმეა, ვინაიდან მოგვიხდება მრავალი წლის განმავლობაში შემუშავებული ინდივიდუალისტური ცრუმორწმუნეთა და მრავალ მილიონიანი გლეხობის სისტემატიური დარწმუნება იმაში, რომ მეურნეობის კოლექტიური ფორმები, სჯობია ინდივიდუალურს. კაპიტალიზმის ამ ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში ხანგრძლივი ხასიათი ექნება.

ამ ეტაპზე ჩვენ ერთის წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთად-ერთი ჩვენი პრინციპი იქნება პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნება და განმტკიცება. ამ ეტაპის დამახასიათებელი იქნება ის, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად მოგვიხდება გლეხობასთან ჩვენი კავშირის ფორმების დიფერენციაცია, ვიდრე დღემდე. ჩვენ გამოვდივართ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საბაზრო ურთიერთობიდან, მაგრამ ამასთან ერთად საბაზრო ურთიერთობის სტიქიას ვზღუდავთ ჩვენი მბრძანებელი მაღლობებით, ერთის მხრით, და გლეხთა მეურნეობების კოოპერაციაში შეკავშირებით, მეორეს მხრით. ღარიბთა ჯგუფების და საშუალო მეურნეობათა კოლექტივიზაციის გაძლიერებით და სანიმუშო საბჭოთა მეურნეობის შექმნით ჩვენ მივიღებთ მთელ რიგ საშუალებებს პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის გასაძლიერებლად. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ამ კავშირის ისეთი მნიშვნელოვანი იარაღი, როგორიც არის კულტურული რევოლუცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება და რომელიც ახალგაზრდა მოზარდ თაობას გლეხთა ძირითად მასიდან აღზრდის ოქტომბრის რევოლუციის პოლიტიკურ და სოციალურ იდეებზე. მუშკორთა მოძრაობა, საშეფო საზოგადოებანი, ჩვენი წითელი არმიის უდიდესი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი როლი, რომლის მეოხებითაც სოფელი განუწყვეტლივ იძენს აქტივისტებს, სოფლის ცხოვრების რეფორმატორებს, რადიოს ტალღები, ელექტროფიკაციის ფოლადის ძაფები,—ყოველივე ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი სოფლის გასაბჭოების საქმეში. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ აგრეთვე ზეგავლენის ისეთი საშუალებაც, როგორიც არის პროფკავშირთა მუშაობა მოჯამაგირეებს, შაქრის მრეწველობის მუშებს, ხეტყის საქმის მუშებს შორის და სხ. სოფელთან კავშირის განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ მუშაობას ღარიბ გლეხთა შორის. ამ, ჩვენი პარტიის მიერ საფუძვლიანად მოფიქრებული და ფართოდ განვითარებული კავშირის გეგმას, რომელიც შემოწმებულია პროლეტარიატისა და გლეხობის ურთიერთობის გამოცდილების საფუძველზე პროლეტარიატის დიქტატურის 11 წლის არსებობის განმავლობაში,—ამ გეგმას ჩვენი პარტია უპირისპირებს ტროცკიზმის უსიცოცხლო და უაღრესად პესიმისტურ სქემებს, რომელთა მიხედვით აუცილებლად მოხდება კლასობრივი შეტაკება მუშათა კლასსა და გლეხობას შორის.

კლასობრივი ბრძოლა პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში

მესამე საკითხი, რომელზედაც აუცილებლად უნდა შევჩერდეთ და რომელიც ნაწილობრივ ეხება პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის პრობლემას, არის კლასობრივი ბრძოლის საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. არსებობს თუ არა კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარული დიქტატურის პერიოდში? სავსებით ცხადია, რომ სანამ არსებობენ კლასები, კლასობრივი ბრძოლა არ შეიძლება მოისპოს არც ერთი სოციალური რეჟიმის დროს. და ეს უდავო ჭეშმარიტება ნათლად გვეცემა თვალში პროლეტარული დიქტატურის დროს სამოქალაქო ომის პერიოდში. სამოქალაქო ომი არის კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო „წმინდა" ფორმა, ყველაზე უფრო გაშიშვლებული ფორმა ყოველგვარ „დემოკრატიული" პირობითობებისაგან და ყალბი ფრაზებისაგან სოციალურ მსოფლიოში. ცოტა უფრო სხვაგვარი და რთული მდგომარეობაა პროლეტარული დიქტატურის მეორე ფაზაში—ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში. აქ იარაღი უკვე დაყრილია, მყვლეფელი კლასები განადგურებულნი არიან—ერთი ნაწილი ფიზიკურად გაჟლეტილია, მეორე ნაწილი—ემიგრაციაშია, მესამე — გამარჯვებულ პროლეტარიატს დანებდა, შეურიგდა და შეეთვისა ახალი წყობილების პირობებს და დაიწყო მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში. სამხედრო სპეცები, ტეხნიკური ინტელიგენცია და, ბოლოს, ახალი ბურჟუაზია, რომლის ლეგალიზაცია მოხდა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის დროს, სცნობს საბჭოთა ხელისუფლებას და „თანამშრომლობს" მასთან. პროლეტარიატი მათ იყენებს სოციალიზმის მშენებლობისათვის ისევე, როგორც ბურჟუაზია თავისი ბატონობის პერიოდში იყენებდა და იყენებს ტეხნიკურ ძალებს კაპიტალიზმის მშენებლობის და განმტკიცებისათვის. ამას შეაქვს აბნეულობა, ამან შეიძლება შექმნას ილუზია კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტისა და კლასობრივი ინტერესების სრული ჰარმონიის შესახებ პროლეტარიატის დროს. „მშვიდობიან" პირობებს, სამოქალაქო ომისა და ანტისაბჭოთა ელემენტებთან სერიოზული კლასობრივი შეტაკების გარეშე, შეიძლება უაღრესად იდილიური განწყობილება წარმოეშვა, რომ შახტის მავნებელთა საქმე არ გამომჟღავნებულიყო. შემდეგ, პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის საკითხს ურევს შემდეგი მსჯელობა: არსებობს ეს კავშირი, მაშასადამე, არსებობს მუშათა კლასის თანამშრომლობა გლეხობასთან; არსებობს თანამშრომლობა, მაშასადამე, ბოლო ელება კლასობრივ ბრძოლას. ეს ბრძოლა საჭირო არ არის, ის მხოლოდ ართულებს მდგომარეობას. სოციალიზმის ძლევამოსილი მსვლელობა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო და უფრო ჩააბამს გლეხობას პროლეტარიატის გავლენის სფეროში, კლასობრივი წინააღმდეგობანი უფრო და უფრო წაიშლებიან და პირველ რიგში დადგება კლასობრივი ერთობის ელემენტები. სწორი პერსპექტივა აქ ირყევა იმით, რომ ბევრ ჩვენთაგანში თავს იჩენს ამ აწმყოს ერთგვარი იდეალიზაციის ტენდენცია. გაუგებრობა შეაქვს აგრეთვე იმას, რომ ჩვენ პროლეტარული დიქტატურის დროს ისეთსავე ანალიზს ვუკეთებთ კლასობრივ ძალთა ურთიერთობას, როგორსაც ბურჟუაზიის დიქტატურის დროს ვუკეთებდით.

ჩვენ ვიღებთ კაპიტალიზმის პერიოდის კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი თანამშრომლობის საკითხს. სოციალურ პირამიდას ყირამალა ვაყენებთ და ამაზე ვაშენებთ კლასობრივ ძალთა ურთიერთობის ანალიზს პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ამიტომ მეტად სასარგებლოა, უპირველეს ყოვლისა, გამოვარკვიოთ ის, თუ როგორ უყურებდა ლენინი კლასობრივი ბრძოლის საკითხს პროლეტარული დიქტატურის დროს: „პროლეტარიატის დიქტატურაც,—სწერდა ლენინი,—კლასობრივი ბრძოლის პერიოდია, რომელიც აუცილებელია, სანამ არ მოსპობილან კლასები, და რომელიც იცვლის თავის ფორმებს და პირველ ხანებში, კაპიტალის დამხობის შემდეგ, ხდება განსაკუთრებით მკაცრი, განსაკუთრებით თავისებური. პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარიატი არ სწყვეტს კლასობრივ ბრძოლას და კვლავ განაგრძობს ამ ბრძოლას კლასების მოსპობამდე. მაგრამ, რასაკვირველია, სხვაგვარ პირობებში, სხვაგვარ ფორმაში და სხვაგვარი საშუალებებით" (ტომი 16, „დიდი საქმე", გ. 249).

როგორ მოექცა ტროცკიზმი ლენინის ამ მოსაზრებით სწორ შეხედულებას კლასობრივი ბრძოლის ბუნებაზე პროლეტარული დიქტატურის დროს? მან ამ შეხედულებიდან შექმნა კარიკატურა. არც შეეძლო ასე არ მოქცეულიყო, ვინაიდან თუ გამოდიოდა გლეხობასთან კლასობრივი შეტაკების აუცილებლობიდან მისი სქემის მიხედვით, კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც მუშათა კლასი გლეხობასთან ერთად აწარმოებდა მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, აუცილებლად უნდა გადაქცეულიყო სამოქალაქო ომად მუშათა კლასსა და გლეხობას შორის. სამოქალაქო ომი, ამგვარად, უნდა გადაქცეულიყო პროლეტარული დიქტატურის ნორმალურ მდგომარეობად. იმ შეხედულებას, კლასობრივი ბრძოლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, სოციალიზმის მშენებლობის დროს, თეთრგვარდიელთა ამბოხებების ლიკვიდაციის შემდეგ, კაპიტალისტური კლასების კაპიტულაციის შემდეგ,—როგორც ამბობდა ლენინი,—მიმდინარეობს სხვაგვარ პირობებში, სხვაგვარ ფორმაში და სხვაგვარი საშუალებებით,—ამ შეხედულებას ტროცკისტული ოპოზიცია მემარჯვენე გადახრად სთვლიდა. ტროცკისტულ ოპოზიციას არ ესმოდა, უპირველეს ყოვლისა, გლეხობის ძირითად მასებთან პროლეტარიატის თანამშრომლობის ხასიათი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში, იმ ეკონომიური თანამშრომლობის ხასიათი, რომელიც გაგრძელება იყო თანამშრომლობისა კლასობრივი სამოქალაქო ომის ფრონტზე მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ. რას წარმოადგენს ეს თანამშრომლობა? ეკუთვნის თუ არა იგი კლასების თანამშრომლობის ისეთ კატეგორიას, როგორიც არსებობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში? ისტორია გვაძლევს კლასობრივი ბრძოლისა და კაპიტალისტური ქვეყნების შეძლებული კლასების კლასობრივი თანამშრომლობის ბევრ მაგალითს (ვიგების და ტორიების ბრძოლა ინგლისში, რომელიც დამთავრდა კლასობრივი კომპრომისით და ინგლისის ლენდლორდების შეზრდით ინგლისის კაპიტალიზმის სისტემაში, პრუსიის იუნკრობის შეზრდა ფინანსიურ კაპიტალთან გერმანიაში, როგორც რევოლუციამდე, ისე 9 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ). აქ ჩვენ გვაქვს კლასობრივი თანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც თავდება პოლიტიკური ხელისუფლების დანაწილებით მოთანამშრომლე კლასებს შორის. ხელისუფლების ეს დანაწილება შესაძლოა იმიტომ, რომ ეს კლასები, როგორც, მაგ., მრეწველები და ბანკების მოთავენი, ისე მსხვილი მიწათმფლობელები, დგანან კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის ინსტიტუტის საერთო საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგალითად, მუშათა კლასსა და შეძლებულ კლასებს შორის შეუძლებელია, ვინაიდან მათი სოციალური საფუძველი სხვადასხვაგვარია. თანამშრომლობა შეუძლიათ ზედაფენებს: სიტრინებს და ტომასებს, მაგრამ არა მუშათა კლასს მთლიანად, ვინაიდან სოციალური უფსკრული მათსა და კაპიტალიზმის მთელ სისტემას შორის უდიდესია და არ შეიძლება იქნას აცილებული სოციალ-დემოკრატიის არავითარი კოალიციური პოლიტიკით. პროლეტარიატი არის ერთად-ერთი კოლექტივისტური კლასი, რომელსაც არ შეუძლია ხელისუფლება გაუნაწილოს არც ერთ ისეთ კლასს, რომელიც კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის ნიადაგზე სდგას. პროლეტარული დიქტატურა არის ხელისუფლების ისეთი ფორმა, რომელიც დამყარებულია გლეხობასთან თანამშრომლობაზე, მაგრამ არა ხელისუფლების „დემოკრატიულ" დანაწილებაზე. პროლეტარული დიქტატურა არ არის პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურა. პირველი სდგას ბურჟუაზიის დამხობის საფუძველზე, საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის საფუძველზე, ერთი კლასის დიქტატურის საფუძველზე; ხოლო მეორე—ჯერ კიდევ რჩება კაპიტალიზმის საფუძველზე და ხელისუფლების პროლეტარიატსა და გლეხობის შორის განაწილების საფუძველზე. მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, რომელიც მსოფლიო კონგრესმა გამოარკვია როგორც პროლეტარული დიქტატურის სინონიმი, ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში მუშურ სახელმწიფოს სახელით ტარდება პოლიტიკა, რომელიც დიდის დაკვირვებით და მზრუნველობით თვალისწინებს გლეხობის ძირითადი მასების ყველა ინტერესს და მოთხოვნილებას. გლეხობა, როგორც კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ისე პროლეტარული დიქტატურის დროს ყველაზე უფრო ახლო სდგას და მეგობრულად არის განწყობილი პროლეტარიატის მიმართ. გლეხობის თავისკენ გადაბირება, მიმხრობა,—ამაში მდგომარეობს პროლეტარიატის ძირითადი ამოცანა როგორც პროლეტარულ რევოლუციამდე, ისე მის შემდეგ გლეხობაში. მისი გარდამავალი სოციალური მდგომარეობის გამო, იბრძვის ორგვარი ბუნება: „გლეხი, როგორც მშრომელი, ელტვის სოციალიზმისაკენ, მას მუშათა დიქტატურა ურჩევნია, ვიდრე, ბურჟუაზიის დიქტატურა. გლეხი, როგორც პურის გამყიდველი, მიილტვის ბურჟუაზიისაკენ და თავისუფალი ვაჭრობისაკენ, ე. ი. მიილტვის უკან, „ადიარებულ", „ძველ", „იმ თავით არსებულ კაპიტალიზმისაკენ" (ლენინი, ტომი 16 „სალამი უნგრელ მუშებს", გვ. 227).

გლეხობასთან ჩვენი თანამშრომლობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მის ცრუ რწმენას, დრომოჭმულ შეხედულებებს. ეს თანამშრომლობა მდგომარეობს იმაში, რომ პროლეტარიატი ეხმარება გლეხობას წამოდგეს ფეხზე, ეხმარება მას განავითაროს თავისი მეურნეობის საწარმოო ძალები და სცდილობს მისი სამეურნეო საქმიანობა მიმართოს კოლექტიური ფორმების კალაპოტით.

რას ნიშნავს—ხელმძღვანელობა გაუწიო გლეხობას?—სვამდა კითხვას ლენინი საკავშირო კომპარტიის (ბ) სრ. რუსეთის კონფერენციაზე 1921 წ. მაისში. ეს ნიშნავს პირველი, გეზის აღება, კლასების მოსპობისაკენ და არა წვრილი მწარმოებლების განმტკიცებისაკენ. ჩვენ, რომ ამ ხაზს, ამ ძირითად ხაზს ავსცდეთ, სოციალისტები აღარ ვიქნებით, მაშინ ჩვენ მოვხვდებით წვრილი ბურჟუების ბანაკში, ესერების და მენშევიკების ბანაკში, რომლებიც ეხლა პროლეტარიატის უბოროტესი მტრები არიან" (ტომი XVIII, გვ. 270).

ამ სწორი ლენინური დებულებიდან ტროცკისტულმა ოპოზიციამ გამოიყვანა ყალბი და მავნე დასკვნები.

„გეზის აღებას არა წვრილი მწარმოებლების განმტკიცებისკენ, არამედ კლასების მოსპობისაკენ",-ტროცკისტული ოპოზიცია განმარტავდა იმგვარად, რომ მეურნეობის სოციალისტური ფორმები კი არ გარდაქმნიან, არამედ შულაპავენ წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობებს (პრეობრაჟენსკი), რომ პროლეტარიატის ურთიერთობა გლეხობასთან ეწყობა კაპიტალისტური ტიპის მიხედვით. როგორც მეტროპოლიის დამოკიდებულება კოლონიისადმი, რომ რაც უფრო მეტად არის ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელიც გადადის წარმოების სოციალისტურად მოწყობის ნიადაგზე, მით უფრო სოციალისტური დაგროვება მასში იძულებულია დაემყაროს მეურნეობების სოციალისტურ წყობილებამდე არსებული ფორმების ექსპლოატაციას. თუ ჩავუფიქრდებით ტროცკისტული ეკონომისტის პრეობრაჟენსკის სოციალისტური დაგროვების ამ ეკონომიურ პროგრამას, მივიღებთ სავსებით დამთავრებულს და ბოლომდე მოფიქრებულს კონცეპციას, რომელიც კლასობრივ ურთიერთ დამოკიდებულებას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის პროლეტარული დიქტატურის დროს აყალიბებს ისეთ ფორმაში, როგორც ამას ადგილი აქვს პირველ ყოვლისა კაპიტალისტური დაგროვების პერიოდში,—როცა კაპიტალისტები ძალზე ყვლეფდნენ წვრილ მწარმოებელთა მასებს, რომელთა ტრაგედია ასე ნათლად აღწერა მარქსმა თავისი ნაწარმოების იმ ნაწილში, რომელიც შეეხება პირველყოფილ კაპიტალისტურ დაგროვებას. ტროცკისტულ ოპოზიციას არ შეუძლია გაიგოს, რომ ჩვენი მეურნეობა რეკონსტრუქციის პერიოდში სწორედ იმიტომ განიცდის პერიოდულ დაბრკოლებებს ძირითადი კაპიტალის უქონლობის გამო, რომ ჩვენ არ შეგვიძლია წავიდეთ იმ გზით, რომლითაც მიდიოდნენ კაპიტალისტური გრიუნდერები კაპიტალის დაგროვების ეპოქაში, რომ ჩვენ, როგორც პროლეტარიატის და სოციალიზმის მშენებელ სახელმწიფოს, არ შეგვიძლია ვისარგებლოთ იმ მეთოდებით, რომელთა საშუალებითაც კაპიტალიზმის ყველა ქვეყანას ქმნიდა კაპიტალისტური დაგროვების ფონდს. ტროცკისტულ ოპოზიციას არ შეუძლია გაიგოს ისიც, რომ სრული სისულელეა უსტრიალოვისებური შედარება—ჩვენი განვითარების ტემპის შედარება კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების ტემპთან, ვინაიდან მათი რაობა სავსებით განსხვავდება ერთმანეთისაგან.

კაპიტალისტურმა მრეწველობამ არ იცის შვიდი საათის სამუშაო დღე და ყველა ის სახე სოციალური დაზღვევისა, მატერიალური ხარჯებისა მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის, მისი ფიზიკური, მორალური და კულტურული დონის ასამაღლებლად, რაც ჩვენ უკვე განვახორციელეთ ჩვენს ღარიბ ქვეყანაში. მაგრამ ეს პარალელები ტროცკისტული ეკონომიური პროგრამისა, არ არის შემთხვევითი. ისინი გამომდინარეობენ მთელი კონცეპციიდან, რომელიც, მენშევიკებივით, ისე ახასიათებს ჩვენ სოციალისტურ მშენებლობას, როგორც კაპიტალიზმის ერთ-ერთ სახეს, ისიც ჩამორჩენილი უკულტურო კაპიტალიზმის სახეს, რის გამოც პროლეტარიატის ურთიერთობას გლეხობასთან იგი „კაპიტალისტური" სათვალეებით იხილავს. შემდეგ, თუ ავიღებთ სოფლის დიფერენციაციის საკითხს, დავინახავთ ტროცკიზმის იმავე ძირითად შეცდომას. მას ეს დიფერენციაცია, სტოლიპინივით, წარმოუდგენია ორი პოლუსის შექმნის სახით; სოფლის პაუპერები—ერთის მხრივ და კულაკები—მეორეს მხრივ, საშუალო გლეხობის გამორიცხვით. ტროცკიზმი ანგარიშს არ უწევდა ჯერ ერთი იმას, რომ პროლეტარული დიქტატურის დროს ჩვენ საშუალება გვაქვს ძალა დაუკარგოთ ამ პროცესებს და, მეორე იმას, რომ გლეხობის დიფერენციაცია პროლეტარული დიქტატურის პირობებში სწარმოებს სოფლის თითქმის ყოველი ფენის აღორძინების ფონზე. ამრიგად, ტროცკიზმი მუშათა კლასის ურთიერთობაში გლეხობასთან ჰკლავდა იმ განსაკუთრებული სახის თანამშრომლობის იდეას, რომელსაც იცავდა ჩვენი პარტია, ხოლო სხვადასხვა ჯგუფების მიმართ შიგ სოფელში იგი მხარს უჭერდა კლასობრივი ბრძოლის იმ ფორმებს (კულაკის იძულებითი გაღატაკება), რომელნიც დამახასიათებელნი იყვნენ 1918 წლისათვის, როგორც ბატონ-ყმობის ნაშთების ლიკვიდაციის პერიოდისათვის სოფლად.

ტროცკიზმს არ ესმოდა, რომ სწორი ლენინური ლოზუნგი: „დაეყრდენ ღარიბს და განამტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, თანაც ერთი წუთითაც არ შესწყვიტო ბრძოლა კულაკთან", პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებულ სახელმწიფოს პირობებში, უნდა გატარდეს ამ სახელმწიფოს და მისი ორგანოების მეშვეობით და არა 1918 წლის ტიპის მიხედვით, როდესაც პროლეტარიატის დიქტატურას ემუქრებოდნენ კონტრ-რევოლუციონური შეთქმულებები, როდესაც პროლეტარიატი უშუალოდ ამხედრებდა უღარიბეს გლეხობას სამოქალაქო ბრძოლისათვის კულაკებთან, სწორედ იმიტომ, რომ მის განკარგულებაში არ მოიპოვებოდა სახელმწიფო და ეკონომიური ზეგავლენის საშუალებანი ამ უკანასკნელის ასალაგმავად.

როგორია პროლეტარული დიქტატურის დროს მუშათა კლასის ურთიერთობა ახალ ბურჟუაზიასთან („ნეპმანებთან") და საკონცესიო კაპიტალის წარმომადგენლებთან? როგორია ურთიერთობა ტეხნიკურ ინტელიგენციასთან? შეიძლება თუ არა ეს ურთიერთობა გავიგოთ ისე, როგორც კლასობრივი თანამშრომლობა, რომელიც არსებობს კაპიტალისტურ ქვეყნებში იმ ერთგვაროვან სოციალურ ჯგუფებს შორის, რომელნიც სდგანან კაპიტალიზმის ნიადაგზე? ლენინი თავის წერილში: „როგორ უნდა მოვახდინოთ მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია", როდესაც იგი „მუშათა და გლეხთა კავშირზე დაფუძნებულ ჩვენს სოციალურ წესწყობილებაზე" ლაპარაკობდა, აღნიშნავდა, რომ ამ თანამშრომლობაში მონაწილეობის მისაღებად „ამჟამად განსაზღვრულ პირობებში დაშვებულნი არიან ნეპმანებიც", ე. ი. ბურჟუაზია. რა თქმა უნდა, არავის არ მოუვა აზრად ამ სიტყვებიდან გამოიტანოს ის დასკვნა, თითქოს ლენინი იდგა სამი კლასის თანამშრომლობის თვალსაზრისზე პროლეტარული დიქტატურის დროს. რაიმეს დაშვება გარკვეულ პირობებში, რომლებსაც განსაზღვრავს ის კლასი, რომელიც დაუშვებს, ნიშნავს გამოყენებას. ეს ისეთივე თანამშრომლობაა, როგორიც არსებობს მხედარსა და ცხენს შორის. ის ფაქტი, რომ მუშა დაშვებულია ფაბრიკაში სამუშაოდ განსაზღვრულ პირობებში, რომლებიც განსაზღვრულია კაპიტალიზმის მიერ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადააქცევს თანამშრომლობად მუშისა და კაპიტალისტის ურთიერთობას. არ იქცევა იგი კლასობრივ თანამშრომლობად ამ მოვლენის მასიური ხასიათის შემთხვევაშიც. კლასობრივი თანამშრომლობის ურთიერთობანი ჩნდებიან მაშინ, როდესაც ცალკე, მუშათა კლასისაგან მოწყვეტილი, ბურჟუაზიის მიერ გაბრწყინილი ელემენტები დგებიან კაპიტალიზმის ნიადაგზე და ზურგს აქცევენ მუშათა კლასს. განა შეიძლება იმის თქმა, რომ ახალმა ბურჟუაზიამ ან საკონცესიო კაპიტალის წარმომადგენლებმა დასტოვეს კაპიტალიზმის ნიადაგი, რომ მათ ზურგი შეაქციეს თავიანთ კლასს? რომ ასეთი აზრი აბსურდულია სჩანს იქედანაც, რომ ლენინი იმავე წერილში, რამდენიმე სტრიქონით შემდეგ, აგონებს პარტიას თავის ძველ ლოზუნგს ახალი ბურჟუაზიის მიმართ: „ვინ ვის"?

„ბოლოს და ბოლოს,—ამბობს იგი,—ჩვენი რესპუბლიკის ბედ-იღბალი იმაზე იქნება დამოკიდებული, გაჰყვება თუ არა გლეხური მასა მუშათა კლასს, დაიცავს იგი მოკავშირის ერთგულებას, თუ საშუალებას მისცემს „ნეპმანებს" ე. ი. ახალ ბურჟუაზიას, ჩამოაშოროს გლეხობა მუშათა კლასს, გათიშოს იგი", (ტომი მე-XVIII, ნაწილი მე-II, გვ. 124).

ბურჟუაზიისათვის ზურგის შექცევა, მუშათა კლასის თვალსაზრისზე დადგომა შეუძლიათ მხოლოდ ტეხნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ისიც ძალიან ძნელად, როგორც ამას შახტის პროცესი ადასტურებს. მაგრამ უარყოფა იმისა, რომ პროლეტარიატს შეუძლია ხელმეორედ აღზარდოს ამ სოციალური ჯგუფის ნაწილი, და ვერ დანახვა მუშათა კლასის შემოქმედებითი ძალისა, რომელიც თვისი მაგალითით გავლენას ახდენს სხვა მერყევ ფენებზე, ნიშნავს პროლეტარიატის ძალთა ჯეროვანად შეუფასებლობას, სულელურ სპეციჭამიობაში ჩავარდნას, რომელიც არასდროს არ ყოფილა ჩვენი პარტიის ხელისუფლების დამახასიათებელი. ჩვენი კლასობრივი ბრძოლა ახალი ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს, როგორც ეს სჩანს კონდრატიევის ჯგუფის მაგალითზე, დამკვიდრდეს იდეოლოგიურ ფრონტზე,—ეს ბრძოლა ეხლა სხვაგვარ პირობებში, სხვაგვარ ფორმაში, სხვაგვარ საშუალებებით სწარმოებს, ვიდრე სწარმოებდა ძველი კაპიტალისტური კლასების წინააღმდეგ. ჩვენ განსაზღვრულ პირობებში ამ ბურჟუაზიას ვაძლევთ საშუალებას მიიღოს მონაწილეობა ეკონომიურ ცხოვრებაში, ჩვენ ვუყენებთ მას ორგანიზაციულ შესაძლებლობებს; მაგრამ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ მისი სახით ჩვენ გვყავს საშიში და ცბიერი კლასობრივი მტერი, რომელიც კბილთა დრჭენით „თანამშრომლობს" ჩვენთან, ვინაიდან მას არ გააჩნია ძალა დიდი კლასობრივი ბრძოლისათვის. ეს კლასი, თავის თავად აღებული, უმნიშვნელოა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი საშიშია არა საკუთარი კლასობრივი ძალით, არამედ სხვების ძალით. ის საშიშია იმით, რომ იგი სოფლის კულაკურ ზედაფენის საშუალებით სცდილობს დაშალოს მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, მაგრამ იგი ყველაზე უფრო საშიშია იმით, რომ მის უკან სდგას მსოფლიო კაპიტალის მთელი ძალა. ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის ფორმები დამოკიდებულია არა მარტო ჩვენი ნებისყოფისაგან, ისინი დამოკიდებულია აგრეთვე ძალთა განწყობილებასაგან საერთაშორისო სარბიელზე. მსოფლიო კაპიტალის შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აუცილებლად მოახდენს გავლენას ძალთა განწყობილებაზე ჩვენი ქვეყნის შიგნით, ეს შეტევა გააძლიერებს ყველა იმ ძალის პოლიტიკურ აქტიობას, რომელიც მტრულად არის განწყობილი პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის მიმართ.

მუშური სახელმწიფოს როლი

მეოთხე პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს კლასთა ბრძოლის პრობლემიდან პროლეტარული დიქტატურის პირობებში, არის მუშური სახელმწიფოს როლის საკითხი. პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო, გარდა თავისი კლასობრივი შინაარსისა, იმითაც განსხვავდება კაპიტალისტური სახელმწიფოსაგან, რომ მას აქვს ისეთი ეკონომიური ფუნქციები, როგორიც არა აქვს არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში. ეს ფუნქციები გამომდინარეობენ განსაზოგადოებრივებული მეურნეობის ბუნებისაგან და არავითარ შემთხვევაში არ ემსგავსებიან სახელმწიფო კაპიტალიზმის ქვეყნების ტენდენციებს, რომლებშიც მთელი ეკონომიკა აგებულია კერძო საკუთრების ნიადაგზე. პროლეტარული დიქტატურის დროს მუშურ სახელმწიფოს ფუნქციებს—„ხალხის მართვის" ფუნქციებს—უერთდებიან ახალი ამოცანები—„საგნების მართვა", ხოლო ადმინისტრატიულ ფუნქციებს—გეგმიანობისა და მოწესრიგების ფუნქციები. ჩვენი სახელმწიფო საგეგმო კომისია და სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო არის პროლეტარული დიქტატურის ისეთივე ორგანო, როგორიც საბჭოთა მთავრობის ადმინისტრატიული აპარატი. არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არა აქვს ასეთი ორგანოები ამგვარი მიზნებით და ამგვარი კლასობრივი პოლიტიკით. სოციალიზმის დროს, როცა მოისპობიან კლასები, ჩაკვდებიან სახელმწიფოს პოლიტიკური ფუნქციებიც, მაგრამ არ მოისპობა, პირიქით, გაიზრდება საზოგადოებრივი გეგმიანობის და კონტროლის ფუნქციების მნიშვნელობა. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ფუნქციებს ენიჭება უპირატესი გავლენა გარდამავალ პერიოდში, დამოკიდებულია კლასობრივ ძალთა განწყობილების კონკრეტულ პირობებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მაშტაბით. სავსებით ცხადია, რომ, მაგალითად, უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკაში, რომელიც ყოველმხრივ გარსშემორტყმული იყო მტრებით, არ იყო გეგმიანობის და სამეურნეო საქმიანობის დრო. სწორედ პროლეტარული დიქტატურის პირველ თვეებსა და წლებში, როცა კლასობრივი ბრძოლა შეიარაღებულ ფორმას ღებულობს, პოლიტიკურ ფუნქციებს და ადმინისტრატიული საქმიანობის ფუნქციებს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება მუშურ სახელმწიფოს პოლიტიკაში. როცა ჩვენ ვებრძოდით კალედინს, კორნილოვს და კოლჩაკს, ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას ვმართავდით ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ვუძღვებოდით ბრძანებებით, მობილიზაციებით, შრომის ბეგარით, შრომის კამპანიებით, დაკვრითი კამპანიებით და რეპრესიებით. წარმოების დაცემის პრობლემა, ჩვენი სახალხო მეურნეობის სიღატაკისა და დეზორგანიზაციის პირობებში, ჩვენ ვსცდილობდით გადაგვეწყვიტა კომუნისტური შაბათობით, სხვანაირათ არც შეიძლებოდა მომხდარიყო, როცა ჩვენი ქვეყანა თოფით ხელში იდგა და შიმშილის მსახვრალი ხელი ახრჩობდა მუშას და გლეხს.

ფუქსავატი პედანტია ის, ვინც პროლეტარული რევოლუციის მეორე პერიოდის ჩვენი გამოცდილების სიმაღლიდან დაიწყებს სამხედრო კომუნიზმის დასახვას სისულელეების სისტემად.

მაგრამ ტროცკიზმის თვალსაზრისით, რომელიც გამოდიოდა ყველა კლასთან, მათ შორის გლეხობასთან, პერმანენტული ომის მდგომარეობიდან, ეს რეჟიმი პროლეტარული დიქტატურის დროს არ იყო მარტო პროლეტარული დიქტატურის ეტაპი, იმ დროის ძალთა განწყობილებასთან შეთანაწყობილი, არამედ იყო პროლეტარული სახელმწიფოს ნორმალური რეჟიმი პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის პერიოდში. განა ტროცკიზმის შეხედულებათა მთელი სისტემისათვის დამახასიათებელი არ არის ის ფაქტი, რომ 1921 წელს, როდესაც ჩვენ, კრონშტადტის პერიოდში, ურთულეს კლასობრივ კრიზისს განვიცდიდით, ტროცკი წინადადებას იძლეოდა ჩვენს პარტიას ევლო ადმინისტრატიული ზეგავლენისა, ცენტრალიზაციისა და პროლეტარული სახელმწიფოს მიერ შთანთქმის გზით, თითქმის პროფკავშირების შეზრდის საშუალებით? სახელმწიფოს მიერ პროლეტარული დიქტატურის ხანაში პროფკავშირების შთანთქმის ამ პროექტში მდგომარეობდა დასრულებული პროგრამა ქვეყნის წაყვანისა სოციალიზმისაკენ მხოლოდ და მხოლოდ კლასობრივი ძალადობის მეთოდით, მიუხედავათ კლასობრივი განწყობილებისა რევოლუციის ახალ პერიოდში. ამ ნიშნებმა შემდეგში თავი იჩინეს იმ დისკუსიაში, რომელსაც გეგმის საკითხის შესახებ ტროცკი აწარმოებდა პარტიასთან. ტროცკის გეგმა მდგომარეობდა გლეხის გამხდარი ცხენის გვერდის ახვევაში და დაკვრითი წესით მის შეცვლაში ინდუსტრიის მანქანა-ცხენით. ან სოციალიზმი, გლეხთა მილიონების სულიერი განწყობილებისა და სურვილების გარეშე, ზევიდან, ან აუცილებელი დაღუპვა. ტროცკიმ თავის გეგმაში ადგილი არ დაუთმო იმ დროს, რომელიც ლენინს საჭიროდ მიაჩნდა გლეხთა მეურნეობის გარდაქმნისთვის, კოოპერატიული სოციალიზმისთვის".ტროცკიზმმა ვერ გაიგო ის, რომ სამოქალაქო ომის ლიკვიდაციის შემდეგ, მეურნეობის განზოგადოებრივებული სექტორის ხვედრითი წონის გადიდებასთან ერთად, მუშათა სახელმწიფოში კლასობრივი ძალდატანება სხვა ფორმებს ღებულობს, ვიდრე სამხედრო პერიოდის დროს. სამეურნეო ცხოვრების წარმართვა გეგმით სრულიადაც არ ნიშნავს მთელს ეკონომიურს სტიქიაში მხოლოდ ნიშნების დასმას იმის · მიხედვით, რაც არის, არამედ ეს არის შეგნებით ჩარევა ეკონომიურ პროცესში წვრილი და უწვრი-

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი" № 197.

კომინტერნის სექციების ბრძოლის საკითხები

II *)

მე უნდა შევეხო მეორე ამხანაგს, რომელიც არჩევდა აგრეთვე მთელ რიგ პოლიტიკურ საკითხებს, სახეში მყავს ამხ. პეპერი.

ამხ. პეპერმა, ჩემის აზრით, უფრო მეტად, ვიდრე ამხ. ევერტმა, მიაფუჩეჩა მუშათა კლასის მარცხნივ გადახრის საკითხი ევროპაში. რას ამბობენ თეზისები? თეზისები ამბობენ: „ევროპის ქვეყნებში გრძელდება საერთო პროცესი მუშათა კლასის მარცხნივ გადახრისა". „საერთო პროცესი"! ხოლო რას ამბობდა ამხ. პეპერი თავის სიტყვაში. მან განაცხადა: „ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში ხდებოდეს მუშათა კლასის საერთო გადახრა მარცხნივ". ამ ფრაზას ამხ. პეპერი იქავე უმატებს: „ძირითადი მასა, ე. ი. ევროპის მუშათა კლასის უმრავლესობა, ჯერ კიდევ არ ამჟღავნებს თავის მემარცხენე მიმართულებას"-ო.

ჯერ ერთი, ძირითად მასად ყოველთვის მისი არითმეტიკული უმრავლესობა არ უნდა ჩაითვალოს; მეორეც, არავის არასოდეს არ უთქვამს, თითქოს ევროპის პროლეტარიატის ძირითადი მასის მარცხნივ გადახრა უკვე დასრულებული იყოს. თეზისებში და იმ გამოსვლების დროს, რომელთაც როდისმე ადგილი ჰქონდა კომინტერნში, ყოველთვის ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ევროპაში ადგილი აქვს საერთოდ მარცხნივ გადახრის პროცესს. ბოლოს, საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიის ზრდა, ვენის აჯანყება, საკკოსა და ვანცეტტის გამო დემონსტრაციების ტალღა—ყველაფერი ეს აშკარა გამომხატველია იმ გარემოებისა, რომ ევროპაში უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს პროლეტარიატის ძირითადი მასების მარცხნივ გადახრის საერთო პროცესი.

კიდევ უფრო შემცდარად მიმაჩნია მე ის კონცეპცია, რომელსაც იცავდა ამხ. პეპერი ამერიკის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრისა, მისი რადიკალიზაციის საკითხში. ამხ. პეპერმა ამას წინად „პრავდა"-ში ის დებულება წამოაყენა, რომ ამერიკის ბურჟუაზიას განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს ამერიკის პროლეტარიატის ფართო მასების მოსასყიდადო. რასაკვირველია, ეს დიდი გადამეტებაა. მაგრამ თავის სიტყვაში კონგრესზე ამხ. პეპერმა სთქვა: რეფორმიზმისა და ამერიკის შრომის ფედერაციის ბაზის ზრდას, სოციალური მშვიდობიანობის განმტკიცებას უეჭველად ადგილი ექნება იმდენად, რამდენადაც იზრდება ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ჰეგემონიაო. სოციალური მშვიდობიანობის დაცვა—ეს ისეთი პერსპექტივაა, რომელიც ჯერ კიდევ დამტკიცებას საჭიროებს. უსათუოდ ექნება თუ არა ადგილი სოციალური მშვიდობიანობის განმტკიცებას, რამდენადაც გაიზრდება შეერთებული შტატების მსოფლიო ჰეგემონია,—ეს საკითხი, მეტი რომ არა ვთქვათ, სადაოა. მე ვფიქრობ, რომ ამხ. პეპერი არაა მართალი, როდესაც ასე გვიხატავს კლასიურ წინააღმდეგობათა პერსპექტივებს ამერიკაში. რასაკვირველია. მსოფლიო ჰეგემონია უადვილებს ამერიკის ბურჟუაზიას პროლეტარიატის საკმაოდ საგრძნობი წრეების მოსყიდვას, მაგრამ თითქოს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის ზრდასთან პარალელურად ხდებოდეს სოციალური მშვიდობიანობის განმტკიცება — ეს ჩვენ გვეეჭვება. ეს ჩემის აზრით არაა მართალი. მართალია, პირიქით, წინააღმდეგი. თავის სიტყვაში პეპერმა გვიჩვენა შემდეგი საზღვრები, რომლებშიაც მოქცეულია ამერიკის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრის პროცესი. მისი სიტყვის ამ ნაწილის „ორიგინალობის" გამო, მე მინდა ამხ. პეპერის არგუმენტები სრულად მოვიყვანო. ის ამბობს, რომ ამერიკის პროლეტარიატის შემდგომი გადახრა მარცხნივ ბრკოლდება იმის გამო, რომ, ჯერ ერთი, ბურჟუაზიის პოლიტიკურ პარტიებს შორის არ არის პოლიტიკური უთანხმოება, მეორე ბურჟუაზიის რიგებში დღეს ნაკლებ პოლიტიკურ უთანხმოებას აქვს ადგილი, ვიდრე ჰქონდა წინეთ, მესამე, არაა პოლიტიკური მოძრაობა მესამე პარტიის სასარგებლოდ, რასაც რამდენიმე წლის წინედ ჰქონდა ადგილი; მეოთხე. არ არის ნაციონალური მასშტაბით მოძრაობა მუშათა პარტიის სასარგებლოდ. და ყველაფერი ეს, თურმე, ბარიერი ყოფილა, რომელიც აბრკოლებს ამერიკის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრის საქმეს. კიდევაც რომ არაფერი ვსთქვათ იმაზე, რომ ყველა ამ ოთხ პუნქტში ერთი და იგივე აზრია გატარებული,—ამერიკის ბურჟუაზიის რიგებში ადგილი არა აქვს დიდ უთანხმოებასო,—ყველაფერი ეს ამერიკის მუშათა კლასის მარცხნივ გადახრის პროცესის შემბოჭველ მუხრუჭად და ბარიერად არავითარ შემთხვევაში არ ჩაითვლება. ყველაფერი, რასაც ამ ოთხ პუნქტში ამბობს ამხ. პეპერი, მხოლოდ იმ გარემოების გამომხატველია, რომ ამერიკაში ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალა უპირდაპირდება ამერიკის პროლეტარიატს უფრო მძაფრ უფრო გაშიშვლებულ ფორმაში, რომ აქ აშკარად გამოდის კლასი კლასის წინააღმდეგ. და სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს საწინდარი და ფაქტორი ამერიკის მუშათა კლასის რიგებში მარცხნივ გადახრის პროცესის გაძლიერებისა, და არა ამ პროცესის დასუსტებისა, როგორც ფიქრობს ამხ. პეპერი.

ამხ. პეპერმა ყირამალა დააყენა ამერიკის მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივა. ადგილის უქონლობის გამო მე აქ არ შევჩერდები იმ ეკონომიურ ანალიზზე, რომელიც მოგვცა ამხ. პეპერმა ამერიკის კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივების შეფასების დროს. მე მოვიყვან მხოლოდ ერთ ადგილს ამხ. პეპერის სტატიიდან, რომელიც დაბეჭდილია ამერიკის „კომუნისტ"-ში.

ამ სტატიაში კიდევ უფრო ნათლად არის გამოთქმული ის უნუგეშო პერსპექტივა, რომელსაც გვიხატავს ამხ. პეპერი ამერიკაში მუშათა მოძრაობის განვითარების შესახებ. ეკამათება რა ამ სტატიაში ამხ. ლოზოვსკის ამხ. პეპერი აცხადებს, რომ კავშირებს გარეშე მყოფ. მუშათა ორგანიზაციების მოწყობის ამოცანებს და ახალი პროფკავშირების შექმნას ამერიკაში შემდეგი გარემოებები უშლიან ხელს:

„1. ჩვენ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ამერიკაში კაპიტალიზმი ძლიერია და ის უფრო და უფრო ძლიერდება.

2. ჩვენ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ამერიკის მუშათა კლასი, როგორც მთელი, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფება.

3. ჩვენ ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ ამერიკაში არის მეტად ფართო და მძლავრი ფენა მუშათა არისტოკრატიისა.

4. ჩვენ ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ მრეწველობის ძირითადი დარგების უდიდესი წარმოებების პროლეტარიატი შესდგება ამერიკის გარეშე დაბადებულ და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მუშებისაგან.

5. ჩვენ ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ აქ არის ფინანსიური კაპიტალის ყველაზე უფრო ძლიერი მთავრობა, მთავრობა, რომელიც სჩაგრავს მუშათა კლასს ჯარებისა, პოლიციისა და სასამართლოების საშუალებით და ცდილობს დაანგრიოს მუშათა ყველა ორგანიზაციები.

6. ჩვენ ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ შეკავშირებული მწარმოებლები ნაციონალური მასშტაბით კამპანიას აწარმოებენ ღია სახელოსნოებისათვის და კამპანიურ კავშირების მოსაწყობად.

7. ჩვენ ხელს გვიშლის ის ფაქტი, რომ ფოლადის ჩამომსხმელი, ნახშირისა და საფეიქრო მრეწველობის მუშათა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სექციები იძულებულია იცხოვრონ კამპანიურ სოფლებსა და ქალაქებში, სადაც მწარმოებელთ ეკუთვნის ყველაფერი—მიწა, სახლები, გზები, სკოლები, სავაჭროები, სადაც უშუალოდ კაპიტალისტების ხელშია სახელმწიფო ძალა-უფლება და შექმნილია მთელი სისტემა საკუთარი პოლიციისა და ფაბრიკა-ქარხნების ჯაშუშებისა.

8. ჩვენ ხელს გვიშლის ისეთი „უმნიშვნელო" გარემოება, რომ ამერიკის მრეწველობა ზედა საფეხურიდან ქვედა საფეხურამდე ტრესტებადაა ჩამოყალიბებული. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპაში უკვალიფიკაციო მუშათა პროფკავშირები იქმნებოდა ტრესტიფიკაციის წინა პერიოდში, ე. ი. მაშინ, როდესაც ამ მუშების შეკავშირება უფრო ადვილი იყო. თანამედროვე ამერიკაში, ტრესტების უაღრესად განვითარების პერიოდში, წინააღმდეგობა და შეტევა კაპიტალისტებისა და მათი მთავრობის მხრივ უფრო მკაცრი და ეფექტიურია, ვიდრე წინა პერიოდში სხვა ქვეყნებში.

9. ჩვენ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ ამერიკის კომუნისტური პარტია ჯერ კიდევ სუსტია, საკმაოდ ძლიერი არაა რიცხვობრივ, რომ ჩვენ მოწოდებული ვართ ხელი მოვკიდოთ დიადი ისტორიული ამოცანის განხორციელებას, — ჩვენთვის ყველა შემთხვევებში აუცილებელს,—მეტად მცირე და სუსტი ძალებით".

საერთოდ, ყველაფერი ხელს გვიშლის, ხელს გვიშლის ის, რომ კაპიტალისტები მუშების ექსპლოატაციას ეწევიან, ხელს გვიშლის თვით კაპიტალიზმის არსებობა, არავითარი პერსპექტივები.

მაგრამ სწორედ ამხ. პეპერის მიერ ჩამოთვლილ გარემოებათა მთელი რიგი, ხელსაყრელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ამერიკის პროლეტარიატის ყველაზე უფრო ფართო მასების ფართოდ დასარაზმავად ძლიერ ორგანიზაციებში, ამხ. პეპერს კი შეუკავშირებელ მუშებს შორის კომუნისტური მუშაობის დამაბრკოლებლად მიაჩნია ისეთი ფაქტები, როგორც კაპიტალის ბრძოლა მუშებთან და სხვ. ასეთი პერსპექტივებით ამერიკის კომუნისტური მოძრაობა ვერ გაიშლება, ვერ გახდება მძლავრი, ძლიერი მოძრაობა.

მე მგონია, რომ ამერიკაში ხელსაყრელი პირობებია იმისათვის, რომ ჩვენი კომუნისტური პარტია, რომელიც ამჟამად წარმოადგენს სექტას,—ეს პირდაპირ უნდა ვსთქვათ,—გაიზარდოს დიდ ძალად იმ წინააღმდეგობათა ნიადაგზე; რომელსაც ვამჩნევთ ამერიკაში. კომუნისტური პარტიის ზრდისათვის ამერიკაში უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქნა, ვიდრე მთელ რიგ სხვა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის კაპიტალიზმის მრუდე სულ მაღლა იწევს, მიუხედავათ იმისა, რომ ამერიკის ბურჟუაზიას საშუალება აქვს მოისყიდოს პროლეტარიატის საგრძნობი ზედაფენები; მიუხედავად ამისა, რევოლუციონური კომუნისტური პარტიის ზრდის წყაროები ამერიკაში არაჩვეულებრივად დიდია. ეს არის ის უდიდესი სოციალური წინააღმდეგობანი, რომელნიც აღმოცენებულია ფართო საფუძველზე კაპიტალისტურ განვითარებასთან დაკავშირებით, და რომელიც დაავიწყდა ამხ. პეპერს.

ამასთან დაკავშირებით მე მინდოდა აღმენიშნა კიდევ ერთი გარემოება: ჩემის აზრით, აუცილებელია ამერიკაში გამოვიყენოთ ის ტაქტიკა, რომელიც კომინტერნის აღმასკომის მე-4 პლენუმზე იქნა მიღებული ინგლისისა და საფრანგეთისათვის.

ამას წინად ამ საგანზე ამხ. პეპერმა „კომუნისტურ ინტერნაციონალში" წერილი მოათავსა. მე არ შევუდგები ციტატების მოყვანას ამ წერილიდან. მასში ამხ. პეპერი აღნიშნავდა 5 მიზეზს, რომლებიც ხელს უშლიან ამ მემარცხენე ტაქტიკის გატარებას ამერიკაში და კიდევ ხუთ სხვა მიზეზს, რომლებიც ამ ტაქტიკის გატარებას ხელს უწყობენ. საერთოდ დასკვნა კი მაინც ისეთი იყო, რომ ის ტაქტიკა, რომელსაც საფრანგეთსა და ინგლისს ურჩევდა კომინტერნის აღმასკომი, ამერიკაში ვერ გატარდებაო.

რაში მდგომარეობს ის მთავარი გარემოება, რომელმაც კომინტერნი აიძულა ინგლისისა და საფრანგეთის კომპარტიის კურსი მარცხნივ გადაეხარა. ეს მთავარი გარემოება ჩვენ გვაქვს ამერიკის სინამდვილეშიც და მეტად აშკარა ფორმაში. ეს ის გარემოებაა, რომ რეფორმიზმი თანდათან მარჯვნივ იხრება, რომ სოციალ-დემოკრატია თანდათან შეეზარდა სახელმწიფო აპარატს. ეს მთავარი გარემოება მდგომარეობს იმ გაცოფებულ ბრძოლაში, რომელსაც რეფორმიზმი აწარმოებს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს მეტისმეტად მომწიფებულია ამერიკაში და ამიტომაც ისეთი ფაქტი, როგორიც აქ მოიყვანა კენონმა, რომ კომუნისტებმა ნიუ-იორკში ხმა მისცეს სოციალისტური პარტიის დელეგატს, რომელსაც მხარი დაუჭირა ამერიკის სოციალისტურმა პარტიამ და ამერიკის შრომის ფედერაციამ, სრულიად მიუღებელია ამერიკის პირობების თვალსაზრისით, როგორც საფრანგეთის პირობების თვალსაზრისითაც. ამერიკის კომუნისტურ მოძრაობაში მომავალში ასეთ ფაქტებს ადგილი არ უნდა ექნეს. ამხ. პეპერის ცდა —გაემართლებია ეს ფაქტები იმით, რომ ამერიკაში სულ სხვა მდგომარეობაა, სრულიად გამოუდეგარია. ამერიკაში ჩვენ გვაქვს ყველა პირობები იმისათვის, რომ აქ გატარებულ იქნას, და რაც შეიძლება დაჩქარებით, ის გადახრა, რომელიც კომინტერნმა გაატარა ინგლისში და საფრანგეთში. ის პოზიცია, რომელიც ამ საკითხში ამხ. პეპერს უჭირავს უნდა უარყოფილ იქნას, და თუმცა მე ძალიან ახლოს არ ვიცნობ ამერიკის პარტიაში ფრაქციულ ბრძოლას, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ ამერიკის ცეკა ყველაფერში იზიარებს ამხ. პეპერის თვალსაზრისს, მაშინ ამერიკის კომუნისტური პარტიის ცეკაში ოპოზიცია ბევრში მართალია.

ბ. ლომინაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 197.

კომუნისტი
მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 18—8

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი გლეხური მეურნეობის ქვეყანაში. (ეს მეურნეობა ზოგჯერ ცდილობს წავიდეს მუშათა და გლეხთა ინტერესების წინააღმდეგ მათს ფართო ისტორიულს ხაზიდლეზე), რათა წარმართოს ეს პროცესები მუშათა კლასისათვის ხელსაყრელი გზით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამ პერიოდში სახელმწიფო არა ხდეს და არც შეიძლება იდგეს ფრიტრედერის თვალსაზრისზე, ე. ი. შინაგან კლასობრივ ბრძოლაში ჩაურევლობის თვალსაზრისზე. ფასების პოლიტიკით, საგადასახადო პოლიტიკით, ფინანსიური ხასიათის ღონისძიებებით ჩვენ იმავე კლასობრივ პოლიტიკას ვაწარმოებთ, რასაც ვატარებდით პროლეტარული დიქტატურის პირველ წლებში, მხოლოდ სხვა ფორმით და სხვა საშუალებებით. მაგრამ თუ ტროცკისტული ოპოზიცია დგებოდა ამ ახალი ურთიერთობის ნიადაგზე, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს შეიქმნა, თუ ეს ოპოზიცია დადგა ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ახალი ფორმების ნიადაგზე, ის აქაც საოცრად არღვევდა ყველა თვალსაჩინო პროპორციას, ის უხეშად ამტვრევდა სხვადასხვა სამეურნეო ფორმების ურთიერთობას, რომ ტროცკისტული „ახალი პოლიტიკა" თანდათან ეზრდებოდა სამხედრო კომუნიზმს დროის ტროცკიზმს. მაგრამ ამ პოლიტიკაში იკარგებოდა ძირითადი ღონისძიება, ის, რაც ლენინს გლეხობასთან დამოკიდებულებაში, „გაჭირვების განაწილების" საკითხში, პროლეტარული დიქტატურის პრინციპად მიაჩნდა პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ ტროცკიზმი დავამარცხეთ მის მიერ კლასობრივი იძულების ისეთი მეთოდების წამოყენებისა, რომლებიც საჭიროა იყვნენ პროლეტარული დიქტატურის განსაზღვრულ პერიოდში, რომ ჩვენ პრინციპიალურად უარვყოფთ ამ მეთოდებს?

განა არ შეიძლება, რომ დღევანდელ საფუძვლებზე შეცვლილმა პირობებმა, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ პროლეტარული დიქტატურის შენარჩუნების საკითხში ლენინის მიერ ნაანდერძევი პრინციპიდან გამოვდივართ, გვაიძულოს მივმართოთ კლასობრივი იძულების ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მუშათა სახელმწიფოს მმართველი ფუნქციების ჩარჩოს სცილდებიან? არავის აზრად არ მოუვა ასეთი შესაძლებლობის უარყოფა, ვინაიდან ეს უპირველესად ყოვლისა, იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მშვიდობიანი არსებობა კაპიტალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის იმ მომენტამდე, სანამ ჩვენში სოციალიზმი აშენდება. მაგალითად, ომს შეუძლია იძულებული გახადოს პროლეტარული სახელმწიფო მიმართოს იმ ღონისძიებებს, რომლებიც დამახასიათებელნი იყვნენ პროლეტარული დიქტატურის პირველი პერიოდისათვის. მაგრამ, ომს გარდა, შეიძლება შინით შეიქნეს ისეთი განსაკუთრებული პირობები, რომ ჩვენ განსაკუთრებულ ზომების მიღება დაგვჭირდეს.

მაგალითად, შესაძლოა სამეურნეო გეგმიანობის ჩვეულებრივმა ნორმალურმა ზომებმა არ იკმაროს, ცალკე კლასთა ჯგუფ წინააღმდეგობის გაწევის გამო, შესაძლოა პროლეტარული დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ მტრულად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფები დაფარცუდნენ, ბოლოს, შესაძლოა ცალკე სოციალურმა ჯგუფებმა სცადონ შეცვლა ჩვენი გეგმიანობისა და საქმის წარმართვისა, რომელიც ძალთა განსაზღვრული ურთიერთობის ნიადაგზე წარიმართება, ისეთი გზებითა და საშუალებებით, რომლებიც უცხოა საბჭოთა კონსტიტუციისათვის, ასეთ პირობებში განსაკუთრებული ღონისძიებები, პროლეტარული სახელმწიფოს თავდაცვის საშუალება იქნება. ავილოთ საკითხი იმ განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ჩვენ მივმართეთ უკანასკნელ ხანებში, როდესაც პურის დამზადების საქმეში სხვა დაბრკოლება გადაგველობა. ამ ღონისძიებებს იმიტომ მივმართეთ, რომ 1928 წლის 1-ლი იანვრისათვის ჩვენ 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი გვქონდა, მივმართეთ იმიტომ, რომ ჩვენს სამეურნეო გეგმას ჩაშლა მოელოდა, იმიტომ, რომ წამოიჭრა საკითხი, შევძლებდით თუ არა მუშათა კლასის მომარაგებას, იმიტომ, რომ მომარაგების შეფერხება გამოიწვევდა მუშათა კლასში უკმაყოფილებას, იმიტომ, რომ დისკუსიის დასრულების შემდეგ, რამდენიმე წლის შესვენების შემდეგ, ჩვენს პარტიაში მეტად „დამშვიდებული" სულისკვეთება დამკვიდრდა, და პურის დამზადების საქმე ალალბედს მივანდეთ. ჩვენ არ ვიქნებოდით ბოლშევიკები, რომლებიც ყოველივე დაბრკოლებას გადალახავს შეუძლიათ, ჩვენი იმედები რომ მარტო მოწესრიგებულ ორგანოებზე დაგვემყარებინა. მაგრამ ეს ღონისძიებები ჩვენ თავდაინვე საგანგებო ზომად მიგვაჩნდა. როდესაც ჩვენ პურის დამზადების საქმეში სათანადო შედეგებს მივაღწიეთ, როდესაც გამოირკვა, რომ სოფლის კულაკების წინააღმდეგ მიმართულ ზომებს ვნება მოახდინა საშუალო შეძლების გლეხობისათვის, ჩვენ ეს ზომები გავაუქმეთ. გავაუქმეთ იმიტომ, რომ საშიში იყო მათ არ მოჰყოლოდა იმის საწინააღმდეგო შედეგი. რისთვისაც ჩვენ ამ ზომებს მივმართეთ. საგანგებო ზომებმა საბაბი მისცა სოფლის კულაკურ ელემენტებს, ვაჭრებს და სპეკულიანტებს—გაევრცელებინათ ხმები იმის შესახებ, თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა უარყოფილია, თითქოს ჩვენი პარტია დაადგა ტროცკისტული ოპოზიციის მიერ ნაჩვენებ პოლიტიკას. ამ ვერსიას დაეხმარა აგრეთვე კაპიტალისტური პრესა საზღვარგარედ. ეს „ნეპია" ის, რომელსაც ისურვებდა საერთაშორისო კაპიტალი და მასთან ერთად კულაკი სოფელში და „ნეპმანი" ქალაქში. ეს ის „ნეპი" არ არის, რომელიც ჩვენმა პარტიამ დაუშვა განსაზღვრულ პირობებში ის „ნეპი" კი ნიშნავს არა მარტო ბაზრის „დიქტატურას" გეგმიანობაზე, არამედ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ჩაშლას, ჩვენი ინდუსტრიის განავებას და ყველა აქედან გამომდინარე შედეგს კლასების ურთიერთობაზე; ეს მუშათა კლასის მონაპოვართა და უფლებათა შეზღუდვას ნიშნავს. ასეთი „ნეპი" ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის მშენებლობის ქვეყანაში, ვერასოდეს ვერ იბოგინებს.

პროლეტარული დიქტატურისა და მუშათა დემოკრატიის ფორმების შესახებ

მეხუთე საკითხია საკითხი პროლეტარული დიქტატურისა და მუშათა დემოკრატიის ფორმების შესახებ. იქიდან, რაც ზევით ითქვა, გამომდინარეობს, რომ პროლეტარული დიქტატურის ფორმებს, ტროცკის მიხედვით, ყოველთვის ახასიათებენ რეპრესიის მსუსხავი ელემენტები. ეს ფორმები შეუძლებელია სხვა ხასიათისა იყოს, ვინაიდან პროლეტარული დიქტატურა ერთი კლასის მიერ ყველა დანარჩენ კლასებთან გამართული ომია. ისინი გარდამავალ პერიოდში ერთნაირებია, ვინაიდან „პერმანენტული" კლასობრივი ომის მდგომარეობაში ადგილი არა აქვს „შესვენებას" და ინტერვალებს. პროლეტარული დიქტატურა და მუშათა დემოკრატია ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რადგან ტროცკიზმის შეხედულებით, პროლეტარული დიქტატურა სრული წინააღმდეგობაა ბურჟუაზიული დიქტატურისა. კაპიტალის დიქტატურის დროს ბურჟუაზიული დემოკრატია მხოლოდ თვალთმაქცობაა, პროლეტარულ დიქტატურას ასეთი თვალთმაქცობა არა სჭირდება. ტროცკიზმი ანგარიშს არ უწევს პროლეტარული დიქტატურის განსაკუთრებულ ხასიათს, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი უმცირესობის დიქტატურაა, მაგრამ უმრავლესობის ინტერესების დამცველი, მაშინ, როდესაც ბატონ კლასთა დიქტატურა უმცირესობის დიქტატურაა და ექსპლოატატორული უმცირესობის ინტერესების დამცველი. შემდეგ, ტროცკიზმს არ ესმის პროლეტარული დიქტატურის მეორე ნიშანი, სახელდობრ ის, რომ ეს დიქტატურა ეყრდნობა გლეხობასთან კავშირს.

პროლეტარული დიქტატურის ამ ორი ძირითადი ნიშნის გამო, რომლებიც მას შეძლებულ კლასთა დიქტატურისაგან ანსხვავებენ პროლეტარული დიქტატურა და პროლეტარული დემოკრატია არა თუ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ისინი ერთი მეორის გარეშე წარმოუდგენელნი არიან. საგანგებო მოვლენებს, როგორიცაა ომი და კონტრრევოლუციური მოძრაობა, შეუძლიათ პროლეტარული დემოკრატიის საზღვრები შეზღუდონ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მისი ჩაკვლა, ვინაიდან პროლეტარული დიქტატურა მაშინ მიიღებს ბელადთა ჯგუფის დიქტატურის ფორმას, ისეთ ბელადთა ჯგუფის, რომლებიც მასების გარეშე მოქმედებენ. ასეთი დიქტატურა ვერ გასძლებს არა თუ ათ წელიწადს, არამედ ათ თვესა და ათ კვირასაც. განა ჩვენ შესძლებდით ბრძოლას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან, რომელიც პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ თავისი საექსპედიციო კორპუსებს გზავნიდა, მხარს უჭერდა კონტრრევოლუციონერ გენერლების გამოლაშქრებას მატერიალური სახსრებით და საომარი იარაღით, ჩვენ რომ უზრუნველი არ ვყოფილიყავით ჩვენი კავშირის მრავალი მილიონი მშრომელის უანგარო დახმარებით?

განა შეგვიძლია სოციალიზმის აშენება, თუ საუკუნოებრივ ტრადიციებს და მემკვიდრეობით მიღებულ ინდივიდუალისტურ შეხედულებებს აღმოვფხვრით ისეთი დიქტატურის გზით, რომელიც მასებზე იბატონებდა მათი მონაწილეობის გარეშე? „პროლეტარული დემოკრატია,—სწერდა ლენინი ბროშურაში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი",—ყოველგვარ ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია; საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაზე მილიონჯერ უფრო დემოკრატიულია". მაგრამ პროლეტარული დემოკრატია—კლასობრივი დემოკრატიაა, იგი არ არის დემოკრატია ყველასათვის, არამედ მხოლოდ პროლეტარიატისათვის, უწინარეს ყოვლისა, და გლეხობის იმ ფენებისათვის, რომლებიც მხარს უჭერენ პროლეტარულ დიქტატურას. პროლეტარული დემოკრატიის დროს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი არ ჰქრება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პროლეტარული დემოკრატია კი არა, არამედ მუშებისა და გლეხების დემოკრატია იქნებოდა. ყველა განმასხვავებელი თვისება, რომელიც პროლეტარულ დიქტატურასა და პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიულ დიქტატურას შორის არსებობს, ძალაში რჩება დემოკრატიის ამ სახეებისათვის. საკითხი იმის შესახებ, თუ რა ელემენტები ჩნდებიან უფრო ძლიერად პროლეტარულ დიქტატურაში—დიქტატურის ელემენტები თუ პროლეტარული დემოკრატიის ელემენტები,—არის პროლეტარული დიქტატურის ფორმების საკითხი. ეს ფორმები დამოკიდებულია იმ ძალთა განწყობილებაზე, რომელიც პროლეტარული დიქტატურის ქვეყანასა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის არსებობს. პროლეტარულ სახელმწიფოს რომ კაპიტალისტური მსოფლიო არ ავიწროვებდეს, პროლეტარული დემოკრატიის განვითარების პროცესი უფრო სწრაფი იქნებოდა, ვიდრე ეხლანდელ პირობებში, როცა ეს სახელმწიფო ყოველი მხრით შერტყმულია მტრებით. პროლეტარული დიქტატურის ფორმები დამოკიდებულია აგრეთვე ქვეყნის შიგნით არსებულ კლასობრივ ძალთა განწყობილებაზე. წარმოვიდგინოთ თეორიულად ისეთი პირობები, როცა ყველა კლასი უსიტყვოდ ემხრობა პროლეტარიატს, როცა კლასები არ არიან მეურნეობის ინდივიდუალური ფორმების გარდაქმნისა და საკუთარი თავის სოციალისტური თვალსაზრისით გარდაქმნის წინააღმდეგნი და მონაწილეობას იღებენ სოციალიზმის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. (ტეხნიკური ინტელიგენცია, საკონცესიო კაპიტალი, ახალი ბურჟუაზია). მაშინ პროლეტარული დემოკრატია შეუჩერებლივ განვითარდებოდა და კლასობრივი კონფლიქტების გარეშე მოისპობოდა კლასები და პროლეტარული დიქტატურა გარდაიქმნებოდა შრომის ყველაზე უფრო ფართო დემოკრატიად.

მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო მასშტაბით გამწვავებულ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, რაც შეუძლებლად ხდის განვითარების ასეთ გზებს, ჩვენ ვიმყოფებით ისეთ პერიოდში, როცა საერთაშორისო პირობები უფრო და უფრო მეტ გავლენას მოახდენენ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე საბჭოთა კავშირში, ამიტომ ამ დიქტატურის ფორმები შეიძლება შეიცვალონ შინაგანი და საერთაშორისო ხასიათის ფაქტორების ზეგავლენით. დაბოლოს, პროლეტარული დიქტატურის ფორმები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესძლო პროლეტარიატის ავანგარდმა—პროლეტარიატის პარტიამ—თავისი დაუღალავი მუშაობით მშრომელი მასების პოლიტიკური აღზრდა მუშათა კლასის ძირითადი მასებისა და მათი მოკავშირე ღარიბი და საშუალო გლეხების ჩაბმა პარტიაში. მაგალითად, სპარტაკელებს რომ 1919 წლის იანვარში დაეპყრათ ხელისუფლება გერმანიაში, როცა მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ძალები მხარს უჭერდნენ ნოსკეს პარტიას, მაშინ პროლეტარული დიქტატურის ფორმები სხვაგვარი იქნებოდა, ვიდრე ამჟამად. როცა გერმანიის კომპარტია კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასიური სექციაა. მათი დიქტატურა უფრო „იაკობინური" დიქტატურა იქნებოდა და არა ისეთი კომპარტიის დიქტატურა, რომელსაც მუშათა კლასის ძირითადი ფენები მიჰყავს. ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასებისა და მათი ავანგარდის ურთიერთობისათვის სამოქალაქო ომის შემდეგ დამახასიათებელია ის, რომ კავშირი ჩვენს პარტიასა, მუშათა კლასსა და გლეხობის ფართო ფენებს შორის განუწყვეტლივ მტკიცდება. რაზე მიგვანიშნებს თვითკრიტიკის უკანასკნელი ლოზუნგის აზრი? იმაზე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიისა და მშრომელი მასების კავშირი და მათი უშუალო დახმარებით აღმოვფხვრათ ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის შეცდომები, გადახრები, და ბიუროკრატიული გადამახინჯება აპარატის, რომელიც ზოგჯერ უცხო კლასების გავლენას განიცდის. ამ ფართო ნამდვილ მასიურ პროლეტარულ დემოკრატიას ჩვენ უპირისპირებთ იმ დემოკრატიას, რომელსაც სურს თავისუფლება ტროცკისტული „ფრაქციების" ცალკე ინტელიგენტური ჯგუფებისათვის; ეს ჯგუფები იქნებიან იმ პოლიტიკური პარტიების ჩანასახები, რომლებიც მოამზადებენ ნიადაგს ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე გადასასვლელად.

კაპიტალისტური ქვეყნებისა და თეთრგვარდიელთა პრესა პურის დამზადების დაბრკოლებათა მიხედვით წინასწარ მეტყველებს ჩვენი პარტიისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების კრიზისის შესახებ. მაგრამ ნამდვილი იდიოტი უნდა იყო და არა პოლიტიკოსი—ვერ მიხვდე, რომ თუ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის დამოკიდებულება ასეთ კრიზისს განიცდის, მაშინ იმ პოლიტიკური პარტიის მხრით, რომელიც უზარმაზარ ქვეყანას განაგებს, უდიდესი სიგიჟე იქნებოდა ასეთ მომენტში თვითკრიტიკის ლოზუნგის გამოსროლა და ხელისუფლების კრიტიკაში მრავალი მილიონი უპარტიო მუშისა და გლეხის ჩაბმა. რომელიმე ბურჟუაზიული მთავრობა გაბედავდა კრიტიკის გაჩაღებას, უკმაყოფილების ჩამოყალიბებას, მმართველი პარტიისათვის დირექტივების მიცემას და მშრომელ მასებისათვის სრული თავისუფლების მინიჭებას ამ კრიტიკაში, რომ იგი კლასების ურთიერთობის სერიოზული პოლიტიკური კრიზისის წინაშე იდგეს? მაშინ ხომ ყოველი უპარტიო მუშა უცხოეთში, როცა იმ ბატონ შეფერისა და სხვა ბურჟუაზიულ კორესპონდენტების ცნობებს წაიკითხავს, რომლებიც ბოროტად იყენებენ საბჭოთა კავშირის სტუმართმოყვარეობას, იტყვის: „დიდი გაბედული ხალხია ეს ბოლშევიკები, რომ კრიზისის მომენტში არ ეშინიათ თავიანთი გლეხების კრიტიკისა, როგორც სჩანს, ეს განსაკუთრებით მტკიცე მთავრობაა"-ო. ჩვენ ვიცით, რომ ერთმა მეზობელმა სახელმწიფომ ამას წინად განიცადა კრიზისი გლეხობასთან დამოკიდებულებაში და ამ კრიზისმა მოძრაობის ხასიათი მიიღო ალბა-იულიაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა ხმლებისა და საჭირო ძალების მობილიზაცია, რათა ხელი შეეშალათ გლეხების წინსვლისათვის ბუქარესტისაკენ. აბა სცადონ რუმინეთის მთავრობამ და მისცეს გლეხებს თავისუფალი კრიტიკის უფლება. რატომ არ ეშინიათ ამის ბოლშევიკებს? იმიტომ, რომ მსოფლიოში არ არის პარტია, რომელიც ისე თავგამოდებით იცავდეს პროლეტარიატისა და გლეხობის ფართო მასების ინტერესებს, მსოფლიოში არ არის პარტია, რომელსაც ისე სწამდეს მშრომელი მასების შემოქმედებითი ნიჭი, როგორც კომპარტიას, იმიტომ, რომ მსოფლიოში არ არის უფრო ფართო და ნამდვილი დემოკრატია, ვიდრე საბჭოთა დემოკრატია.

ჩვენ პოლიტიკური ცხოვრებისათვის ავამოძრავეთ ისეთი ფენები, როგორიც არ დასიზმრებია ინგლისის არც ერთ „მუშათა მთავრობას", შვეციის არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და, საერთოდ, არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას. „პოგრომებისა", წერა-კითხვის უცოდინარობისა და სიბნელის ქვეყანა დღითი-დღე უფრო და უფრო ახალი სოციალისტური კულტურის ქვეყანა ხდება. იზრდებიან თავისუფალი ადამიანების ახალი თაობა და ახალი ცხოვრების მშენებელთა კადრები. მაგალითისათვის ავილოთ ჩვენი გლეხკორებისა და მუშკორების მოძრაობა. მიყრუებულ ადგილებში იბადება ახალი ტიპის საბჭოთა საზოგადო მუშაკი, რომელიც, როგორც გუშაგი, ისე იცავს ჩვენს რთულ მშენებლობას მონობის პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებულ ნაშთებისაგან. ავილოთ მუშათა დაწინაურების პრაქტიკა: მარტო 1925 წ. ჩვენმა პარტიამ 7,459 მუშა გაგზავნა საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ და სამეურნეო პოსტებზე. თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მსხვილი ორგანიზაცია არ მოიპოვება, რომელსაც არ ჰქონდეს სერიოზული მიღწევები ამ დარგში. ამავე დროს ეს მოძრაობა მხოლოდ დასაწყის სტადიაშია.

ჩვენ არ გვეშინია თვითკრიტიკის. ამ პირობებში თვითკრიტიკა არის თვითმოქმედების იარაღი, სკოლა, რომელიც ახალ მილიონებს აბამს აქტიურად სოციალისტურ მშენებლობაში. ეს მშენებლობა მარტო ჩვენი პარტიის 1 მილიონი წევრისა, ჩვენი ტრესტების ხელმძღვანელების, ადმინისტრატორების, კოოპერატორებისა და საბჭოთა მუშაკების საქმე როდია. ეს თვით მასების საქმეცაა. ჩვენ ამ მასებში უნდა აღმოვფხვრათ ძველი ფსიქოლოგია, რომელიც ადამიანებს ჰყოფს ორ კატეგორიად—ერთი, რომელიც მმართველობისაგან შედგება და მეორე, რომელსაც სხვისი მმართველობა სჭირდება,—ფსიქოლოგია, რომლის თვალსაზრისითაც სოციალისტური საქმე უნდა განახორციელონ „ზევით" მდგომმა ადამიანებმა, რომლებმაც ყველაფერი იციან. საჭიროა, რომ მასებმა ეს მშენებლობა მთელი თავისი ნაკლითა და მიღწევებით მიიჩნიონ საკუთარ, ახლობელ საქმედ. თვითკრიტიკა გვესაჭიროება სოციალისტური და მოქალაქეობრივი გრძნობის აღსაზრდელათ.

ლენინი ოდესღაც სოციალისტურ მშენებლობაში მასების მონაწილეობის შესახებ სწერდა: „როგორც ასეული ადამიანი იყო ამის (ე. ი. გარკვეული რეჟიმის) შემქმნელი ბატონ-ყმობის დროს და როგორც მრავალი ათასი ათი ათასები აშენებდნენ სახელმწიფოს კაპიტალისტურ ხანაში, ისე ეხლა სოციალისტური გადატრიალება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ათეული მილიონები მიიღებენ აქტიურ და უშუალო მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში" (ლენინი, ტომი 16, გვ. 23).

პარტიის როლი და მისი ჰეგემონია პროლეტარული დიქტატურის პერიოდში

მეექვსე და უკანასკნელი საკითხი—პარტიის როლისა და მისი ჰეგემონიის შესახებ პროლეტარული დიქტატურის პერიოდში. პროლეტარული დემოკრატიის გაფართოების ტენდენციის ფაქტიდან პროლეტარული დიქტატურის პერიოდში ხომ არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ პარტია „ითქვიფება" მასებში, რომ მისი ჰეგემონია სოციალური მშენებლობის ყველა დარგის ხელმძღვანელობის საქმეში შესუსტებულ უნდა იქნეს დღევანდელ მომენტში? ხომ არ იწვევს პარტიის ჰეგემონიის ასეთი შესუსტების მოთხოვნილებას ხელმძღვანელობის პრობლემის გართულება, როგორც პოლიტიკური, ისე სამეურნეო ცხოვრების ყოველსავე დარგში და ამ პრობლემების გაძლიერებული სპეციალიზაცია, რომელიც მოითხოვს არა მარტო საერთო წინაწარ პირობებს, არამედ პარტიის წინაშე წამოჭრილ პოლიტიკური და ეკონომიური მმართველობის საკითხის ყველა დეტალის სერიოზულ გაცნობასაც?

დამახასიათებელია, რომ ყოველი ოპოზიცია, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი—„მარჯვნიდან" თუ „მარცხნიდან"—აუცილებლად იწყებოდა შეტევით პარტიულ ჰეგემონიაზე, რომელშიაც იგი ხედავს პარტიულ „ძალდატანებას", „არა კომპეტენტობას", „ინიციატივის ჩახრჩობას", პოლიტბიუროს „დიქტატურას", აბეზარ ჩარევას და სხვ.

ეს იმას ამტკიცებს, რომ პარტიის ჰეგემონიის საკითხი მისი პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში პროლეტარული დიქტატურის დროს, იყო, არის და იქნება ის პუნქტი, სადაც იქნება მიმართული ყველა პროლეტარული კლასის იერიში, რომ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ საკითხის გარშემო ყალიბდება და განაგრძობს ჩამოყალიბებას ოპოზიცია. შინაპარტიულ რეჟიმთან და პარტიული აპარატის ბიუროკრატიზაციასთან ბრძოლის სახით ტროცკისტული ოპოზიცია ერთი-მეორეს უპირისპირებდა პროლეტარულ დემოკრატიას და პარტიის ჰეგემონიას. პარტიის ჰეგემონიის წინააღმდეგ გამოლაშქრებით ყველა ოპოზიციონური მიმართულება სინამდვილეში აწარმოებდა ბრძოლას პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, ვინაიდან პროლეტარული დიქტატურა შეუძლებელია გარეშე იმისა, რომ მას არ ხელმძღვანელობდეს მუშათა კლასის შეგნებული ავანგარდი—მისი პარტია, რომელიც თავისთავად იზიდავს ყველა საუკეთესო, ყველაზე ერთგულ და ყველაზე უნარიან ძალას. რაც კი მოიპოვება პროლეტარიატის რიგებში. ისტორიას არ ახსოვს ისეთი დიქტატურა, რომ მისთვის ხელმძღვანელობა არ გაეწია იმ კლასის პოლიტიკურ პარტიას, რომელიც არის ამ დიქტატურის მატარებელი. პარტიის ჰეგემონია და პროლეტარული დემოკრატია ურთიერთ საწინააღმდეგო, ერთმანეთის გამომრიცხი პოლიუსები არ არიან, ისინი არიან პროლეტარული დიქტატურის შემადგენელი ნაწილები. პარტიის ჰეგემონია პროლეტარული დემოკრატიის გარეშე პროლეტარულ დიქტატურას გადაუქცევდა პარტიისაგან მოწყვეტილ დიქტატურად. პროლეტარული დემოკრატია პარტიის ჰეგემონიის გარეშე არ იქნებოდა პროლეტარული დიქტატურა, იგი იქნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ გარდამავალი რეჟიმი. იგი ისეთივე ხანმოკლე ეპიზოდი იქნებოდა, როგორიც იყო სახალხო რწმუნებულთა მთავრობა გერმანიის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ან სოციალ-დემოკრატების ბატონობა უნგრეთში—როცა კომუნისტებმა მათ ხელისუფლება ჩააბარეს. ძველი საფრანგეთის სინდიკალიზმი სწორედ იმიტომ გაკოტრდა და დამარცხდა, რომ იგი უარჰყოფდა მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის როლს. იტალიის პროლეტარიატი 1920 წელს ფაბრიკების ხელში ჩაგდების შემდეგ იმიტომ აღმოჩნდა ისეთი უძლური, რომ მას არა ჰყავდა პარტია, რომელსაც შესძლებოდა მისი მიყვანა გამარჯვებამდე.

მაგრამ პროლეტარული დიქტატურის პერიოდში პარტიის როლი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხელისუფლების მოპოვების წინა პერიოდში, და არა მარტო სამოქალაქო ომის პირობებში, არამედ სწორედ სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, როდესაც პროლეტარიატს უხდება უაღრესად რთული ამოცანების გადაჭრა კლასობრივ წინააღმდეგობათა სინამდვილეში, ბურჟუაზიისა და მემამულეების მოსპობის შემდეგ, პროლეტარიატს წინ ეღობება საქონლის წვრილ მწარმოებელთა კლასი, რომელთა გაგდება ან დამორჩილება არ შეიძლება,—საჭიროა მათი შეგუება, მათი გარდაქმნა ხანგრძლივი და მტკიცე ორგანიზაციული მუშაობით.

„ისინი,—ამბობს ლენინი,—გარს ეხვევიან პროლეტარიატს ყოველი მხრიდან, წვრილბურჟუაზიული სტიქიის სახით, იჟრებიან პროლეტარულ მასაში, ჰრყვნიან მას და იწვევენ მასში წვრილ-ბურჟუაზიული უხასიათობის, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან სასოწარკვეთილებაზე გადასვლის გამუდმებულ რეციდივებს. საჭიროა მტკიცე ცენტრალიზაცია და დისციპლინა პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის შიგნით, რომ შესაძლებელი გახდეს წინააღმდეგობის გაწევა ყველა მოვლენისათვის, რომ პროლეტარიატის ორგანიზატორული როლი (ეს კი მისი მთავარი როლია) ჩატარებულ იქნეს სწორედ, წარმატებით გამარჯვებულად, პროლეტარიატის დიქტატურა არის თავდადებული ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, იძულებითი და მშვიდობიანი, სამხედრო, სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატიული, ძველი საზოგადოების ყველა ტრადიციის წინააღმდეგ. მილიონების და ათეულ მილიონების ჩვეულებათა ძალა—ყველაზე საშინელი ძალაა. ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიის გარეშე, იმ პარტიის გარეშე, რომელსაც ენდობა ყოველივე, რაც კი მოიპოვება პატიოსანი ამ კლასში, იმ პარტიის გარეშე, რომელსაც შეუძლია თვალყური ადევნოს მასების განწყობილებას და გავლენა იქონიოს მათზე—ასეთი პარტიის გარეშე ამგვარი ბრძოლის წარმოება შეუძლებელია. გამარჯვება მსხვილ ცენტრალურ ბურჟუაზიაზე ათასჯერ უფრო ადვილია, ვიდრე „გამარჯვება" მრავალ მილიონ წვრილ მეპატრონეზე; ისინი თავისი ყოველდღიური, შეუმჩნეველი და გამხრწნელი მოქმედებით ახორციელებენ სწორედ იმ ამოცანებს, რომლებიც სჭირდება ბურჟუაზიას, რომლებიც ემსახურებიან ბურჟუაზიის რესტავრაციის საქმეს. ვინც ცოტათი მაინც ასუსტებს პარტიის რკინის დისციპლინას (განსაკუთრებით დიქტატურის დროს), ის ფაქტიურად ეხმარება ბურჟუაზიას პროლეტარიატის წინააღმდეგ". (ლენინი, ტომი მეჩვიდმეტე, გვ. 136).

ავიღოთ კონკრეტულად პროლეტარული დიქტატურის ჩვენი ქვეყანა. განა ჩვენ პროლეტარიატს კი არ აწვება ყოველი მხრიდან წვრილი ბურჟუაზიული სტიქია? არც ერთი ევროპიული ქვეყნის პროლეტარიატი არ არის ისე დაკავშირებული გლეხობასთან, როგორც ჩვენს ქვეყანაში, გლეხობის ყოველ მცირე ცვალებადობას იგი ბარომეტრიულად გამოხატავს თავის განწყობილებაში. ეს ჩვენ დავინახეთ თუ გინდ პურის უკანასკნელი დამზადების და იმ სიძნელეთა მაგალითზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფელთან დაკავშირებულ სეზონის მუშებთან დაკავშირებით. ჩვენი პროლეტარიატი—ევროპიული გლეხური ქვეყნის პროლეტარიატია, ამ ქვეყნის, სადაც ინდუსტრიალიზაციის ძლიერი განვითარების პროცესი მოითხოვს მუშა-ხელს და ჰპოულობს მას სოფლიდან გამოსულებში, და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რიცხობრივად და თვისობრივად გაყინულ რამეს. მის შიგნით მოიპოვებიან სხვადასხვაგვარი ფენები, მასში მოიპოვება წმინდა ჯიშის პროლეტარების უმნიშვნელო მასა. ამ პროლეტარებს განუწყვეტელი კავშირი აქვთ სოფელთან. მაგრამ იმის გვერდში იმყოფება უზარმაზარი მასა ისეთი პროლეტარიატისა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული გლეხურ ცხოვრებასთან ყოფა-ცხოვრებითი, ნათესაური და ეკონომიური პირობებით, აქ შეიძლება გამოვარკვიოთ ამ კავშირის ტიპების მთელი გრადაცია, დაწყებული იმ გლეხებისაგან; რომელთათვისაც სეზონის მუშაობა ქალაქებში წარმოადგენს შემოსავლის დამატებით წყაროს გლეხური ბიუჯეტისათვის და გათავებული იმ ფენებით, რომელთაც თავისი მუშა ხელის გარდა, არ მოეპოვება არავითარი, სხვა მატერიალური სახსარი არსებობისა. და თუ დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატის, როგორც კლასის, ასეთი სტრუქტურა წარმოადგენს მუშათა მოძრაობაში სხვადასხვა მიმართულების წარმოშობის საფუძველს,—ჩვენში, სადაც არსებობს ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც პროლეტარულ დიქტატურას ხელმძღვანელობს, ეს სტრუქტურა წყაროა სხვადასხვა ჯგუფების და მიმდინარეობების მომწიფებისა პარტიის შიგნით. პარტია, რომელიც ამ პირობებში არ აწესრიგებს თავის სოციალურ შემადგენლობას, არ აწესრიგებს ახალი ფენების მოზიდვას, აუცილებლად ჩაიხრჩობა ნახევრად სოფლური, ნახევრად მეშჩანურ განწყობილებათა სტიქიაში. ეს იქნება პოლიტიკა მაჩანჩალობისა, ამ პარტიის შეგუებისა მასების ჩამორჩენილ განწყობილებებთან და არა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების დონის ამაღლებისა, პროლეტარიატის აღზრდისა და მისი ავანგარდთან რაც შეიძლება მეტი დაახლოვების ბოლშევიკური პოლიტიკა.

წარსული ათი წლის განმავლობაში ჩვენ დიდი სიფრთხილით ვაფართოვებდით ჩვენი პარტიის ჩარჩოებს. ჩვენ ვებრძოდით იმ განსტოტურ წინადადებებს, რომლებიც მიხედვით მთელი მუშათა კლასი ორი-სამი დღის განმავლობაში უნდა ჩამდგარიყო ჩვენი პარტიის რიგებში. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებდით იმ გარემოებას, რომ ჩვენი კადრების კომუნისტური, ლენინური აღზრდის ამოცანა, მათი ბოლშევიკურად გარდაქმნის და პარტიაში მომავალი ახალი ფენების გადახარშვა—მეტად რთული ამოცანაა. ჩვენი პარტიის რიგებში ხომ მხოლოდ სამი მეათედი პროცენტია იმ იატაკ ქვეშ მომუშავეებისა, რომლებიც შევიდნენ პარტიაში 1905 წლის რევოლუციამდე და მხოლოდ რვა მეათედი პროცენტი იმათი, ვინც პარტიაში შევიდა თებერვლის რევოლუციამდე. ე. ი. ჩვენი ძველი კადრი, განმტკიცებული იდეოლოგიურ ბრძოლებში და და გამობრძმედილი მეფის დროინდელი მუშაობის პირობებში, სულ ცოტათაა ადამიანებისა ჩვენი პარტიის წევრთა ერთ პროცენტს. ჩვენი მეორე თაობა, სამოქალაქო ომის თაობა, შეადგენს დაახლოებით ჩვენი პარტიის ერთ მესამედს (1917 წ.—ოთხი პროცენტი, 1918 წ.—6,4 პროც. 1919 წ.—10,4 პროც. და 1920 წ:—11.8 პროც.). ჩვენი პარტიის დანარჩენ ორ მესამედს შეადგენს ის თაობა, რომელიც პარტიაში შევიდა სამოქალაქო ომის დამთავრების და ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ.

შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი ჩვენი პარტია განსხვავდება იმ პარტიებისაგან, რომლებიც ჯერ მხოლოდ ხელისუფლების მოპოვებას ესწრაფვიან. ჩვენი ძმური სექციების მუშაობის ძარღვი არის საგიტაციო-საპროპაგანდო და ორგანიზატორული მუშაობა მასებში. ჩვენ კი ვალად გვაწევს მართველობა, მეურნეობის გაძღოლა, ვაჭრობა, გეგმიანობა, შეკრობა; გასამართლება, პროლეტარული სახელმწიფოს დაცვა კონტრ-რევოლუციონური თავდასხმებიდან, წითელი დირექტორობა, პროკურორობა, სარდლობა და სხვა. ჩვენ ვაგზავნით ჩვენი პარტიის წევრებს სახელმძღვანელო და საკონტროლო პოსტებზე მრავალ ტრესტსა და სინდიკატში, საგუბერნიო, სათემო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებში, რკინის გზებზე, წყლის გზებზე, ფოსტა-ტელეგრაფზე და სხვ. ჩვენ იძულებულნი ვართ ჩვენი მთლიანი პარტია დავჰყოთ ჯგუფებად საკუთარი „კორპორატიული" და „საუწყებო" ინტერესებით. იმისათვის, რომ დარჩენ კომუნისტად, რომლებსაც მხოლოდ თავის კლასის ინტერესები უნდა ჰქონდეს თვალწინ, მისათვის რომ არ ჩაგითრიოს შენი აპარატის სპეციალურმა ინტერესებმა და შესძლო დაუმორჩილო ეს აპარატი მთლიან პროლეტარულ ნებისყოფას—ამისათვის საჭიროა სერიოზული ბოლშევიკური სიმტკიცე. შეასუსტეთ დღეს ეს ხელმძღვანელობა, თუ გინდ ერთი მეასედით, და თქვენ მიიღებთ გახსნილ „მაკრატელს", რომლის პირებიც სხვადასხვა მხარეს გაიწევიან. აი სწორედ აქ იჩენენ თავს კლასობრივი წინააღმდეგობანი. პროლეტარული დიქტატურა, რომელიც პარტიის მთლიან ხელმძღვანელობაში გამოიხატება დაიქსაქსებოდა, და ჩვენში გაჩნდებოდნენ თავისებური „პარტიები" ვიწრო კორპორატიული ინტერესებით, რომლებიც ერთმანეთთან განუწყვეტელ ბრძოლაში იქნებოდნენ. განა საკმაოდ დამახასიათებელი არ იყო ამ მხრივ შახტის პროცესი? საჭირო იყო პარტიას ერთი პუნქტი გაეშვა მხედველობიდან, ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შესუსტებიათ თავიანთი ფხიზელი მეთვალყურეობა, რომ დარღვეულიყო საბჭოთა აპარატის და პროფკავშირების მთლიანობა.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობის გამოცდილება გვასწავლის, რომ ამ ხაზით (პარტიის წევრთა განთავისუფლების ხაზით პარტიის ხელმძღვანელობისაგან) მიდის ყოველთვის ოპორტუნიზმი. ეს იცის ყოველმა კომუნისტურმა პარტიამ. რომელიც მუშაობს კაპიტალისტურ პირობებში.

აი რატომ არის, რომ ლენინის პარტია პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში პროლეტარული დემოკრატიის განვითარებისა და გაღრმავების დროს, მტკიცედ უარჰყოფს პარტიის ჰეგემონიის იდეის ტროცკისტულ-მენშევიკური რევიზიის ყოველგვარ ცდას.

დასკვნა

პარტიის მე-XV ყრილობამ ნათლად დაამტკიცა თავისი გადაწყვეტილებებით, თუ რამდენად შემცდარი იყო ოპოზიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტია დაადგა ტერმიდორის გზას შინაგან განვითარებაში.

მე-XV ყრილობის გადაწყვეტილებებით და პარტიის მიერ ამ ყრილობის შემდეგ აღებულ კურსით ოპოზიცია დამარცხებულ იქნა არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც, რითი შეეძლო მას ეპასუხნა ამ გადაწყვეტილებებისა და ამ კურსისათვის? მისი პასუხი იყო უსუსური ჩიფჩიფი მემარცხენე გადახვევის შესახებ; გაბოროტებული ჩხავილი იმის შესახებ, რომ პარტია ვერ შეინარჩუნებს ამ კურსს და მარჯვნივ გადაიხრება; სასაცილო განცხადება ისეთი ადამიანებისა, რომელთაც დაჰკარგეს კომუნიზმის გრძნობა იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ „მემარცხენე გადახრის" გატარებას. ლენინის პარტია არ საჭიროებს ისეთი ხალხის დახმარებას, რომელსაც დაუკარგავს მთელი თავისი ბარგი-ბარხანა და რომელიც უკიდურეს მენშევიკურ ხაზს ატარებს. ლენინის პარტიას შესწევს საკმაო ძალა იმისათვის, რომ გაატაროს მე-XV პარტყრილობის ხაზი და ფოლადის სიმტკიცით ჩაკლას ამ დადგენილებათა რევიზიის ყოველივე ცდა. ამ პარტიამ, რომელმაც საშუალება მისცა პროლეტარული დიქტატურის ქვეყანას, დაეძლია უდიდესი გაჭირვება და შინა და საერთაშორისო ხასიათის უდიდესი სიძნელენი—ამ პარტიამ შეასრულა და იგი მომავალშიც შეასრულებს გამარჯვებულად ამ ამოცანას იმ მომენტამდე, სანამ მას, საერთაშორისო პროლეტარიატი დაეხმარება. მას მტკიცედ ესმოდა, რომ არ მოიპოვება სხვა გზა, რომელიც უფრო მემარცხენე იყოს, ვიდრე ლენინის გზა, და რომ მემარჯვენე გზები საკ. კ. პ. (ბ) და კომინტერნს გადაახვევინებდნენ იმ დიდი პროლეტარული გზიდან, რომელიც მიდის მუშათა კლასის გამარჯვებისა და სოციალიზმისაკენ (ადს).

რესპუბლიკანური საგეგმო თათბირი

მომხსენებლების საბოლოო სიტყვები

პირველ მოხსენებების გარშემო გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ მომხსენებლები ამხ. ავალიშვილი და ა. კვირიკაძე.

ამხ. ავალიშვილმა თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც წარმოდგენილ გეგმაში ამჩნევენ ამა თუ იმ ნაკლს. თვით გეგმის შედგენაში მონაწილე ამხანაგები იყვნენ დარწმუნებული, რომ წარმოდგენილ გეგმას თან ახლავს ბევრი ნაკლოვანება, რომლებიც უფრო ადვილი შესამჩნევი იქნება, როდესაც ამ გეგმას ფართო მასა შეამოწმებს და ასწონ-დასწონის. მომხსენებელი სავსებით ეთანხმება იმ ორატორებს, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ გეგმაში სრულად ვერ არის გათვალისწინებული მაზრების ადგილობრივი საჭიროება-მოთხოვნილებანი; გეგმა შემუშავებულია არა ცალკე მაზრების მიხედვით, არამედ მთლიანად რესპუბლიკის მასშტაბით და ამიტომ მასში ვერ არის საკმაოდ გათვალისწინებული ამა თუ იმ მაზრისათვის გამოსადეგი კულტურის განვითარების ხვედრითი წონა. გეგმის უნაკლოთ შედგენა, იმ პირობებში, როგორშიაც იქნა შედგენილი წარმოდგენილი ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმა, შეუძლებელი იყო. საგეგმო კომისიას საშუალება არ ჰქონდა ადგილობრივ შეესწავლა დაწვრილებით ცალკე მაზრების შესაძლებლობა - მოთხოვნილებები. მას ხელთ ჰქონდა ძალიან ცოტა მასალები, რომლებითაც უხდებოდა სარგებლობა გეგმის შედგენის დროს. დროის სიმცირის გამო გეგმების ადგილობრივ დაწვრილებით განხილვაც ვერ მოხერხდა, მაგრამ მიმდინარე თათბირის მონაწილე მაზრების წარმომადგენლებმა თავისი საქმიანი და დაკვირვებული შენიშვნებით დიდი სარგებლობა მოუტანეს გეგმაში შესწორებების შეტანის საქმეს.

შემდეგ ამხ. ავალიშვილი აღნიშნავს, რომ ეს არის გეგმის მხოლოდ პირველი ვარიანტი, საბოლოო გეგმის შედგენამდე იგი კიდევ რამდენიმეჯერ იქნება განხილული და ამ განხილვაში უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ ადგილების (მაზრების) წარმომადგენლები, რომლების გამოცდილება და დაკვირვება მთლიანად იქნება გამოყენებული გეგმის მიზანშეწონილად შედგენის საქმეში.

ამხ. ა. კვირიკაძე თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს იმ დიდ სარგებლობას, რომელიც მოიტანა მიმდინარე თათბირმა. მომხსენებელი ამბობს, რომ წარმოდგენილი გეგმა არ არის უნაკლო და სწორედ ამ ნაკლის აღმოსაჩენად იქნა მოწვეული მიმდინარე თათბირი. ორატორების საქმიანი შენიშვნები უნაყოფოდ არ ჩაივლიან და გეგმის შემდგომ დამუშავების პროცესში ამ შენიშვნებს მიექცევა სათანადო ყურადღება.

ამხ. კვირიკაძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ მთელი რიგი მაზრების (გურია, ბორჩალო, გორი და სხვ.) წარმომადგენლები საჭიროდ სცნობენ, რომ ამ მაზრებში მეტი ყურადღება მიექცეს მევენახეობის გაფართოებას, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. მისი აზრით, გეგმაში ეს საკითხი, მცირე გამონაკლისით, მიზანშეწონილად არის გათვალისწინებული, მით უმეტეს, რომ ჩვენი საქმიანობა მომავალში უფრო გაფართოვდება და იმ რაიონებში, სადაც მევენახეობა უფრო რენტაბელური იქნება ვიდრე სხვა რომელიმე კულტურა, ამ დარგს მიექცევა უფრო მეტი ყურადღება.

უმიწაწყლო გლეხების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასახლებლად გეგმით გათვალისწინებულია 13 მილიონი მანეთი. ზოგიერთი ამხანაგები მიზანშეწონილად სცნობენ, რომ ეს თანხა რამოდენიმეთ იქნეს შემცირებული და განსხვავება გამოყენებული იქნეს მეურნეობის სხვა დარგებისათვის. ამხ. კვირიკაძე იწონებს ამ მოსაზრებას და შესაძლოთ სცნობს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული ხარჯები შემცირდეს და განსხვავება კი გამოყენებული იქნეს სხვა დარგში.

ამხ. კვირიკაძეს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე, რომ მეფუტკრეობას მიექცეს მეტი ყურადღება, ვინაიდან ზოგიერთ რაიონებში ამ კულტურას დიდი შესაძლებლობა აქვს და მისი გაფართოებით შესაძლო იქნება ჩვენი ექსპორტის გაფართოება.

საბოლოო სიტყვების დამთავრების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით რეზოლუციების შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია, რომელშიაც შევიდა მაზრის თითო წარმომადგენელი, ხოლო ცენტრიდან ამხ. კვირიკაძე, ალშიბაია და თოფურიძე.

შემდეგ თათბირმა მოისმინა მოხსენებები მეურნეობის თვითეული დარგის გეგმის შესახებ.

შინამრეწველ ხელოსანთა გაერთიანებისათვის

ამჟამად თბილისში 6.000-ზე მეტი ხელოსანია შეკავშირებული. მათ შორის 2.200-მდე უკვე შეკავშირებულია სარეწაო კოოპერაციაში და იმყოფება საქართველოს „სარეწ-კოოპკავშირის" ხელმძღვანელობის ქვეშ. დანარჩენი კი, (ე. ი. 3.700-ზე მეტი) შეკავშირებულია თბილისის ხელოსანთა საზოგადოებაში.

საკავშირო ცეკამ და სახკომსაბჭომ მიიღო რა მხედველობაში ის დიდ როლი, რომელსაც თამაშობს მთელ საბჭოთა კავშირში მილიონიანი ხელოსანთა მასა (მარტო საქართველოში 50000-ზე მეტია) საბჭოთა მრეწველობის შევსების საქმეში. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გამოსცეს მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებიც ხელოსანთა მასას უხსნის მეტად ფართო პერსპექტივებს სოციალისტურ თვითშემოქმედებისათვის და აძლევს მას ყოველგვარ უფლებრივ და სოციალურ შეღავათებს.

ამ დადგენილებათა და განკარგულებათა დედა-აზრი მოკლეთ გამოიხატება შემდეგში:

1) შინა-მრეწველ ხელოსანთა შორის უნდა გაჩაღდეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. უნდა მოხდეს სამრეწველო კოოპერაციაში მათი შეკავშირება;

2) მოეწყოს მათ შორის კოლექტიური ერთეულები ახალი საწარმოო წამოწყებისათვის მათი აღზრდის გზით, ფართოდ გაეწიოს ყოველგვარი დახმარება ამ კოლექტიურ წამოწყებებს;

3) მოეწყოს მათ შორის ფართო სოციალური დაზღვევა და ურთიერთ დახმარების საქმე, რომელიც გაუადვილებს მათ კოოპერატიულად შეკავშირებას.

4) მოეწყოს მათი გეგმიანი მომარაგება ნედლეული მასალებით და ფულის სესხით. აგრეთვე მათი ნაწარმოების გასაღება და სხვა.

ყოველი ამის შესრულება დაკისრებული აქვს ერთის მხრივ სარეწ-კოოპ-კავშირს და მეორეს მხრივ ურთიერთ დამხმარე სალაროს.

სარეწ-კოოპ-კავშირი არის წმინდა სამეურნეო და მომმარაგებელი ორგანიზაცია. მისი დანიშნულებაა გეგმიანად მიაწოდოს ნედლი მასალების მარაგი, ფულადი კრედიტი, ორგანიზაციულად მოაწყოს გასაღება თვითშრომელთა ნაწარმოებისა და აგრეთვე მათ შორის კულტურულ-განმანათლებელი და ორგანიზაციული მუშაობა.

ურთიერთ დამხმარე სალაროს მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ მშრომელ ხელოსნების სოციალური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილოს—ე. ი. მოაწყოს მათი სოციალური დაზღვევა და ურთიერთ დახმარების საქმე, აწარმოოს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა და სხვა.

თუ მივიღებთ მხედველობაში ს. ს. ს. რ. კ: მთავრობის დადგენილებებს, სადაც მთავრობა სცნობს, რომ ურთიერთ დამხმარე სალაროების მთავარი ამოცანა არის დაზღვევა მშრომელი ხელოსნებისა. რომლებიც თავისი სოციალური შემადგენლობით უახლოვდებიან მუშათა კლასს, მაშინ ნათელი გახდება, რომ სალაროების ფუნქციას სოციალური უზრუნველყოფისათვის მუშაობა შეადგენს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა კი უნდა გამომდინარეობდეს სარეწ-კოოპ-კავშირიდან.

დღეს თბილისში საქართველოს მასშტაბით მუშაობას აწარმოებს სარეწ-კოოპ-კავშირი, ხოლო თბილისის შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოება სდგას ძირითადი რეორგანიზაციის გზაზე, რომელიც ეწევა დიდ მუშაობას თავის წევრებში მათ შესაკავშირებლად სარეწაო კოოპერაციაში. ამ ორგანიზაციათა შორის იყო ზოგიერთი სადაო საკითხები, რაც უკვე მოგვარებულია.

თანახმად თბილისის კომიტეტის დირექტივისა, ლიკვიდაციის ვადა გაგრძელებულია 1929 წლის პირველ იანვრამდე. საზოგადოების და სარეწ-კოოპ-კავშირის მხრით უნდა გაძლიერდეს აგიტაცია შინამრეწველ ხელოსანთა შორის სარეწ-კოოპ-კავშირში მათი გაერთიანების მიზნით და შემდეგ კი მოხდეს ხელოს. საზ. ლიკვიდაცია. ევალება ს. მ. უ. ს. რათა გამოსცეს სათანადო დადგენილება ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ, წესდებაში სათანადო მუხლის შეტანით უნდა იქმნეს მიღებული ღონისძიებანი, რომ სალაროში და აგრეთვე სხვა კოოპერატიულ გაერთიანებებში (საკრედიტო ამხანაგობებში) არ შევიდნენ კულაკური ელემენტები, რომლებსაც ჰყავთ ერთ დაქირავებულ მუშა-ხელზე ან ორ მოწაფეზე მეტი.

უნდა გაჩაღდეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ხელოსანთა მასაში, რისთვისაც არჩეულ უნდა იქნეს კლუბის გამგეობა. სარეწ-კოოპ-კავშირის გამგეობასთან წინასწარ შეთანხმებულ კულტურულ - განმანათლებელი გეგმიანი მუშაობის საწარმოებლად და სხვა.

აი ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დღეს გადაუწყვეტელია შინამრეწველ ხელოსანთა სარეწ-კოოპ-კავშირში გაერთიანების დარგში.

სამრეწველო კოოპ. სარეწაო საორგანიზაციო კომისია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს, რათა დაჩქარებით მოეწყოს ურთიერთ დამხმარე სალარო თბილისში, ხელოსანთა მასების სოციალურათ დაზღვევის მიზნით, რომ ამით ხელი შეუწყონ ხელოსანთა მასის კოოპერაციაში შეკავშირებას და ურთიერთდამხმარე სალაროში ჩაბმას.

იმ მიზნით, რომ უფრო გეგმიანი და ნაყოფიერი იყოს ამ დარგში ჩვენს მიერ წარმოებული მუშაობა, საჭიროა დანიშნულ ვადაზე მოხდეს შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოების სრული ლიკვიდაცია და ამან დაუთმოს ადგილი ახლად დაარსებულ და აღორძინების გზაზე დამდგარ საწარმოო ნადებს, კოლექტივებს, საკრედიტო კოოპერატიულ ამხანაგობებს და სხვა საზოგადოებებს.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მოვაქციოთ შინამრეწველ ხელოსანთა საზოგადოებებში მომუშავე ამხანაგების ყურადღება საქართველოს ყველა კუთხეში, რათა ამ საზოგადოების რეორგანიზაციის საქმეში მათაც ისეთივე გაბედული ნაბიჯი გადადგან, როგორიც ქალაქ თბილისის შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების მმართველმა ორგანოებმა. გაჩაღონ მათ სისტემატიური აგიტ-პროპაგანდა, აწარმოონ სათანადო მუშაობა ხელოსანთა მასში. მარტოხელა ხელოსნების ისეთ სამრეწველო კოოპერაციაში გაერთიანებისათვის, როგორიცაა სხვადასხვა სახის ნადები, საკრედიტო კოოპერატიული ამხანაგობები ერთის მხრივ, ხოლო სამრეწველო ურთიერთ დამხმარე სალაროები—მეორეს მხრივ.

აი უმთავრესი ამოცანები დღეს შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოებაში მომუშავე ამხანაგებისა საქართველოში.

დ. ნასარიძე.

აჭარელი ქალი ჩადრის წინააღმდეგ

(წერილი ბათომიდან)

აჭარელ ქალთა ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

დედაკაცის მამაკაცთან გათანასწორების, მათი მდგომარეობის გაუმჯობესების და საზოგადო ასპარეზზე დედაკაცის გამოყვანის ლოზუნგები დიდი ხანია ისმოდა ქვეყნის ყოველ კუთხეში, ზოგან მართლაც ხორციელდებოდა ეს ლოზუნგი, მაგრამ აჭარელ ქალების ყურამდე არც კი სწვდებოდა თავისუფლების ეს ხმა. თუ მთელი ქვეყნის მშრომელი ქალები, ნამდვილ ადამიანურ უფლებების მოპოვებას ცდილობდნენ, თუ მათი ბრძოლა დღითი დღე ძლიერდებოდა და მათი ხმა კიდით კიდემდე წვდებოდა ქვეყნიერებას, აჭარელი ქალი, აუტანელ პირობებში მდუმარედ იჯდა და მოთმინებით იტანდა ყველაფერს.

რელიგია. აი რა იყო მათი მდუმარების მიზეზი. სასულიერო წოდება—აი ვინ იყო მათი თვალების ამხვევი. არამც თუ დედაკაცი, არამედ მამაკაცებშიაც დიდი გავლენა ჰქონდა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას.

მეფის მთავრობა აჭარისტანს ყურადღებას მაშინ მიაქცევდა, როცა იქ რომელიმე მასიური მოძრაობა დაიწყებოდა, სასწრაფოდ იგზავნებოდა იქ დამსჯელი რაზმები და ყველაფერი ნადგურდებოდა. დანარჩენი ყურადღება საჭიროც არ იყო მისგან.

განათლებული არც აჭარელი ქალი იყო მისთვის საჭირო და არც კაცი. აუტანელი ცხოვრება ჰქონდა მაშინ გლეხობას, მასზედ არავინ ზრუნავდა, ხოლო მას კი ყველაფერზე და ყველასათვის უნდა ეზრუნა.

თუ საშინელ პირობებში იყო მამაკაცები, სავსებით დატანჯულნი იყვნენ ქალები. მათ მზის დანახვაც კი ეკრძალებოდათ.

ჩადრი—აი რა იყო მათი სულის შემხუთველი, ხოლო სარწმუნოება კი ბორკილი. ოჯახი ხომ კიდევ ტვირთი, მეტად სერიოზული და მძიმე.

ვის უყვარს სიბნელე, ვინ ეტრფის ბორკილს, ვის უხარია ტანჯვა და წვალება, რომ აჭარელ ქალს ყვარებოდა, მაგრამ რას გააწყობდა. ნამუს ახდილად გამოაცხადებდნენ, აწამებდნენ და გაკიცხავდნენ, განა არ ხედავდა აჭარელი ქალი სხვა ქალებს პირ ახდილებს, საერთო საქმეში ჩაბმულს? ყველაფერი იცოდა, მაგრამ ითმენდა.

მზის სხივი ყველგან შეანათებს ხოლმე და აჭარელ ქალთა ცხოვრებაშიც შეანათა. აუარებელმა შრომამ აჭარელ ქალთა განსათავისუფლებლად მიმართულმა უნაყოფოდ არ ჩაიარა. საბჭოთა წყობილების რვა წლის არსებობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ფრთხილად და შეგნებულად იქნა დასმული საკითხი აჭარელ ქალის გამოსახსნელად და დღეს კი უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აჭარელ ქალთა ცხოვრებაში ისტორიული ხანა დადგა.

დღეს მთელ აჭარისტანის ყველა სოფლებში, თემებში და მაზრებში სდგება მიტინგები, კრებები და აღფრთოვანებულ სიტყვებს წარმოსთქვამენ ჩადრის მოხსნის გამო. მიტინგებზე ქალები მოდიან ჩადრებით, ძველებურად, ფიქრობ, მათზე ნაკლებად უმოქმედია ჩვენს შრომას, მაგრამ გაიხსნება თუ არა მიტინგი, იწყება სიტყვების წარმოთქმა, გამოვა პირ აფარებული ქალი, აღფრთოვანებით, დემონსტრატიულად იხდის ჩადრს და პირველად მის სიცოცხლეში ესალმება მიტინგს, ერთხელ და სამუდამოდ გმობს ჩადრს და სხვებსაც მოუწოდებს. მას მოჰყვება მეორე, მესამე და ამრიგად მთელი რიგი ქალებისა მიტინგის წინ იხდიან პირზე.

სასულიერო წოდება, რომელიც წინად აი როგორ წარმოიდგენდა ქალს უჩადროთ, წარმოიდგინეთ დღეს სულ სხვა ჰანგზე გალობს. თითქმის ყველა იმათთაგანი აღიარებს, რომ „ყურანი ქალს მუხლებისა და მკლავების გამოჩენას უკრძალავსო". როგორც სჩანს ყურანიც „შეცვლილა". მათი მაზანდა უკვე დიდი ხანია დაეცა სხვა ერებში" და ეცემა დღეს აჭარისტანშიც. ხულო, ქედა, ქობულეთი და აჭარის წყალის მაზრებში მომხდარმა აჭარელ ქალების გამოსვლამ ძველი მონობისა და სიბნელის წინააღმდეგ, ერთხელ და სამუდამოთ მოუსპო გავლენა ძველი ღმერთების მოციქულებს.

აჭარელ ქალთა ცხოვრებაში ახალი ხანა დადგა. აჭარელმა ქალმა დღეს მიიღო წილი საერთაშორისო ქალთა განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, დღეიდან გახდა ის წევრი საერთაშორისო ქალთა მოძრაობისა და გვჯერა რომ ის პირნათლად და ერთგულად შეასრულებს თავის მოვალეობას.

პ. ოგოლი.

ქრონიკა

ნორმაზე 1200 ფუთით მეტი პური თბილისისათვის

ვინაიდან საცდელ მობილიზაციის დღეებში თბილისში მრავლათ მოიყრიან თავს მაზრიდან მობილიზაციით გაწვეული პირები, ვაჭრობის კომისარიატმა განკარგულება მისცა პურის მცხობელ ორგანიზაციებს ამ დღეებში პურის ცხობის ნორმა გაადიდონ 1200 ფუთით. მორიგე პურის დუქნებში ვაჭრობა სწარმოებს ღამის 12 საათამდე.

პურის ნორმის გადიდება მანგლისში, კოჯორში და მცხეთაში

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებით საცდელ მობილიზაციის დღეებში კოჯორში, მანგლისში და მცხეთაში პურის ცხობის ნორმა გადიდებულია 80ს ფუთით. ეს განკარგულება გამოწვეულია იმ გარემოებით რომ ამ დღეებში აღნიშნულ პუნქტებში თავს მოიყრიან მობილიზაციით გაწვეულები.

დღეს ხორცის სავაჭროები ღია იქნება

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის განკარგულებით ხორცით მოვაჭრეთა დასასვენებელი დღე ორშაბათიდან გადატანილია 31 აგვისტოსათვის. ამ რიგათ დღეს ხორცის სავაჭროებში მუშაობა იწარმოებს ნორმალურად.

საბეითლო ინსტიტუტი

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ა. ქ: საბეითლო ინსტიტუტში წელს მიღებული იქნება 130 მსმენელი. საქართველოდან ინსტიტუტში მიიღებენ 30 კაცს, აზერბეიჯანიდან 35 კაცს, სომხეთიდან—25 კაცს. ჩრდილოეთ კავკასიიდან, დაღესტნიდან და შუა აზიიდან—30 კაცს და კავკასიის წითელ დროშოვან არმიიდან—10 კაცს.

25 000 მანეთი სატყეო ინსტიტუტის შენობის შესაკეთებლად

კახეთის სამაზრო აღმასკომს ყვარელის სატყეო ინსტიტუტის შენობის საფუძვლიან შესაკეთებლად კომუნალური ბანკიდან მიეცა 25.000 მანეთი.

ხელფასის მიღების ახალი წესი

საქ. შრომის სახ. კომისარიატმა, პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშავა ჯამაგირების გაცემის ახალი წესი.

აღნიშნული წესის მიხედვით, ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან ჯამაგირები გაიცემა პირველ და 16 რიცხვებში, ხოლო ის დაწესებულებები, რომლებიც სახ. ბიუჯეტზე არ არიან, ჯამაგირების გაცემის ვადებათ დაწესებულია 2 და 17 რიცხვები.

მეთამბაქოეობის განსავითარებლად

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის, საკრედიტო გეგმის მიხედვით მეთამბაქოეობისათვის, მოკლე ვადიანი კრედიტის მისაცემად საქ. სას. სამ. ბანკს გადასცა 600,000 მანეთი

შრომის დაცვა

საკავშირო გზათა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ა. კ. რკინის გზების გამგეობას მთლიანად გამოიყენოს შრომის დაცვის საქმისათვის მიღებული კრედიტები.

აღნიშნული წინადადება მიღებულია იმით გამოწვეული, რომ გასულ საამშენებლო სეზონში შრომის დაცვისათვის მიღებული კრედიტები მთლიანად არ იქნა გამოყენებული.

ბავშვთა საზაფხულო ბაგების მოწყობა

საქართველოს კომპარტიის ც. კომიტეტის ქალთა განყოფილება შეუდგა ბავშვთა საზაფხულო ბაგების მოწყობას. ამ მიზნით „სოფლის კავშირმა" ქალთა განყოფილებას შეწევნის სახით გადასცა 250 მანეთი.

მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები

გუშინ კოოპერატიულ საბჭოს შენობაში გაიხსნა „სოფლის კავშირის" ქსელის მოანგარიშეთა გადასამზადებელი კურსები. კურსების გახსნაზე დაესწრნენ „სოფლის კავშირის" და სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლები. კურსებზე გამოცხადდა 50 მსმენელი. მსმენელებს შეასწავლიან ანგარიშწარმოების იმ ფორმებს და წესებს, რომელიც ახალი წესდებით უნდა იქნას შემოღებული.

თბილისის აღმასკომში

◆ საექსპერტო კომისია. ამ დღეებში თბილისში ჩამოვა სპეციალური საექსპერტო კომისია, რომელიც შეამოწმებს ნატახტრის წყალსადენის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას.

◆ სკოლების შენობების შემოწმება. თბილისის აღმასკომმა დაამთავრა სასკოლო შენობების შემოწმება.

◆ ქუჩების შეკეთება. თბილისის აღმასკომმა დაადგინა დაჩქარებით შეუდგეს ყველა დაზიანებული ქუჩების შეკეთებას და ეს მუშაობა ჩაატაროს სასწრაფო წესით.

უმაღლეს სასწავლებლებში

◆ საშემოდგომო სესიები როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაიწყება 1 სექტემბერს და გასტანს 20 სექტემბრამდე.

შემთხვევები

ქურდობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გ. გ. კოლოზოვი, რომელსაც ბრალდება ექიმ ვეფხვაძის ბინის (კალინინის ქ. № 3) გაქურდვა.—გაქურდეს აგაპერ ხაჩატურიანის ბინა (კლარა ცეტკინის ქ. № 128), წაიღეს 107 მანეთის ნივთები.—კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს არუთინ ათოიანცის ბინა (რიგის ქ. № 30), წაიღეს 160 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა. გარდა ამისა, 25 აგვისტოს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის რვა შემთხვევა.

შრომის პირობების გამოკვლევა

ამ დღეებში საქ. შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ დაასრულა შრომის პირობების გამოკვლევა დუშეთის მაზრაში.

გამოკვლევა უმთავრესად ეხებოდა მოჯამაგირეებს და წარმოება-დაწესებულებებში მომუშავეებს.

სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება კერძო წარმოება-დაწესებულებებს, იქ ადგილი აქვს მთელ რიგ აუცილებელ პირობების დარღვევას, რისთვისაც დაჯარიმებულია 7 კერძო მეპატრონე. ამას გარდა, კერძო წარმოება-დაწესებულებებს მართებთ მუშა-მოსამსახურეებს 3000 მანეთი.

გამოკვლევასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა მოჯამაგირეების დაზღვევა. დუშეთის მაზრაში სულ აღრიცხულია 900-მდე მოჯამაგირე. შრომის კანონების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, პირიქით მცხოვრებლებმა შრომის ინსპექტორებს ხელი შეუწყეს მოჯამაგირეების დაზღვევის საქმეში.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

სამოსწავლო სეზონის დადგომასთან ერთად, აუარებელი სტუდენტობა მოაწყდა თბილისს. ისინი უბინაობის გამო დიდ ვაჭირვებას განიცდიან.

მომავალში ამ მდგომარეობას ადგილი აღარ ექნება. თბილისის აღმასკომი ახლო მომავალში დაასრულებს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის აგებას. ამას გარდა თბილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს გადაეცა ჩამორთმეულ სახლების 5 პროცენტი.

განათლების სახალხო კომისარიატმა სტუდენტთათვის საერთო საცხოვრებლების მოსაწყობათ თბილისის პროლეტ. სტუდენტთა ბიუროს გადასცა 50.000 მანეთი.

ამას გარდა აღმასკომმა ბიუროს გადასცა 90.000 მანეთი, რომლითაც პოლიტეხნიკური ინსტიტუტთან უნდა აშენდეს 70 ოთახი.

საქ. წითელ ჯვარში

წითელი ჯვრის სამდღიური

წითელი ჯვრის სამდღიურის ჩასატარებლათ ჩამოყალიბდა რამდენიმე სექცია, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს სამდღიურის საორგანიზაციო კომიტეტი. წითელი ჯვრის სამდღიური ჩატარდება 1, 2 და 3 სექტემბერს. სამდღიურის დროს იწარმოებს ქუჩებში ფულის აკრეფა, მოეწყობა უფასო წარმოდგენა-კონცერტები, მიტინგები, ლექციები, კინო-სურათების ჩვენება და სხვა.

რაჭა-ლეჩხუმის კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი

საქ. წითელი ჯვრის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ახლო მომავალში მოიწვიოს რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტების გაერთიანებული პლენუმი.

პოპულიარული ბროშურები

წითელი ჯვრის საზოგადოება ჯანსახკომთან ერთად შეუდგა პოპულიარულ ბროშურების გამოცემას ოსურ ენაზე. ჯერ-ჯერობით გამოვიდა ბროშურა: „ქალის ჰიგიენა და ქალის ავადმყოფობანი". ახლო ხანში გამოიცემა ბროშურა „ტუბერკულოზი და მასთან ბრძოლა".

ფიზკულტურა და სპორტი

წყალის სპორტის დღესასწაული

2-დან 4 სექტემბრამდე საქართველოს პროფსაბჭო ბათომში ჩაატარებს წყალის სპორტის სრულიად საქართველოს პირველ საკავშირთაშორისო დღესასწაულს.

დღესასწაულის ჩასატარებლად საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია სპეციალური კომისია ამხ. ზ. მახაიძის თავმჯდომარეობით. კომისიასთან გამოყოფილია სექციები: საორგანიზაციო-სამხატვრო, სააგიტაციო, ტეხნიკური, საექიმო-საკონტროლო და მსაჯთა სექცია.

დღესასწაულის პროგრამაში გარდა საჩვენებელი ნაწილისა (ალლუმი ქალაქში და ზღვაზე, სიგნალიზაციის დემონსტრაცია და სხვა) შეტანილია წყალის სპორტის ყველა სახეები: ცურვა სხვადასხვა დისტანციაზე, ხტომა, შეჯიბრება იალქნიან ნავების სისწრაფეში, ყვინთვა, წყალზე დახმარება, კატერპოლო და სხვა.

საქართველოს პროფკავშირების პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ სოხუმის, თბილისის, ფოთის და ბათომის პროფკავშირების გუნდები.

„დინამო" ქუთაისში

ქუთაისში დაარსდა პროლეტარული სასპორტო საზოგადოება „დინამო", რომელიც შეუდგა სპორტ-მოედანის და დარბაზის მოწყობას. საზოგადოებასთან ეწყობა ფეხბურთელთა გუნდი.

„სოფლის კავშირში"

პასუხისგებაში მიცემა დავალებათა შეუსრულებლობისათვის

„სოფლის კავშირ"-მა მიიღო ცნობები, რომ ზუგდიდის მაზრაში შემჩნეულია თამბაქოს კულტურის კონტრაქტაციის ჩაშლის შემთხვევები. ამის გამო „სოფლის კავშირის" გამგეობამ დაადგინა პასუხის გებაში მისცეს ზუგდიდის, ფახულანის და ლიის სას. სამ. საკრ. ამხანაგობების გამგეობები.

ამასთანავე „სოფლის კავშირის" ინსტრუქტორებს დაევალა სასწრაფოთ შეამოწმონ, თუ როგორ ტარდება რაიონებში სხვა და სხვა კულტურათა კონტრაქტაცია. გარდა ამისა ინსტრუქტორებს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისგებაში ის პირნი (ამხანაგობებიდან), რომლებიც შემჩნეული იქნებიან საქმისადმი გულგრილათ მოპყრობაში, მიცემულ დირექტივების სისწორით შეუსრულებლობაში და ავანსების არა მიზნობრივათ გამოყენებაში.

სასამართლო

რ. მიქელაძის საქმე

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები.

დარბაზში შემოჰყავთ შავებში გახვეული, თვალცრემლიანი მოკლულ ტრაპაიძის ქვრივი, რომელიც მოუთხრობს სასამართლოს ტრაპაიძისა და მიქელაძის ურთიერთგანწყობილების შესახებ.

ტრაპაიძის ქვრივის ლაპარაკის დროს ბრალდებული მიქელაძე ნერვიულობს: იღიმება გესლიანად, აქნევს თავს, წამდაუწუმ იცვლის პოზას.

ეს ვაჟბატონი მტრულ განწყობილებაში იყო ჩემ ქმართან,—ამბობს მოწმე.

დანარჩენი მოწმეები დაწვრილებით მოუთხრობენ სასამართლოს მკვლელობის სურათის შესახებ.

მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს აძლევს მთელ რიგ შეკითხვებს. შეკითხვებზე ბრალდებული იბნევა, ენა ებმის და მთელ რიგ კითხვებზე რიხით აცხადებს: „არაფერ შუაში ვარ, არ მახსოვსო" და სხ.

სასამართლო ძიების დამთავრების შემდეგ იმართა მხარეთა კამათი პროკურორმა ს. გრიგოლიამ მხარი დაუჭირა ბრალდებას, მაგრამ შესცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია.

დამცველ პ. ქავთარაძე სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბრალდებულმა ბოროტმოქმედება ჩაიდინა სულიერი მღელვარების დროს.

შემდეგ მოსმენილ იქნა ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა, რის შემდეგაც სასამართლო გავიდა განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

გუშინ დილიდანვე სასამართლოს დარბაზში თავი მოიყარა აუარებელმა ხალხმა. რომელიც დიდის ინტერესით მოელოდა განაჩენს.

სამი საათის თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს შემდეგი განაჩენი: სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა მიქელაძემ მოკ. ტრაპაიძე მოჰკლა წინასწარი განზრახვით, რისთვისაც მიუსაჯა მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით და 5 წლ. სამოქალაქო უფლებების აყრა.

„მაქანების" ხალხი

ამას წინად გალაქტიონ ირაკლის ძე პარკაია და გრიგოლ ლავრენტის ძე აბულაძე მთვრალები გამოვიდნენ ქუჩაში.

— კაცო, კარგი დროება არ გავატარეთ!

— ჩემმა მზემ, ლაზათიანად ვიქეიფეთ.

ტკბილ საუბარში არიან შეზარხოშებული მეგობრები, როცა ჩამოიქროლებს ეტლი.

— გააჩერე კაცო, არ გესმის!

მეეტლემ გააჩერა ეტლი.

მეგობრები ჩასხდნენ და წავიდნენ სასეირნოდ.

არბენინეს მეეტლე სამი საათი და ჯილდოთ შესთავაზეს ერთი მანეთი.

— შე კაი კაცო, თუ მანეთად მთელი თბილისი შემომატარე—კარგათ წავა ჩემი საქმე.

— კრინტიც არ დასძრა, დამიჯერე როცა გეუბნები.

—მანეთს არ ავიღებ.

— ბევრი ლაპარაკი არც ჩვენ ვიცით. თავი გაანებე ვაჭრობას, თორემ გიჩვენებ სეირს,—დაემუქრა გრიგოლი.

— მოიცა კაცო, მოდი შევთანხმდეთ. თუ მაგრათ „გააქანებ" ეტლს, ფული ჩვენს „ჩამუსზე" იყოს,—ღაღადჰყო გალაქტიონმა.

— მართლაც, დიდებული სიტყვაა,—სთქვა გრიგოლმა.

მეეტლემ გააქანა ეტლი, მაგრამ არა იმ მიმართულებით საითკენაც მეგობრებს სურდათ, არამედ კომისარიატისაკენ.

როცა სამილიციო რაიონს მიუახლოვდნენ, გრიგოლმა ისკუპა და გადახტა ეტლიდან.

გალაქტიონიც აპირებდა გადახტომას, მაგრამ შეამჩნია მეეტლემ.

ორივე მეგობარი დააპატიმრეს. საპატიმრო საკანში ხულიგნებმა მიანგრ-მოანგრიეს აქაურობა და ლაზათიანად შეუკურთხეს მილიციელებს.

გრიგოლ აბულაძეს და გალაქტიონ პარკაიას ადმინისტრატიული წესით მიესაჯა თითო თვით დაპატიმრება.

თ.

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.